ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008
ოლიმპიადის დაწყებამდე
დარჩა
11
დღე



№ 175 (12 550) 28 ივლისი ორშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

Beijing 2008

**გეორ-გიასა და საქა-რთველოს მეტოქეები ცნობილია**

წილისყრა »»» 12

**ლიპის რა უჭირს, მე გაცილებით რთულ სიტუაციაში ვარ**

ინტერვიუ ფაბიო კაპელოსთან »»» 8-9

## თბილისში ვიზიტამდე ერთი დღით ადრე

# შვიდი ხმა კუპერს



ლელოს მიერ გამოკითხული ალმასკომის 12 წევრიდან 7 არგენტინელ სპეციალისტს უჭერს მხარს



## ახალკაცის გუნდი ერთ აზრზე არ არის

ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომის წინ »»» 2



## ნაგება და მოგება დებრეცენში

კალათბურთი. U18 »»» 13

## დინამო მერებაშვილისა და აკირემის გარეშე





პანათინაიკოსთან მატჩში ოვონოს თამაშიც სათუოა »»» 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალკაცის გუნდი ერთ აზრზე არ არის

## სამი ხმა კუპერს, ერთი სეგრტს


ნოდარ ახალკაცი


გოგი ქავთარაძე და გრიგოლ ცაავა ნაკრების მწვრთნელზე ვერ თანხმდებიან


რევაზ არველაძე


დიმიტრი რამიშვილი

**ექტორ კუპერი, ფოლკერ ფინკე და პეტარ სეგრტი** - ამ დროისთვის საქართველოს ნაკრების დამრიგებლობის კანდიდატი სამია და ალბათ, ეს სია არ შეიცვლება.

კუპერს საერთაშორისო წარმატებები უმაგრებს ზურგს - „ლაციო“ თასების თასის ფინალში გაიყვანა, „ვალენსია“კი ორჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალში. ფინკემ პერიფერიული „ფრაიბურგი“ წლობით ათამაშა ბუნდესლიგაში და გუნდს ევროსარბიელიც კი დააგემოვნებინა. ამ გერმანელ მწვრთნელს კარგად ესმის ქართული მენტალიტეტი, მისდროინდელ „ფრაიბურგში“ ექვსმა ქართველმა ითამაშა. რაც შეეხება სეგრტს, მასზე ჯერ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ძალიან უნდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა და სხვებთან შედარებით ძალიან დაბალ ანაზღაურებაზეც ყაბულსაა.

ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალიც. რამდენიმე კვირის წინათ ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია ასეთი იყო - ნაკრების ახალი მწვრთნელისთვის წელიწადში მილიონ დოლარზე მეტს არ გადაიხდიდა. სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა - ხელისუფლება მზადაა, ფეხბურთის ფედერაციას დაფინანსება გაუზარდოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბისთვის.

მოკლედ, საქმის ასეთნაირად შემობრუნებამ კუპერის ვარიანტი უფრო რეალური გახადა.

ცხადია, დავინტერესდით, რას ფიქრობენ ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის წევრები სამწვრთნელო საკითხზე, რომელ კანდიდატს ემხრობიან. ალმასკომში თხუთმეტი წევრია, რომელთაგან გუშინ თორმეტი გამოვკითხეთ.

**გიორგი გაბაშვილი:**

- ჩვენთვის პრიორიტეტული კუპერის დანიშვნა უნდა იყოს. იმედი მაქვს, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ის გახდება. კანდიდატთა შორის მეორე ადგილს ფინკეს მივაკუთვნებდი. კუპერის დანიშვნის შემთხვევაში გაუზრდის თუ არა სახელმწიფო დოტაციას ფედერაციას? კუპერი ისეთი რანგის სპეციალისტია, რომ ძალისხმევას არავინ დაიშურებს.

**გოგი ქავთარაძე:**

- ვფიქრობ, ამ კანდიდატებიდან ყველაზე ძლიერი და გამოცდილი სპეციალისტი კუპერია. მისი კვალიფიკაცია და გამოცდილება, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, როცა მწვრთნელს ეროვნული ნაკრებისთვის ვარჩევთ. თუმცა, მას ჯერ გულდასმით უნდა მოვუსმინოთ. ამ მომენტისთვის კუპერს რომ ვემხრობი, იმას არ ნიშნავს, რომ ფინკე და სეგრტი ღირსეული კანდიდატები არ არიან.

**რევაზ არველაძე:**

- ამ სამი მწვრთნელიდან ყველაზე ოპტიმალური კუპერის კანდიდატურა მიმაჩნია.

**ალექსანდრე ახვლედიანი:**

- სადღეისოდ კონკრეტულ პასუხს ვერ გეტყვით. ჯერ უნდა დავესწრო ალმასკომის სხდომას, ფედერაციის ხელმძღვანელებისგან შევიტყო, რომელ კანდიდატს რა პოზიცია აქვს კონკრეტულ საკითხებზე და გადაწყვეტილებას მერე მივიღებ.

**კობა სუბელიანი:**

- ჩემს პოზიციას ალმასკომის წევრებთან შევაჯერებ, წინასწარ რაიმეს თქმას არ ვაპირებ.

**ლექსო თოფურია:**

- ჯერ იმას ველოდები, როგორ წარმოგვიდგენს კუპერის კანდიდატურას ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი. პეტარ სეგრტს, ასე თუ ისე, ვიცნობთ. ვფიქრობ, უკეთესი მაინც ფინკე იქნება ჩვენი ნაკრებისთვის.

**დიმიტრი რამიშვილი:**

- ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხზე მკვეთრია - კუპერი.

**მირიან ვარდოსანიძე:**

- საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ალბათ, კუპერს დავუჭერ მხარს.

**დავით სილაგაძე:**

- ჩვენს ნაკრებში კუპერის დანიშვნის მომხრე ვარ.

**თენგიზ სულაქველიძე:**

- სეგრტი ახალგაზრდულ ნაკრებში ნორმალურად მუშაობს, უკვე იცის, თუ რით ვცხოვრობთ ქართველები, უკვე აქვს დიდი ინფორმაცია ქართულ ფეხბურთზე და მიმაჩნია, რომ შეუძლია, გაუძლვეს ჩვენს ეროვნულ ნაკრებს.

**ზაზა ციციშვილი:**

- ვფიქრობ, ყველაზე სასურველი კანდიდატი კუპერია და ალმასკომზეც მას დავუჭერ მხარს.

**გრიგოლ ცაავა:**

- ეროვნული ნაკრების მწვრთნელი თავის საქმის ერთგული უნდა იყოს. სეგრტი უკვე იცნობს ქართულ ფეხბურთს, მუყაითია, რეგიონებში ვარჯიშების ჩასატარებლადაც დადის. თუ ის გახდება ნაკრების მწვრთნელი, თანხაც დაგვეზოგება, რომელსაც ისევ ქართულ ფეხბურთს მოვახმართ...

საყურადღებოა, რომ ფედერაციის ოთხი ვიცე-პრეზიდენტიდან სამი კუპერის კანდიდატურას ემხრობა - არველაძე, ქავთარაძე და რამიშვილი, მეოთხე კი სეგრტს - ცაავა. ფედერაციის პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცის** ინტერვიუებში, ინტონაციაში და პათოსში სიმპათიები სეგრტისკენ იხრება. ესეც რომ არა, აშკარაა, ხორვატი შეგულიანებულია და ფედერაციის პრეზიდენტის მხარდაჭერის გარეშე, ასეთი აქტიური ვერ იქნებოდა თავის სურვილებში. ვიცე-პრეზიდენტების უმრავლესობას კი კუპერი სურს...

**დავით თავართქილაძე**

სამწვრთნელო საკითხი

# კუპერი ხვალ გვეწვევა

## საქართველოს მწვრთნელი 1 აგვისტოს ეყოლება

ხვალ თბილისში **ექტორ რაულ კუპერი** თავის აგენტთან, **ალეხანდრო კამანიოსთან** ერთად ჩამოფრინდება. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის განცხადებით, ეროვნული ნაკრების თავკაცობის ყველა კანდიდატი ალმასკომის გადაწყვეტილებამდე თბილისში უნდა იყოს ნამყოფი.

**ფოლკერ ფინკეს** დარად, კუპერის ვიზიტიც გაცნობითი ხასიათისაა. ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცის საკითხი კი 1 აგვისტოს გადაწყდება. ეს ინფორმაცია ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემაც** დაგვიდასტურა.

*„არგენტინელი მწვრთნელი აქაურ გარემოსა და ინფრასტრუქტურას გაეცნობა. 1 აგვისტოს კი ალმასკომის წევრები გადაწყვეტენ, სამი კანდიდატიდან - კუპერი, სეგრტი და ფინკე, თუ ვინ იქნება საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი. ორშაბათს, ალმასკომის სხდომაზე ნაკრების თავკაცობის სამივე კანდიდატზე იმსჯელებენ, მაგრამ გადაწყვეტილებას პარასკევს მიიღებენ“, - „ლელოსთან“ საუბარში აღნიშნა ქავთარაძემ.*

ფეხბურთის ფედერაციის დღევანდელი ალმასკომის სხდომა 10:30 საათზე დაიწყება, რომლის დღის წესრიგი ასე გამოიყურება:

**1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გეგმიური ყრილობის დანიშვნა;**

**2. ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების საკითხი;**

**3. სხვადასხვა.**

როგორც ხედავთ, პირველი ორი საკითხი რა იქნება, გარკვეულია. მესამეზე კი მსჯელობა შეეხება ეროვნული ნაკრების თავკაცობის სამ კანდიდატს. **პეტარ სეგრტზე, ფოლკერ ფინკესა და ექტორ რაულ კუპერზე** ალმასკომის წევრები დღეს მხოლოდ იმასლაათებენ.

**დავით ცაბაძე**


ექტორ რაულ კუპერი




მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.** *ნომრის მორიგე რედაქტორი* **შალვა ბიბილაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

# ათენში მერებაშვილისა და აკირემის გარეშე




ფარერებიდან მობრუნებულმა **რაინერ ცობელის** გუნდმა ორიოდე დღე დაყო მშობლიურ ბაზაზე და დღეს, ნაშუადღევს თბილისი-ათენის ავიარეისით საბერძნეთს გაემგზავრება. ცობელმა „პანათინაიკოსთან" სათამაშოდ შემდეგი ფეხბურთელები შეარჩია:

მეკარეები: **დიდიე ოვონო, გიორგი ლორია.**

მცველები: **შოთა კაშია, გურამ კაშია, მილოშ კრშკო, სანდრო ინწკირველი, გიორგი ნერგაძე, გულვერდ თომაშვილი.**

ნახევარმცველები: **ლევან ხმალაძე, დავით დილმელაშვილი, დავით ოდიკაძე, ოლეგ გველესიანი, ნიკოლოზ ფირცხალავა, გიორგი ჯიშკარიანი.**

თავდამსხმელები: **მათე ვაწაძე, ზვიად ქანთარია, დონალდ ჯიუსი, ილია სპასოპევიჩი.**

როგორც ხედავთ, სიაში არ არის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი მერებაშვილი**. საქმე ის გახლავთ, რომ მერებაშვილს მენისკი აწუხებს და ოპერაციის გაკეთება მოუწევს. დიდი დანაკლისია გაბონელი ფორვარდის **ჯორჯ აკირემის** არყოფნაც. აფრიკელი თავდამსხმელი ტრავმის გამო გუნდს ათენში ვერ გაჰყვება. გაბონელმა მეკარე **დიდიე ოვონომ** ვარჯიშზე ხელი იტკინა. „დინამოს" ექიმები აცხადებენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რათა ოვონომ „პანათინაიკოსთან" თამაში შეძლოს.

საბერძნეთში გამგზავრებამდე ცობელი გუნდს დილას ბაზაზე ავარჯიშებს. 30 ივლისს „პანათინაიკოსი"-"დინამოს" მატჩი ათენის დროით 21:45 საათზე (22:45 თბილისის დროით) გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩების წინ

# ზესტაფონში ყველაფერი მზადაა

## გაბონელები უკვალოდ გაქრნენ

უკვე საკმაო ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც უეფას დელეგაციამ ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონს დადებითი შეფასება მისცა და კლუბს საერთაშორისო მატჩების საკუთარ ქალაქში ჩატარების ნება დართო. ამის მიუხედავად, "ზესტაფონის" ხელმძღვანელობა არენის სრულყოფისთვის კვლავ ზრუნავს.

"ზესტაფონი"-"დიორის" განმეორებით შეხვედრამდე რამდენიმე დღეღა დარჩა და მასპინძლები უკვე მშვიდად არიან. ყველა სამუშაო, ფაქტობრივად, დასრულებულია. ბოლო დღეებში მასმედიის ოთახი მოეწყო. ჟურნალისტებს ტელეფონითა და ინტერნეტით სარგებლობა შეეძლებათ. მატჩის გასაშუქებლად მედიელები უნგრეთიდანაც მოდიან. სავარაუდოდ, "ზესტაფონი"-"დიორის" ტელეტრანსლაცია არ შედგება.

უნგრული დელეგაცია ჩარტერული რეისით კოპიტნარის აეროპორტში 30 ივლისს დაეშვება. სტუმრები ქუთაისშივე დაბინავდებიან, სასტუმრო "ალავერდში". მსაჯები და სხვა ოფიციალური პირები კი ლამეს ასევე ქუთაისში, სასტუმრო "იმერში" გაათევენ.

ზესტაფონის სტადიონი 4 000-მდე გულშემატკივარს იტევს და შეგვიძლია ახლავე ვთქვათ, რომ მატჩზე ანშლაგი იქნება. თამაშის დღეს ბილეთის შოვნა ძალიან უნდა გაჭირდეს.

გუნდს რაც შეეხება, "ზესტაფონი" შეხვედრისთვის საკუთარ სტადიონზე ემზადება. 25 ივლისს ფეროელებმა ამხანაგურ მატჩში ლანჩხუთის "გურიას" 4:1 სძლია. **თემურ მახარაძის** გუნდი სრული შემადგენლობით ჯერაც არ შეკრებილა. უგზოუკვლოდ დაიკარგნენ (?!) გაბონის ნაკრების წევრები, **პოლ კესანი** და **ეტიენ ბიტოო**. მათ გუნდის შეკრებაც გააცდინეს და უნგრული მატჩიც, თანაც ისე, რომ ამის მიზეზი კლუბისთვის არ უცნობებიათ. "ზესტაფონის" ხელმძღვანელობა მათთან დაკავშირებას ამაოდ ცდილობს. გუნდს შეუერთდა ბრაზილიელი ნახევარმცველი **ჟონატასი**. ყველა ფეხბურთელი მწყობრშია, საეჭვოა მხოლოდ გუნდის ახალწვეულის, **ნიკოლოზ სტეფანიშვილის** თამაში.

*"ძალიან დიდი ბრძოლა გველის. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად დადებით შედეგს მივაღწიეთ, უნგრელები იოლად არაფერს დაგვითმობენ. თუმცა "ზესტაფონი" თამაშს კარგ ფორმაში შეხვდება და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს გულშემატკივრებს კარგი და შედეგიანი თამაშით გავახარებთ"*, - ეს "ზესტაფონის" ფორვარდის, **ნიკოლოზ გელაშვილის** სიტყვებია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# დიორი კოპიტნარამდე დამარცხდა

უნგრეთის მთავარ ლიგაში ახალი სეზონი დაიწყო და უეფას თასის გათამაშებაში „ზესტაფონის" მეტოქე „დიორმაც" ითამაშა. დიორელთათვის სასტარტო ტური წარუმატებელი აღმოჩნდა. იმერელთა მეტოქე „ჰალადასთან" სტუმრად 1:2 დამარცხდა. მასპინძლები პირველ ტაიმში უკვე 2:0-ს იგებდნენ. დიორელთაგან ის ერთადერთი გოლი 50-ე წუთზე **ბიჩაკმა** გაიტანა.

**ეგერვარის** გუნდმა „ჰალადესთან" ამ შემადგენლობით ითამაშა:

დიორი: **სტევანოვიჩი, ბანკი, იაკლი, იოჟსი, ბიჩაკი (75. ბრნოვიჩი), პაკოლიჩი (62. ზ. კოვაჩსი), ვიოლგაი, ბაიზატი, სუპიჩი, კოლტაი, სტარკი (32. ი. კოვაჩსი).**

დაბოლოს, „ზესტაფონსა" და „დიორს" შორის უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრა 31 მაისს ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე 17 საათზე დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებს შორის გამართული პირველი მატჩი დიორში 1:1 დასრულდა.

**დავით ცაბაძე**

დინამოს მეტოქე

# მარადიული ჩემპიონის ოთხწლიანი შესვენება

**პანათინაიკოსი**

დაარსდა 1908 წელს

ფერები: მწვანე და თეთრი

სტადიონი: აპოსტოლოს ნიკოლაიდისი (ტევადობა 16 600)

პრეზიდენტი: ტანასის იანაკოპულოსი

მთავარი მწვრთნელი: ჰენკ ტენ კეიტი (ჰოლანდია)

ტიტულები: საბერძნეთის 19-გზის ჩემპიონი, თასის 16-გზის მფლობელი, სუპერთასის 4-გზის მფლობელი, ბალკანეთის თასის მფლობელი (1978)

| მეკარეები |
|---|
| 1. მარიო გალინოვიჩი (31 წლის, ხორვ.) |
| 18. არკადიუშ მალარცი (28, პოლონეთი) |
| 33. ორესტის კარნეზისი (23) |

| მცველები |
|---|
| 3. ხოსუ სარიეგი (29, ესპანეთი) |
| 6. ფილიპოს დარლასი (24) |
| 8. იანის გუმასი (33) |
| 16. სტეფანოს სიონტისი (20) |
| 19. გაბრიელი (27, ბრაზილია) |
| 23. სიმაო (20, მოზამბიკი) |
| 24. ლუკას ვინტრა (27) |
| 29. მიკაელ ნილსონი (30, შვედეთი) |
| 31. ნიკოს სპიროპულოსი (24) |
| 32. ნიკოს პანტიდოსი (17) |
| 35. გეორგიოს დადამისი (19) |
| 38. ნიკოს გუციკოსი (18) |

| ნახევარმცველები |
|---|
| 4. მარსელო მატოსი (24. ბრაზილია) |
| 7. სოტირის ნინისი (18) |
| 10. კლეიტონი (25, ბრაზილია) |
| 15. ჟილბერტო სილვა (31, ბრაზილია) |
| 20. სოტირის ლეონტიუ (24) |
| 21. გეორგიოს კარაგუნისი (31) |
| 22. ალექსანდროს ციოლისი (23) |
| 25. დამე ნდოიე (23, სენეგალი) |
| 27. ანდრეას ივანშიტცი (24, ავსტრია) |
| 30. ელინი დიმუტსოსი (19) |

| თავდამსხმელები |
|---|
| 5. ანტე რუკავინა (22, ხორვატია) |
| 11. დიმიტრიოს პაპადოპულოსი (26) |
| 14. დიმიტრიოს სალპინიდისი (26) |
| 17. ლაზაროს ხრისტოდოლოპულოსი (21) |
| 26. ევანგელოს მანციოსი (25) |
| 28. ანტონიოს პეტროპულოსი (22) |


ჟილბერტო სილვა

ბოლო წლებში საბერძნეთის ჩემპიონობას "ოლიმპიაკოსი" არავის უთმობს, "პანათინაიკოსი" კი სამეულში ყოფნით ყოველ წელს მაინც ახერხებს ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობას. „მწვანეები" მხოლოდ იმას ნაღვლობენ, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე თამაშის გამო, სეზონისთვის მზადება ნაადრევად დაიწყეს, ქართული ბარიერის გადალახვაში კი ეჭვი არ ეპარებათ და ერთი სული აქვთ, როდის გაიგებენ მესამე რაუნდის მეტოქის ვინაობას.

"პანათინაიკოსი, მარადიული ჩემპიონი ყველა სპორტში!" – ასე მთავრდება ამ კლუბის ჰიმნი. საბერძნეთში "პანათინაიკოსი" და "ოლიმპიაკოსი" ერთმანეთს სპორტის არაერთ სახეობაში ებრძვიან. მათ საფეხბურთო მატჩს კი "მარადიული მტრების ჯახს" უწოდებენ.

ამ კლუბებში იმთავითვე დიდი განსხვავება იყო. "ოლიმპიაკოსს", რომელიც საპორტო ქალაქ პირეოსში ბინადრობს, ყოველთვის უბრალო, მშრომელი ხალხი ქომაგობდა, "პანათინაიკოსი" კი მდიდრების საყვარელი კლუბია და ათენის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ფეშენებელურ უბან ამბელოკიპიში თამაშობს.

თუმცა სხვაობა მას შემდეგ წაიშალა, რაც "ოლიმპიაკოსის" დაფინანსება უმსხვილესი მობილური კავშირგაბმულობის კომპანიის მფლობელმა **სოკრატის კოკალისმა** დაიწყო.

უმდიდრესი ისტორიისა და ტრადიციების მქონე „პანათინაიკოსი" ბოლო ოთხი წელიწადია, უტიტულოდაა. უკანასკნელი შედეგიანი სეზონი "პაოს" 2004 წელს ჰქონდა, როცა საბერძნეთის ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც. საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში „მწვანეებს" სულ 4 დუბლი აქვთ შესრულებული.

ბერძნულ კლუბებს ევროთასები არასოდეს მოუგიათ, თუმცა "პანათინაიკოსი" საერთაშორისო ტურნირებზე არცთუ ურიგოდ გამოდიოდა. ასე მაგალითად, 1996 წელს ათენელებს ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე ბევრი არაფერი აშორებდათ, მაგრამ ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში სტუმრად ამსტერდამის "აიაქსის" ძლევის შემდეგ, ჰოლანდიელებთან შინ განადგურდნენ(1:0, 0:3).

"პანათინაიკოსის" ღირსებას ევროპის ორი ჩემპიონი იცავს. **გეორგიოს კარაგუნისი** ევრო 2004-ზე ბერძენთა საკვანძო ფიგურა იყო, **იოანის გუმასს** კი ტურნირზე ერთი წუთიც არ უთამაშია. გუმასს მთელი კარიერა "პანათინაიკოსში" აქვს გატარებული, კარაგუნისი მშობლიურ კლუბს შარშან დაუბრუნდა ლისაბონის "ბენფიკადან", მანამდე კი მილანის "ინტერში" თამაშიც მოასწრო.

ამ ზაფხულის ყველაზე ძვირფასი შენაძენი **ჟილბერტო სილვაა**, რომელიც 2002 წელს ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გახდა და იმ გუნდის სასტარტოში მუდმივად თამაშობდა. წესით და რიგით, მწვანეთა ნახევარდაცვის ლიდერობა სწორედ ექსარსენალელმა უნდა ითავოს.

"დინამოს" კიდევ არაერთი ცნობილი და გამორჩეული ფეხბურთელი დაუპირისპირდება, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის ნაკრების ღირსებას იცავენ. ევრო 2008-ზე საბერძნეთის ეროვნულ გუნდში ადგილი ვერ გამოინახა 18 წლის **სოტირის ნინისისთვის**, თუმცა ნიჭიერ ჭაბუკს ყველაფერი წინ აქვს – მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ბოლო საკონტროლო მატჩი "პანათინაიკოსმა" ბელგიურ "შარლერუასთან" ჩაატარა და მეტოქე 5:1 გაანადგურა. გოლები **კარაგუნისმა, სარიეგიმ, სალპინიდისმა, ვინტრამ** და **ნინისმა** გაიტანეს. ათენელებმა ამ შემადგენლობით ითამაშეს: **გალინოვიჩი, სპიროპულოსი, სარიეგი, ვინტრა, კატსი (71. რუკავინა), გაბრიელი (78. ნილსონი), სიმაო, კლეიტონი (57. სალპინიდისი), ივანშიტცი (62. ხრისტოდოლოპულოსი), კარაგუნისი (46. ნინისი), მანციოსი (77. სიონტისი).** შეიძლება ითქვას, რომ ეს ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია. სამზადისი

# ტრნავამდე ზოოვეტი დაამარცხეს

## ვიცე-ჩემპიონს ხვალ დააჯილდოებენ

**ვიტ ჯორჯია-ზოოვეტი 3:1**

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი (57. მიქაბერიძე), ჩეჟაია, ყველაშვილი (57. ბალიაშვილი), ლოჩაია (62. ადამაძე), ჯაფარიძე, რაზმაძე (57. მაისაშვილი), კვალინაძე, კლიმიაშვილი, მელქაძე (52. ხურცილავა), კვარაცხელია (70. ლუჭაშვილი), ლიპარტია (65. ბერიაშვილი).


ვასილ ლუჭაშვილი

ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ" უეფას თასზე „ტრნავასთან" საპასუხო თბილისურ მატჩამდე ბოლო საკონტროლო მატჩი ქვედალიგოსან „ზოოვეტთან" ჩაატარა. ჯორჯიელები მინიმალურად კი აგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ 3:1 მოიგეს. ვეტერინართა გუნდის ორ წამყვან ფეხბურთელს, **გიორგი დათუნაიშვილსა** და **ლექსო კვახაძეს** მიკროტრავმები აწუხებთ. ვიტელთა მწვრთნელები მათი ტრავმის გამიზეზებას მოერიდნენ და კვახაძისა და დათუნაიშვილის გარეშე ათამაშეს გუნდი. „ზოოვეტთან" მატჩში ჩინებულად წარმოჩნდა გუნდის ახალწვეული **ლადო კვარაცხელია**. მან დუბლი მიითვალა, მესამე გოლი კი **ვასილ ლუჭაშვილმა** გაიტანა.

**ლექსო კვახაძესა** და **გიორგი დათუნაიშვილზე** ხმები გავრცელდა, თითქოსდა მათ გროზნოს „ტერეკმა" უხმო. კლუბის პრესატაშე **დავით ერაძის** თქმით, გარცელებული ხმები მხოლოდ ჭორია. დათუნაიშვილი და კვახაძე, ჩვეულებრივ გუნდთან ერთად ემზადებიან.

შეგახსენებთ, რომ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი „ვიტ ჯორჯიასა" და სლოვაკეთის „ტრნავას" შორის 31 ივლისს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 17:30 საათზე გაიმართება. მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა 30 ივლისს დაიწყება. ბილეთის ფასი 2 ლარია. ამ გუნდებს შორის გამართული პირველი მატჩი ტრნავაში 2:2 დასრულდა.

ხვალ კი ვიცე-ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას" დააჯილდოებენ. ცერემონიალი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში გაიმართება. იქვე „ვიტ ჯორჯიის" კლუბის წევრები და ფეხბურთელები ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხებენ.

სლოვაკებთან მატჩის წინა დღეს, 30 ივლისს კი უეფას რეგლამენტით გათვალისწინებული პრესკონფერენცია.

**დავით ცაბაძე**

**საქართველო-რუმინეთი**

**0:2**

26.07. გორი. თ. ბურჯანაძე
2000 მაყურებელი

0:1 მატეი (28. ალიბეკის პასით), 0:2 რუსო (59)

საქართველო: ლოსაბერიძე (46. მაკარიძე), გეთიაშვილი (86. ტყებუჩავა), შონია, ტეტუნაშვილი, სარალიძე (75. საცერაძე), ხუციძე (86. კანდელაკი), თარხნიშვილი, ნემსაძე, ხოკერაშვილი (70. იჩქითი), როსტიაშვილი (46. ბეგლარიშვილი), კვეკვესკირი (46. სარაჯიშვილი)

*სათადარიგოები: სორდია, სეთურიძე*

რუმინეთი: ფარკაში, მუტი, რაპა, კუკუ, პოპესკუ, ალექსე, მანუ, ალიბეკი (81. სანდუ), რუსო (77. იონესკუ), ბარბოლოვიჩუ (63. მირონი), შტეფონი (23. მატეი)

*სათადარიგოები: ხორვატი, ჩოკრტეუ, სავინი*

გაფრთხილება: რუსო (24), პოპესკუ (48), მუტი (87), მატეი (89)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

# ორი თამაშისთვის ძალა არ გვეყო



ზაქარია ბეგლარიშვილი (№13)

თუ გავითვალისწინებთ, რომ ზაფხულის ამ ხვატში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან — გორიდანაც მრავლად გავიდა ხალხი დასასვენებელ ადგილებში და ბოლო წლებში ტრადიციული ანშლაგების ნაცვლად „დილა" სამასამდე გულშემატკივარს თუ იზიდავდა. სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რომ ამ თამაშზე თითქმის 2000 გორელი მაყურებელი მოვიდა.

სხვა საკითხია, რამდენად გაუმართლა მოლოდინი ფეხბურთის ქომაგს ორი დღის წინათ ამავე გუნდის დამაჯერებლად დამმარცხებელმა საქართველოს ნაკრებმა. შეხვედრა პირველთან შედარებით აბსოლუტურად განსხვავებული გამოდგა - რუმინეთმა სრულფასოვანი რევანში აიღო მოწინააღმდეგეზე.

მატჩი დებიუტიდანვე სტუმართა კარნახით და ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა. ბურთს ძირითადად ისინი ფლობდნენ და მასპინძლებს აიძულებდნენ, უმტესწილად მათი შეტევების შესაჩერებლად ეზრუნათ. მართალია ეს იერიშები არ ატარებდა მაინცდამაინც მრავალფეროვან ხასიათს და არც შესრულების თვალსაზრისით ბრწყინავდნენ ვლახი მობურთალნი, მაგრამ, რასაც ახერხებდნენ, კმაროდა ჩვენი ნაკრების ასაფორიაქებლად. რუმინელები კომბინაციებს მოედნის მთელ სიგანეზე შლიდნენ, შეტევის დროს ფლანგებიდან პირით ხაზამდე სწრაფად ჩაჰქონდათ ბურთი, საიდანაც ქართველთა კართან გახსნილ თანაგუნდელს აწვდიდნენ და...

პირველად მე-10 წუთზე, **ალესანდრუ ბარბოლოვიჩუს** ჩაწოდებისას ჩვენს მცველებს **დენის ალიბეკი** გაეპარათ. კარგ პოზიციაზე მყოფმა რუმინელმა ხარიხის ზემოთ დაარტყა. ოთხ წუთში **ვლად რუსო** მოძებნეს თანაგუნდელებმა საჯარიმოში, რომელმაც იქვე ერთი მეურვეც ჩამოიცილა, მაგრამ ამ გზით დარტყმის კუთხე მახვილი გაუხდა და **გიორგი ლოსაბერიძემ** იხსნა კარი.

ქართველი ფეხბურთელები მეტოქის გოლკიპერს რიგიანად ვერც აწუხებდნენ, თუ არ ჩავთლით **როსტიაშვილის** მწვავე გადაცემას, რომელსაც **კვეკვესკირი** ვერ გამოეხმაურა დროულად. რუმინელთა დამრიგებელმა მოედანზე **კოზმინ მატეი** შეუშვა. მან ჯერ კინალამ ბურთის პირველი შეხებისთანავე გაიტანა, ხუთ წუთში კი მაინც შეაგდო, შეირგო რა ალიბეკის მოზომილი პასი — 0:1.

მდევრის როლში აღმოჩენილმა მასპინძლებმა როგორც მოსალოდნელი იყო მოუმატეს, თუმცა ამას არ მოჰყოლია რეალური საგოლე მომენტები. გარკვეულწილად სახიფათო იყო **თორნიკე თარხნიშვილის** მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმები, **ირაკლი ხუციძემ** რამდენჯერმე სცადა ფლანგიდან გაემწვავებინა თამაში, **მიხეილ ხოკერაშვილმაც** აანერვიულა ორიოდ მომენტში სტუმარი მცველები, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. ასე, თუ ისე, შესვენებამდე საქართველოს ნაკრები ძალიან სუსტად გამოიყურებოდა.

**ზაურ სვანაძემ** შეგირდები მეორე ტაიმში უფრო მომართულნი გამოუშვა მინდორზე. ქართველებმა ერთხანს ბურთის გაკონტროლებაც მოახერხეს. 50-ე წუთზე ხოკერაშვილის მეტად სახეირო კომბინაციის დასკვნით ფაზაში **სალარიძემ** ახლოდან მეკარეს ვერ ააცილა, დამატებულზე **ნემსაძის** დარტყმული ასცდა კარს. ცოტა ხანში უკვე **ზაქარია ბეგლარიშვილი** დაუსხლტა მეურვეს და ოდნავ არაზუსტად დაარტყა. თანდათან თითქოს გოლი მწიფდებოდა კიდეც, მაგრამ ნაყოფი ისევ რუმინელთა ლუკმა შეიქნა. 59-ე წუთზე **ვლად რუსომ** ზუსტი დარტყმით **მაკარიძეს** შანსი არ დაუტოვა — 0:2.

ეს უკვე საკმარისად ცივი შხაპი იყო ქართველთათვის. დარჩენილ ნახევარ საათში, მასპინძლებმა იაქტიურეს. გიორგი სარაჯიშვილი ერთი საკმაოდ სახიფათო კონტრშეტევით შეეწია გუნდს. ორჯერ შორიდან ვაჟა ნემსაძემ სცადა გოლის გატანა, მაგრამ ვერ შეძლო.

ბეგლარიშვილი ერთთავად პასს ითხოვდა და აღსანიშნავია, რომ თუ ჩვენი ფეხბურთელები აძლევდნენ იერიშს სიმწვავეს, კომბინაციას სწორ გაგრძელებას უძებნიდა. ერთ მომენტში ზაქარიამ ეფექტურად ჩამოიცილა მეურვე და თანაგუნდელთან გაითამაშა კედელი, დაბრუნებული ბურთი კი უკვე ქუსლით ხელახლა აქცია პასად. ამან დასიცხული მაყურებელი გვარიანად გამოაფხიზლა — ტაშიც მიუძღვნეს პერსპექტიულ ფეხბურთელს და კომპლიმენტებიც არ დაინანეს ტრიბუნებიდან.

მატჩის შემდეგ ზაურ სვანაძე, რასაკვირველი, უკმაყოფილო იყო თავისი გუნდის გარჯით: *„ცუდად ვითამაშეთ. ფეხბურთელები ძალიან დაღლილები ჩანდნენ. სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ დროის ამ მონაკვეთში ორი თამაშისთვის ძალა არ გვყოფნის. არადა, ბიჭებს რომ ბევრი რამ შეუძლიათ, პირველ შეხვედრაში ვნახეთ. განსაკუთრებით დაცვის ხაზის თამაშით ვარ უკმაყოფილო. გამორჩევით კი გამიჭირდება ვინმეს გამორჩევა. ერთადერთი, ალბათ ბეგლარიშვილმა შეძლო რიგიანად თავისი ნიჭის დემონსტრირება".*

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

სამხადისი. მესხეთი

# ახალციხელებმა მცხეთაში მოიგეს




ეპიზოდი ვიტ ჯორჯია 2-მესხეთის მატჩიდან

**ვიტ ჯორჯია 2–მესხეთი 1:2**

0:1 ჟღენტი (20. მემარნიშვილის პასით), 1:1 ზაქრაძე (42), 1:2 გ. სუდაძე (70. ინასარიძის პასით)

მესხეთი: ძამუნაშვილი, რაქვიაშვილი, ლ. მერებაშვილი, კობესაშვილი, კ. ხანიშვილი, თედიაშვილი, მემარნიშვილი, ლეკიშვილი, ბეჟანიძე, ჟღენტი, სამადაშვილი.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ინასარიძე, თაყაძე, გ. სუდაძე, ქოჩორაშვილი, ჯინჭარაძე, ჯიქური, ნიჟარაძე.

„მესხეთმა" მორიგი ამხანაგური მატჩი შაბათს, 26 ივლისს მცხეთაში გამართა. **კობა თედიაშვილის** გუნდი „ვიტ ჯორჯიის" დუბლებს დაუპირისპირდა . აღსანიშნავია, რომ ამ მატჩს ახალციხელთა ახალწვეულები, ფორვარდი **ბორის გონჩაროვი**, ნახევარმცველი **გიორგი ვაშაკიძე** და მეკარე-კაპიტანი **გიორგი სომხიშვილი** ტრიბუნიდან ადევნებდნენ თვალს. ეს შეხვედრა სამივემ ტრავმის გამო გამოტოვა. თუმცა როგორც გავიგეთ, მათი მდგომარეობა საგანგაშო არაა და ისინი მალე გამოჯანმრთელდებიან. „არმაზზე" გამართული ეს მატჩი საინტერესოდ წარიმართა. შეხვედრას „მესხეთის" ხელმძღვანელობის გარდა „ვიტ ჯორჯიის" პრეზიდენტი **გურამ რუხაძე** და მთავარი გუნდის მწვრთნელები, **რამაზ მუმლაძე** და **ზურაბ ბერიძეც** დაესწრნენ. ანგარიში ახალციხელთა გუნდში ტესტირებაზე მყოფმა **ჟღენტმა** გახსნა. წონასწორობა ვიტელთა შორის ერთ-ერთმა გამორჩეულმა **ზაქრაძემ** აღადგინა. მატჩს კი გამოცდილმა **გელა სუდაძემ** დაუსვა წერტილი.

**დავით ცაბაძე**

## ლოკომოტივმა გაგრა დაჯაბნა

საბურთალოს ბაზაზე "ლოკომოტივმა" უმაღლესი ლიგის დებიუტანტ "გაგრას" უმასპინძლა. მატჩი რკინიგზელთა დიდი უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით, 5:0 დასრულდა. **დავით ჩაგელიშვილმა** ჰეთ თრიქი შეასრულა, თითო გოლი კი **რატი ალექსიძემ** და **გიორგი კახელიშვილმა** გაიტანეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ხაჩიძე მაინც დარჩა

## ბორჯომი ჭაბუკების იმედად

**საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ "ბორჯომი" უმაღლეს ლიგაში მაინც იასპარეზებს, ოღონდ, ძირითადად, ახალგაზრდა ადგილობრივებით. კლუბის ხელმძღვანელობას მწვრთნელებისა და ფეხბურთელებისთვის ხელფასების გადახდა არ შეუძლია, მაგრამ მაინც აპირებს უძლიერესთა შორის გამოსვლას. ვლადიმერ ხაჩიძემ "ბორჯომი" არც ამ გაჭირვებისას მიატოვა და მთავარი მწვრთნელის ფუნქციების შესრულებას განაგრძობს.**



ვლადიმერ ხაჩიძე

- გუნდთან ერთად ძველებურად ბევრ დროს ვერ გავატარებ, მაგრამ მის მომზადებაში შეძლებისდაგვარად, მონაწილეობას მივიღებ. მოგეხსენებათ, სამწვრთნელო კურსებით ვარ დაკავებული, სექტემბერში მიუნხენში, "ბაიერნის" ბაზაზე უნდა გავიარო სტაჟირება, შემდეგ კი რამდენჯერმე კიევში ჩავალ. ბუნებრივია, ამის გამო "ბორჯომის" ვარჯიშებს ყოველთვის ვერ დავესწრები, რამდენიმე კალენდარული მატჩიც გამიცდება.

**- თქვენც უხელფასოდ იმუშავებთ?**

- ასე გამოდის. სამწვრთნელო პრაქტიკა მჭირდება და უარი ამიტომ არ მითქვამს. რომელ ხელფასზეა საუბარი, როცა ოთხი თვის დავალიანება არ ამილია.

**- გუნდის გაძლიერების შანსი არ არის?**

- არა, ვერავის დავიმატებთ, რა კონტინგენტიც გვყავს, იმით უნდა გავიდეთ ფონს. ბორჯომელებთან ერთად, ჩვენთან გორელი და ხაშურელი ახალგაზრდებიც ვარჯიშობენ. ერთადერთი გამოცდილი ფეხბურთელი, ვინც სავარაუდოდ, "ბორჯომში" იასპარეზებს, პაატა გვირჯიშვილია.

**- "დინამოდან" რატომ აღარ ინათხოვრეთ ფეხბურთელები?**

- ამ ეტაპზე ამას აზრი არ ჰქონდა. ვფიქრობ, „დინამოს" ახლა გასასხვისებელი ფეხბურთელი აღარ შერჩა.

**- რეალურად მიგაჩნიათ ამ შემადგენლობით უმაღლეს ლიგაში დარჩენა?**

- ვნახოთ, შანსი ნამდვილად გვაქვს. უმაღლესში არცთუ ცოტა გაჭირვებული გუნდია, რამდენიმე მათგანს შეიძლება ვაჯობოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართული ლეგიონი

# აშვეთიას მეორე სუნთქვა გაეხსნა


მიხეილ აშვეთია (მარცხნივ)

**გასულ უქმეებზე ქართული ლეგიონის გოლების უდიდესი წილი მახაჭყალურ მატჩზე მოდის – 3. თავი 30 წლის მიხეილ აშვეთიამ (დუბლი) და 19 წლის რევაზ ბარაბაძემ გამოიჩინეს. კიდევ ერთმა ჩვენმა ფორვარდმა, ვასილ გიგიაძემ ევროთასის მატჩში გაიტანა, ერთი გოლიც ყაზახეთში ჩვენებური მცველის ანგარიშზეა..**

## ასათიანს სასტარტო სანატრელი გაუხდა

რუსეთის პრემიერლიგაში პირველი წრე პირველ ადგილზე დაასრულა ქართული ტრიოს „რუბინმა“, თუმცა ბოლოს ყაზანურმა კლუბმა მთელი ჰანდიკაპი გაანიავა, რადგან 6 მატჩიდან 5 ფრედ დაასრულა და ერთიც წააგო. „რუბინმა“ მოსკოვის ცსკა-ს უმასპინძლა და 0:0 დაუზავდა. **ნუკრი რევიშვილი** წინა დღეს დუბლების მატჩშიც (1:3) არ გამოჩენილა - კარში **კორტნევი** იდგა. პრემიერლიგის შეხვედრაში კი, მოულოდნელად, სათადარიგოთა სკამზე ვიხილეთ **დავით კვირკველია**, რომელსაც აქამდე სასტარტოში მოხვედრის პრობლემა არ ჰქონია. გუშინ დათო 28 წლის გახდა. **ლაშა სალუქვაძემ** 90 წუთი ითამაშა. „ჩემპიონატ რუმ“ მისი გარჯა 6 ქულით შეაფასა, რაც გოლკიპერს თუ არ ჩავთვლით, გუნდში საუკეთესო შეფასებაა. „რუბინმა“ სეზონის ნახევარში 29 ქულა დააგროვა და უახლოეს მდევრებს, „ამკარსა“ და „დინამოს“ 2-2 ქულით უსწრებს.

მოსკოვის დერბიში „ლოკომოტივს“ არ გაუჭირდა „მოსკვას“ ძლევა – 3:0. მაგრამ რკინიგზელებმა კიდევ ერთხელ ითამაშეს უქართველებოდ, დიდი ხნით დავიწყებული **დავით მუჯირის** უთამაშებლობას **მალხაზ ასათიანის** პრობლემაც შეემატა. არადა, ასათიანი აქამდე „ლოკომოტივის“ ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნეოდა. „ლოკომოტივმა“ წრე 24 ქულით მეოთხე ადგილზე დაასრულა.

## რით გაგახაროთ

უკრაინის ვიშა ლიგაში მეორე ტურის მატჩები გაიმართა. ვერაფრით გაგახარებთ. ერთადერთი ქართველი ლეგიონერი, რომელიც თავის გუნდში მყარად არის ძირითად შემადგენლობაში, 31 წლის ვასილ გიგიაძეა. მისი გუნდი, მოგეხსენებათ, ინტერტოტოს თასზე თამაშობდა. სხვები კი... ყველაზე ახლოს თამაშთან **გიორგი ციმაკურიძე** („ზარია“) და **კახა მჟავანაძე** („ჩერნომორეცი“) იყვნენ, რომლებიც სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ.

## აშვეთიამ ათი შეასრულა

როგორც ჩანს, წრეებს შორის შესვენებამ **ომარ თეთრაძის** „ანჟის“ არგო – 23-ე ტურში დაღესტნურმა კლუბმა ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი“ 3:0 გაანადგურა. სამივე გოლი ქართულია – **მიხეილ აშვეთიამ** დუბლი შეასრულა, **რევაზ ბარაბაძემ** კი სეზონში პირველი გოლი გაიტანა. თეთრაძემ სასტარტოში **ვალერი აბრამიძე, გიორგი ნავალოვსკი, ზურაბ არზიანი** და მიხეილ აშვეთია ათამაშა. **რევაზ ჯიქია** 52-ე წუთზე გამოჩნდა, ხოლო ბარაბაძემ 75-ე წუთზე მატჩის გმირი აშვეთია შეცვალა. პირველი ტაიმის შვიდწუთიან ინტერვალში აშვეთიამ ორჯერ გაიტანა, ჯერ **ცორაევის** პასით, შემდეგ პენალტის ნიშნულიდან (22-ე და 29-ე წუთები). ამით აშვეთიამ თავისი მონაგარი ათ გოლამდე გაზარდა. ბარაბაძეს საკმაოდ ლამაზი გოლი გამოუვიდა, მან ერთი მცველი მოატყუა და შორეულ კუთხეში გაიტანა. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ომარ თეთრაძემ განაცხადა, რომ თამაშის ხარისხით დაახლოებით 70 პროცენტით კმაყოფილი დარჩა.

**გია გრიგალავას** როსტოვის სკა შინ ხაბაროვსკის სკა-ს დაუზავდა – 2:2. ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა. **პაატა ჯინჭარაძის** ბრიანსკის „დინამო“ სტუმრად 1:2 დამარცხდა „ვიტიაზთან“. ჯინჭარაძემ 90 წუთი ითამაშა. სკა 30 ქულით მე-10 ადგილზეა, ხოლო „დინამო“ 12 ქულით უკანასკნელია. „ანჟი“ 45 ქულით მეორე ადგილზეა და, თუ სეზონის ბოლომდე შეინარჩუნებს ამ პოზიციას, პრემიერლიგაში გადავა.

## ირაკლის ტაიმი და ფრე

სლოვაკეთში მეორე ტურის მატჩში „ნიტრა“ „ზლატე მორავცეს“ ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. ჩვენმა თანამემამულემ, „ნიტრას“ ფორვარდმა **ირაკლი ლილუაშვილმა** პირველი ტაიმი ითამაშა, შემდეგ ის **იაკუბიაკით** შეცვალეს. „ნიტრას“ კარგი სტარტი გამოუვიდა, 2 თამაშიდან 4 ქულით კლუბი გორგონ ლიგაში მეოთხე ადგილზეა.

## ჭელიძის გადამწყვეტი

ყაზახეთში მე-18 ტურის მატჩებში თავი „კაისარის“ მცველმა **ლაშა ჭელიძემ** გამოიჩინა, „ნეფთჩელი“ ფორვარდის უფროსმა ძმამ „ტობოლთან“ მატჩის 74-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა – 3:2. ლაშამ თავისი პირველი გოლი ყაზახეთში ასე გაიტანა - **ბაიჟანოვის** კუთხურს თავი დაუხვედრა და „ცხრიანში“ გაიტანა. ყარალანდის „შახტიორი“ სტუმრად „ალმათის“ დაუზავდა – 3:3. **ლაშა ნოზაძე** 43-ე წუთზე გამოჩნდა **ბაბაის** ნაცვლად. „კაისარი“ 34 ქულით მე-4 ადგილზეა, „შახტიორი“ 25 ქულით მეექვსეა. გუშინ, „ვოსტოკმა“ სტუმრად 2:1 აჯობა „ორდაბასის“ და 23 ქულით მე-8 ადგილზე აინაცვლა.

მოლდოვაში კიშინოვის „ზიმბრუმ“ ვერ დაამარცხა „ტირასპოლი“ – 1:1. **მამუკა ლომიძემ** შეუცვლელად ითამაშა მატჩში, რომელსაც სულ 500 მაყურებელი დაესწრო.

ბელარუსში ჩემპიონობისთვის მებრძოლმა მინსკის „მტზ-რიპომ“ ბრესტში ადგილობრივი „დინამო“ დაამარცხა – 2:0. გამარჯვებულთა ნახევარმცველი **გივი კვარაცხელია** მოედანზე 57-ე წუთიდან გამოჩნდა. ბრესტელი ქართველები, დიდი ხანია, დუბლებში გადაიყვანეს, თუმცა ამ ტურში **რომან გოგინაშვილი** და **გია თოდუა** დუბლებშიც არ გამოჩენილან. მინსკის „დინამომ“, სადაც **სანდრო იაშვილი** ისინჯება, „ლოკომოტივს“ 2:1 აჯობა. სტუმართა მეკარე **ვლადიმერ ზუხბაია** ამჯერად სათადარიგო იყო.

ქართველები ინტერტოტოზე

## გიგიაძის მეორე და ბოლო ინტერტოტოზე

სიმფეროპოლში მატჩის გმირი **ვასილ გიგიაძე** გახდებოდა, მის თანაგუნდელ **გალიუზას** პენალტების სერიაში რომ არ აეცილებინა გადამწყვეტი დარტყმა. „ტავრია“ საპასუხო მატჩში ფრანგულ „რენს“ მასპინძლობდა და 15 ათასი გულშემატკივრისგან შეგულიანებული პირველ მატჩში დაკარგულის (0:1) აღმოფხვრას ცდილობდა. 71-ე წუთამდე ამაოდ, შემდეგ კი ჩაწოდებულს თავი ყოჩაღად დაუხვედრა ქართველმა ფორვარდმა და დაახლოებით 12 მეტრიდან გაიტანა. მატჩი დამატებით დროში, შემდეგ კი პენალტების სერიაში გაგრძელდა, სადაც გიგიაძემ თავისი პენალტი გაიტანა. საბოლოოდ 9:10 სერიაში და უეფას თასზე „რენი“ ითამაშებს. მატჩის შემდეგ „რენის“ მთავარმა მწვრთნელმა **გი ლაკომბმა** განსაკუთრებით გამოყო გიგიაძის კარგი თამაში და აღნიშნა, რომ ასეთი დონის ფეხბურთელთან გამკლავება მის შეგირდებს გაუჭირდათ.


ილია კანდელაკი ჰონვედთან მატჩში

## ადამია ძელმა დაალალატა

უეფას თასს მიღმა დარჩა ბაქოს „ნეფთჩიც“. აზერბაიჯანელებს მათი საკლუბო ფეხბურთის არცთუ მდიდარი ისტორიის გამრავალფეროვნებისთვის 90 წუთი უნდა გაეძლოთ რუმინულ „ვასლუისთან“ , მაგრამ მათ ვერ შეინარჩუნეს შინ მიღწეული (2:1) უპირატესობა და სტუმრად 0:2 დამარცხდნენ. „ნეფთჩის“ ქართველ ლეგიონერს, **გიორგი ადამიას** შეეძლო ამ წყვილში გამარჯვებული აზერბაიჯანული კლუბი დაეტოვებინა, მაგრამ 0:0-ზე გიორგიმ ჯერ ძელს გაარტყა, შემდეგ მეკარესთან პირისპირ გასულმა ეს უკანასკნელი მოატყუა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა. 73-ე წუთზე **აბუშევის** ნაცვლად **გიორგი ჭელიძეც** ვიხილეთ, თუმცა ის ვერაფრით დაეხმარა „ნეფთჩის“.

## ავსტრიული ენდშპილი ბუდაპეშტში

**გიორგი შაშიაშვილის** და **ილია კანდელაკის** „შტურმი“ უეფას თასზეა – ინტერტოტოს ფინალური ეტაპის საპასუხო მატჩში ავსტრიულმა გუნდმა სტუმრად 2:1 დაამარცხა „ჰონვედი“. გამარჯვებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშეს ფლანგის ქართველმა მცველებმა. „შტურმი“ შინ 0:0-ს შემდეგ გავარდნის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ის ბუდაპეშტში მეორე ტაიმის შუამდეც 0:1-ს აგებდა.

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა. III ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი-მატერსბურგი | 3:0 | 90 წუთი | 2 თ. 0 გ. |
| ილია კანდელაკი | შტურმი-მატერსბურგი | 3:0 | 90 წუთი | 2 თ. 0 გ. |
| II ბუნდესლიგა. III ტური | | | | |
| მირზა ბუალავა | ავსტრია ლ.-ზალცბ. (ახ) | 1:2 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერ ლიგა. XV ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი-სპარტაკი ნ. | 2:0 | 90 წუთი | 11 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | ხიმკი-სპარტაკი ნ. | 2:0 | 54 წთ, შეცვალეს | 13 თ. 1 გ. |
| ალექს. ამისულაშვილი | ხიმკი-სპარტაკი ნ. | 2:0 | 90 წუთი | 15 თ. 3 გ. |
| ლევან გვაზავა | სპარტაკი-ლუჩი | 3:0 | არ უთამაშია | 13 თ. 2 გ. |
| მალხაზ ასათიანი | მოსკვა-ლოკომოტივი | 0:3 | არ უთამაშია | 4 თ. 0 გ. |
| დავით მუჯირი | მოსკვა-ლოკომოტივი | 0:3 | არ უთამაშია | 3 თ. 0 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი-ცსკა | 0:0 | 90 წუთი | 8 თ. 0 გ. |
| დავით კვირკველია | რუბინი-ცსკა | 0:0 | სათადარიგო | 12 თ. 2 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი-ცსკა | 0:0 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| I დივიზიონი. XXII ტური | | | | |
| გია გრიგალავა | სკა-სკა ენერგია | 2:2 | 90 წუთი | 7 თ. 0 გ. |
| პაატა ჯინჭარაძე | ვიტიაზი-დინამო | 2:1 | 90 წუთი | 19 თ. 0 გ. |
| გიორგი ნავალოვსკი | ანჟი-ჩერნომორეცი | 3:0 | 90 წუთი | 18 თ. 0 გ. |
| ვალერი აბრამიძე | ანჟი-ჩერნომორეცი | 3:0 | 90 წუთი | 21 თ. 1 გ. |
| ზურაბ არზიანი | ანჟი-ჩერნომორეცი | 3:0 | 90 წუთი | 17 თ. 0 გ. |
| გოჩა ხოჯავა | ანჟი-ჩერნომორეცი | 3:0 | არ უთამაშია | 18 თ. 1 გ. |
| რევაზ ბარაბაძე | ანჟი-ჩერნომორეცი | 3:0 | 15 წთ, შეცვლაზე, 1 გოლი | 8 თ. 1 გ. |
| რევაზ ჯიქია | ანჟი-ჩერნომორეცი | 3:0 | 38 წთ, შეცვლაზე | 13 თ. 3 გ. |
| მიხეილ აშვეთია | ანჟი-ჩერნომორეცი | 3:0 | 75 წთ, შეცვალეს, 2 გოლი | 20 თ. 10 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა. II ტური | | | | |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | - | | 1 თ. 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო-დინამო | 1:3 | არ უთამაშია, დუბლები | 0 თ. 0 გ. |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო-დინამო | 1:3 | არ უთამაშია, დუბლები | 0 თ. 0 გ. |
| კახა მჟავანაძე | მეტალურ დ-ჩერნომორ. | 1:0 | სათადარიგო | 0 თ. 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ვორსკლა-ზარია | 0:1 | სათადარიგო | 1 თ. 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი-კრივბასი | 1:1 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| **სლოვაკეთი** | | | | |
| გორგონ ლიგა. II ტური | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ზლატე მორავცე-ნიტრა | 1:1 | 45 წთ, შეცვალეს | 2 თ. 0 გ. |

# მარცხენა ფლანგი გარანტირებული არ მაქვს


ლევან კობიაშვილი

**ლევან კობიაშვილის** და **ლევან ყენიას** „შალკე“ ახალი სეზონისთვის ავსტრიაში ემზადება და „ჰარტბერგის“ სტადიონზე თურქულ „ბეშიქთაშთან“ 1:2 დამარცხდა. კობიაშვილი სასტარტოში იყო, ის 70-ე წუთზე **გროსმიულერით** შეცვალეს. **რუტენმა** კობი მარცხენა მცველად ათამაშა. ლევან ყენია გრიპმა გელზენკირხენში დატოვა. თამაშის შემდეგ კობიაშვილს სწორედ იმაზე დაეკითხნენ, რომ მას გუნდში აქამდე ვერ შეურჩიეს პოზიცია. *„გუნდი ჯერ სეზონისთვის მზადების შუაშია. ძიების პროცესი გრძელდება. ვერ ვიტყვი, რომ დაცვის მარცხენა ფრთაზე ადგილი გარანტირებული მაქვს. გუნდში დიდი კონკურენციაა და ეს* კარგია“, - განაცხადა ჩვენმა თანამემამულემ.

წააგო ბუნდესლიგის კიდევ ერთი ქართველის, **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ“. გერმანული გუნდი „სტრასბურთან“ 0:1 დამარცხდა. იაშვილმა შეუცვლელად ითამაშა. სამშაბათს მას ყოფილი გუნდის, „ფრაიბურგის“ კარზე მოუწევს შეტევა.

„მიუნხენის“ მცველი **მათე ღვინიანიძე** ინდივიდუალურად ემზადება და უკვე თავს კარგად გრძნობს. კლუბის ექიმების ვარაუდით, ის პირველად 3 აგვისტოს ითამაშებს, როცა მეორე ბუნდესლიგის გუნდი თურქულ „გალათასარაის“ ამხანაგურად დაუპირისპირდება.

მეორე ბუნდესლიგის „აუგსბურგი“ „შვაბენს“ ეთამაშა და 3:0 მოუგო. გუნდმა ტაიმები ორი განსხვავებული შემადგენლობით ჩაატარა. **ოთარ ხიზანეიშვილმა** მეორე ტაიმში ითამაშა. მე-80 წუთზე მას გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მისი თავური დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს.

## განუგრავამ გამარჯვებისა ვერ გაიტანა

ჩეხური გამბრინუს ლიგის კლუბი „მლადა ბოლესლავი“ კვიპროსის ლარნაკას აეკ-ს ამხანაგურად გაეჯიბრა. **გიორგი განუგრავა** მატჩის 76-ე წუთზე **რაინოხის** ნაცვლად გამოჩნდა. თამაშის მიწურულს მას გამარჯვების გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ აეკ-ის კიპერმა **ბობოკმა** ქართველის დარტყმული მოიგერია.

პლზენის „ვიქტორია“ ლარნაკის მეორე კლუბს, ალკი-ს დაუპირისპირდა და 2:1 აჯობა. **დიმიტრი ტატანაშვილმა** პირველი ტაიმი ითამაშა, შემდეგ მის ნაცვლად **ვარადი** გამოვიდა.

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეკორდო გარიგება

# ტევესი, ბრიტანეთის უძვირესი ფეხბურთელი

## მსოფლიოს სატრანსფერო რეკორდს ჯერჯერობით არაფერი ემუქრება

ბრიტანეთის ხუთი უძვირესი ტრანსფერი

| ფეხბურთელი | საიდან | სად | წელი | ფასი |
|---|---|---|---|---|
| 1. კარლოს ტევესი | MSI | მანჩესტერ იუნ. | ივლისი, 2008 | 32 მილიონი |
| 2. ანდრეი შევჩენკო | მილანი | ჩელსი | მაისი, 2006 | 30.6 მილიონი |
| 3. რიო ფერდინანდი | ლიდსი | მანჩესტერ იუნ. | ივლისი, 2002 | 29.1 მილიონი |
| 4. ხუან ვერონი | ლაციო | მანჩესტერ იუნ. | ივლისი, 2001 | 28 მილიონი |
| 5. უეინ რუნი | ევერტონი | მანჩესტერ იუნ. | აგვისტო, 2004 | 27 მილიონი |

**კარლოს ტევესი** ბრიტანეთის უძვირესი ფეხბურთელი გახდება. "მანჩესტერ იუნაიტედი" არგენტინელ თავდამსხმელს სარეკორდო 32 მილიონ გირვანქად შეიძენს. ტევესი "ოლდ ტრეფორდზე" იჯარით თამაშობდა. მისი სატრანსფერო უფლებები ხაინვესტიციო კომპანია MSI-ის ეკუთვნოდა. საიჯარო ხელშეკრულება მომავალ ზაფხულამდე იყო გაფორმებული, მაგრამ "იუნაიტედმა" ლოდინი აღარ ისურვა. უცნობია, "ეშმაკები" ამ თანხას ერთბაშად გადაიხდიან, თუ ნაწილ-ნაწილ, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

ტევესის ტრანსფერზე მოზრდილი დეტექტივის დაწერა შეიძლება. 24 წლის ფეხბურთელი ინგლისში 2006 წლის ზაფხულში გადავიდა. მან "ვესტ ჰემთან" გააფორმა კონტრაქტი. როდესაც კარლოსის "მანჩესტერში" ტრანსფერის გადაწყდა, ინგლისის პრემიერლიგამ აღმოაჩინა, რომ ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებები არა "ვესტ ჰემის", არამედ მესამე მხარის ხელში იყო. ეს სატრანსფერო კანონმდებლობის დარღვევაა. "ვესტ ჰემს" პრემიერლიგიდან გაძევება დაემუქრა. საბოლოოდ, კლუბს სარეკორდო ჯარიმა აკმარეს. "ჩაქუჩებს" 5.5 მილიონი გირვანქის გადახდა მოუხდათ. კარლოსმა კი "იუნაიტედში" ამოჰყო თავი.

"მანჩესტერს" MSI-ისაგან ფეხბურთელის გამოსყიდვა, როგორც აღვნიშნეთ, 32 მილიონი გირვანქა დაუჯდება. ინგლისში მოთამაშის სანაცვლოდ ამხელა თანხა არასოდეს გადაუხდიათ. დღემდე სარეკორდოდ ითვლებოდა **ანდრეი შევჩენკოს** "ჩელსიში" ტრანსფერი. 2006 წლის ზაფხულში, "არისტოკრატებმა" "მილანს" 30.6 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. უძვირეს ბრიტანელ ფეხბურთელად ისევ **რიო ფერდინანდი** რჩება. ის "მანჩესტერ იუნაიტედში" 2002 წელს, "ლიდსიდან", 29.1 მილიონ გირვანქად გადავიდა.

მსოფლიოს უძვირესი მოთამაშე კვლავ **ზინედინ ზიდანია**. 2001 წლის ზაფხულში, "რეალმა" "იუვენტუსს" მის სანაცვლოდ 46 მილიონი ევრო მიუთვალა. სპეკულაციების თანახმად, ზიდანის რეკორდი **კრისტიანო რონალდოს** "რეალში" ან **კაკას** "ჩელსიში" ტრანსფერისას დაემხობა. თუმცა ამ გარიგებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები ჯერაც არ არის მიღებული.



კარლოს ტევესი

რაც შეეხება ტევესს, მან მწვრთნელებისა და გულშემატკივრების გული იოლად მოიგო. კარლოსს "იუნაიტედში" ფეხის მოსაკიდებლად სულ რამდენიმე თვე დასჭირდა. გასულ სეზონში მან 48 მატჩი ჩაატარა და 19 გოლი შეაგდო. ტევესისათვის შეთავაზებული კონტრაქტის დეტალები უცნობია. არგენტინელ ვარსკვლავს უცნაური იდეა აქვს აკვიატებული. ის ამბობს, რომ პენსიაში გასვლას 28 წლის ასაკში აპირებს — ფეხბურთიდან იმ დროს უნდა წავიდე, როდესაც ფორმის პიკში ვიქნებიო.



უეინ რუნი კაიზერ ჩიფსთან ფინალური მატჩისას

მანჩესტერ იუნაიტედი

# ბერბატოვი აღარ იქნება

## ამ უქმეებზე ეშმაკებმა 30 საათში ორი მატჩი გამართეს

"მანჩესტერ იუნაიტედი" **დიმიტარ ბერბატოვს** აღარ შეიძენს. ეს ინფორმაცია "ნიუ ოფ ზე უორლდმა" გაავრცელა. "ეშმაკებმა" "ტოტენჰემს" 20 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს. "იუნაიტედის" ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ ლონდონელები განზრახ ცდილობენ ტრანსფერის ჩაშლას. მათი აზრით, "მამლები" მზად არიან, ბერბატოვი დაუთმონ ყველას, მანჩესტერელთა გარდა. ბულგარელის გამო, ორ კლუბს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. "ტოტენჰემის" თავმჯდომარემ, **დანიელ ლევიმ სერ ალექს ფერგიუსონი** ფორვარდთან ფარულ მოლაპარაკებებში დაადანაშაულა. მან პრემიერლიგას გამოძიების დაწყება სთხოვა. ფერგის ეს განცხადება უკომენტაროდ არ დაუტოვებია. მან ლევის ცილისწამებაში დასდო ბრალი და სასამართლოში ჩივილით დაემუქრა.

თუ ბერბატოვის ტრანსფერი არ შედგება, "ეშმაკები" ალტერნატიულ ვარიანტებზე დაიწყებენ მუშაობას. მათი თვალთახედვის არეში არიან აიაქსელი **კლაას იან ჰუნტელაარი** და ბლექბერნელი **როკე სანტა კრუსი**. ჰუნტელაარის ტრანსფერის ალბათობა ძალიან მცირეა. მან ამსტერდამელებთან ახალი კონტრაქტი გააფორმა და გუნდის კაპიტნად დაინიშნა. რაც შეეხება სანტა კრუსს, პარაგვაელ თავდამსხმელს "არსენალშიც" ეპატიჟებიან.

გუშინ "იუნაიტედმა" აფრიკული ტურნე დაასრულა. ინგლისისა და ევროპის ჩემპიონებს გადატვირთული უქმეები გამოუვიდათ. თავად განსაჯეთ: შაბათ საღამოს, "ვოდაკომის თასის" ფინალში, "მანჩესტერი" "კაიზერ ჩიფსს" ეთამაშა (4:0). იმავე საღამოს ნიგერიაში გადაფრინდა და გუშინ, გვიან ღამით "პორტსმუთთან" ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ორი მატჩი 30 საათში და დაახლოებით ხუთიათასკილომეტრიანი მოგზაურობა — სერ ალექსს არ დაუმალავს, რომ ამ გადარბენას ფინანსური დაინტერესება ედო საფუძვლად. ნიგერიაში ჩასვლისათვის ორგანიზატორებმა ეშმაკებს 1.5 მილიონი გირვანქა მიუთვალეს.

აი, რა განაცხადა ფერგიმ "კაიზერ ჩიფსის" დამარცხების შემდეგ: *"გადატვირთული გრაფიკია, მაგრამ "ჩიფსთან" თამაშში შევეცადეთ, ფეხბურთელები მაქსიმალურად დაგვეზოგა. 90 წუთის განმავლობაში მარტო კრეიგ კეთკარტმა, დენი სიმპსონმა და ჯონ ოშიმ ითამაშეს. ისინი ნიგერიაში თადარიგში იქნებიან. დაცვის ცენტრში გარი ნევილსა და მიკაელ სილვესტრს ვათამაშებთ. ძირითადში დავაყენებთ პოლ სქოულზსა და კარლოს ტევესსაც. ნიგერიაში არასოდეს ვყოფილვართ. მოუთმენლად ველოდებით იქაურ გულშემატკივრებთან შეხვედრას."*

ახლა უფრო დაწვრილებით "ვოდაკომის" ფინალზე. ტურნირი სამხრეთ აფრიკაში გაიმართა. "იუნაიტედმა" ადგილობრივ კლუბებთან სამი მატჩი ჩაატარა და სამივე მოიგო. გადამწყვეტ შეხვედრაში მისი მეტოქე იყო "კაიზერ ჩიფსი". "ეშმაკები" ამ გუნდს ერთი კვირის წინაც შეხვდნენ. აფრიკელებმა ისე იუხეშეს, რომ **უეინ რუნიმ** თავი ველარ შეიკავა და ლამის მუშტი-კრივი გააჩაღა. სერ ალექსმა ფეხბურთელი დაუყოვნებლივ გაიყვანა, რომ წითელი ბარათი არ მიეღო.

ამჯერად, თამაშმა ზედმეტი ვნებათაღელვის გარეშე ჩაიარა. რუნიმ 66 წუთი ითამაშა, ერთი გოლი შეაგდო (57) და ერთი საგოლე გადაცემა მიითვალა. თავი გამოიჩინეს ახალგაზრდებმა — **ტომ კლევერლიმ** (62) და **ფრეიზერ კემპბელმა** (86; ამ უკანასკნელმა გასული სეზონი იჯარით "ჰალ სიტიში" გაატარა და 16 გოლი შეაგდო). ანგარიში უბერებელმა **რაიან გიგზმა** (40) გახსნა.

თითო-ოროლა მომენტი მეტოქესაც ჰქონდა. პირველ ნახევარში განაპირა მცველმა **კრეიგ კეთკარტმა** უხეიროდ ითამაშა. ბურთი აფრიკელ თავდამსხმელს მიუგორდა და მან ძლიერად დაარტყა. "ეშმაკები" **ნემანია ვიდიჩმა** გადაარჩინა. "მანჩესტერ იუნაიტედმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *კუშჩაკი, სიმპსონი, ვიდიჩი (63. ევანსი), კეთკარტი, ოში, ფლეტჩერი (63. გიბსონი), პოსებონი (46. კლევერლი), ქერიკი (63. სქოულზი), მარტინი (46. იგლსი), რუნი (66. ტევესი), გიგზი (66. კემპბელი).*

ჩელსი

# ბალაკი 2010 წელს წავა?

## არისტოკრატები: დღეს უფრო ძლიერად, ვიდრე გუშინ, ბოსინგვას სამი კვირა გაუცდება

"დეილი მეილის" ცნობით, **მიხაელ ბალაკი** ფეხბურთიდან წასვლას 2010 წელს აპირებს. გერმანელი ნახევარმცველი 31 წლისაა. მას ლონდონურ კონტრაქტში ერთი წელი აქვს დარჩენილი. ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომელიც თანამშრომლობის ერთი წლით გაგრძელებას ითვალისწინებს. ბალაკი ამ პუნქტით ისარგებლებს და "სტემფორდ ბრიჯზე" კიდევ ერთი წელი დარჩება. 2010 წლის მუნდიალის შემდეგ კი ფეხბურთის თამაშს თავს დაანებებს.

ტაბლოიდმა ამ მოულოდნელი ინფორმაციის გადამოწმება სცადა. "ჩელსის" წარმომადგენელმა "დეილი მეილს" განუცხადა, რომ თუ მიხაელი გადაიფიქრებს, მას აუცილებლად შესთავაზებენ ხანგრძლივ ხელშეკრულებას (სავარაუდოდ, ხელფასის შემცირების სანაცვლოდ). თუ არა, კლუბი ფეხბურთელის ნებისმიერ გადაწყვეტილებას პატივისცემით მოეკიდება.

ბალაკმა ბევრ თანაგუნდელზე უფრო დიდხანს დაისვენა. მას საპატიო მიზეზი ჰქონდა. ჯერ ევროპის ჩემპიონატის ფინალში ითამაშა, შემდეგ კი იმ მეგობარზე დაქორწინდა, რომელთანაც სამი შვილი ჰყავს. გერმანელმა ვარსკვლავი "არისტოკრატებს" ჩინეთში შეუერთდა.

სანამ ბოლო ამხანაგური მატჩის შესახებ მოგიყვებოდეთ, **ჟოზე ბოსინგვასზე** უახლეს ინფორმაციას მოგაწოდებთ. გაირკვა, რომ "ჩელსის" ახალწვეულს მინიმუმ სამი კვირა გაუცდება. ესე იგი, ის პრემიერლიგის პირველ ტურში ვერ ითამაშებს. ინგლისის ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში, 17 აგვისტოს, "ჩელსი" "პორტსმუთს" უმასპინძლებს. ლონდონელებმა ბოსინგვა "პორტუდან" 16 მილიონ გირვანქად შეიძინეს. ის "გუანჯოუსთან" ბოლოსწინა ამხანაგური მატჩის მე-20 წუთზე დაშავდა და ლონდონში გაგზავნეს.

"არისტოკრატებმა" ჩინეთში მორიგი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს. მაკაუში, "ჩენგდუ ბლეიდის" კარში შვიდი უპასუხო გოლი გავიდა. **ფრენკ ლემპარდმა** ისევ გამოიჩინა თავი, **ჯო კოულმა** დუბლი გამოაცხო, თითო გოლი მიითვალეს **ანელკამ, კალუმ, დი სანტომ** და **რაიტ-ფილიპსმა**. **ლუიშ ფელიპე სკოლარი** ძალიან კმაყოფილი იყო: *"ფეხბურთელები წინა შეხვედრაზე უკეთ გამოიყურებოდნენ. ნაყოფიერი ვარჯიშების შედეგად, ისინი თანდათან ფორმაში დგებიან."*

"ჩელსიმ" მეტოქე პირველივე წუთებიდან დაჩაგრა. ლემპარდმა, კალუმ და **ესიენმა** ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. მე-15 წუთზე ნიკოლა ანელკამ გაიბრწყინა. მან იოლად მოატყუა მასპინძელთა მეკარე **ლან ი** და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. 30-ე წუთზე ანელკამ საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში. იერიში შონ რაიტ-ფილიპსმა დაიწყო. მან ფლანგზე ფრანგი თავდამსხმელი დაინახა. ნიკოლამ ბურთი კარის გასწვრივ ჩაწოდა. სალომონ კალუმ ბურთს ფეხი დაუხვედრა და ანგარიში ორამდე გაზარდა. შესვენებამდე, ლემპარდმა კალუს პასით ისარგებლა და მესამე გოლი შეაგდო.

მეორე ტაიმში, სკოლარიმ სანახევროდ შეცვლილი შემადგენლობაში გამოიყვანა, თუმცა ჩინელები ამ გუნდის წინააღმდეგაც უძლურნი აღმოჩნდნენ. ანელკამ ლონდონურ კარიერაში ერთ-ერთი



მიხაელ ბალაკი დღევანდელი ხელშეკრულება გასვლის შემდეგ

საუკეთესო თამაში ჩაატარა. 54-ე წუთზე მან ჯო კოული ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. ნახევარმცველმა მეტოქე მეოთხედ დაამწუხრა. ანელკას დუბლის გაკეთება შეეძლო, მაგრამ მისი თავური დარტყმისას, ბურთი კარს ზემოდან გადასცდა. ხუთიოდ წუთში ნიკოლამ მესამედ იტვირთა ასისტენტობა. არგენტინელმა თინეიჯერმა ფრანკო დი სანტომ "ჩელსის" ძირითადში ჩატარებულ მეორე მატჩში მეორე გოლი გაიტანა.

81-ე წუთზე, რაიტ-ფილიპსის პასისას, ჯო კოულმა მეორე გოლი ქუსლით შეაგდო. თამაშს რაიტ-ფილიპსმა დაუსვა წერტილი: **ფლორან მალუდას** ჩაწოდებისას, შონს ბურთი მკერდში მოხვდა და კარში შეგორდა. გუშინ ლონდონელები მალაიზიაში გაფრინდნენ. ისინი კუალა ლუმპურში ერთ თამაშს ჩაატარებენ და მოსკოვში გაემგზავრებიან, სადაც რუსეთის რკინიგზის თასის გათამაშებაში ჩაებმებიან. "არისტოკრატებმა" მაკაუში ასეთი შემადგენლობაში ითამაშეს: *ჩეხი (60. ილარიო), ფერეირა (46. ივანოვიჩი), ალექსი (46. კარვალიო), ტერი (53. ჯო კოული), ეშლი კოული (46. ბრიჯი), დეკუ, ესიენი, ლემპარდი (46. მიკელი), რაიტ-ფილიპსი, ანელკა (60. დი სანტო), კალუ (46. მალუდა).*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ბაიერნი

# კლინსმანი: 50-მილიონიანი ტრანსფერები არაფერში გვჭირდება

## იურგენის პირველი თავდასხმა ენაჭარტალა გენერალურ მენეჯერზე

იმის გამო, რომ ბუნდესლიგურ კლუბებს ტელევიზიებიდან კვლავაც არ შესდით იმდენი ფული, რამდენიც ესპანურ, იტალიურ და ინგლისურ კლუბებს, „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ძალიან სკეპტიკურადაა განწყობილი. აი, რა თქვა კალემ: „მოვიდა დრო, რომ სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ და ეს სიმართლე გერმანელ ფანებსაც გავანდოთ. სიმართლე ხშირად მწარეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის უნდა შეისმინო და გაითავისო. პირადად მე, უახლოეს წლებში რომელიმე გერმანულ კლუბს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის რანგში ვერ მოვიაზრებ."

„ბაიერნის" ბოსის ამ განცხადებას მყისვე მოჰყვა რეაქცია – ისევ და ისევ, „ბაიერნიდან". რუმენიგეს ბავარიული გრანდის თავკაცი **იურგენ კლინსმანი** გამოეხმაურა და საკმაოდ კრიტიკულადაც.

„მესმის, რომ ბუნდესლიგაში იმდენი ფული არ ტრიალებს, რამდენიც სხვა ქვეყნებში და ჩვენი კლუბებიც უფრო ღარიბები და შესაბისად, შებოჭილები არიან, იხდიან ძალიან დიდ გადასახადებს და ა.შ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ სხვა ქვეყნებზე სუსტი კლუბები უნდა გვყავდეს და თუ გვყავს, ფეხი ფეხზე უნდა გადავიდოთ. ევროპის 15 საუკეთესო კლუბი შესანიშნავი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ ჩემთვის გუნდში შექმნილი ატმოსფერო, სამუშაო სტილი და კლუბის ფილოსოფიის სწორად ჩამოყალიბება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე 50-მილიონიანი ტრანსფერი," - განუცხადა კლინსმანმა „ზუდდოიჩე ცაითუნგს", - "ჩემი საქმე ისაა, ფეხბურთელები ისეთ დონეზე მოვამზადო, რომ ძალიან მდიდარ კლუბებსაც კი სიცოცხლე გაუმწარონ. „ბაიერნს" ძვირფასი ტრანსფერებით თავის მოწონება არ ჭირდება. ჩვენ უნდა შევქმნათ გუნდი, რომელიც „მილანსა" და „ჩელსისაც" უდიდეს კონკურენციას გაუწევთ და ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს შეუძლებელია. დააკვირდით, ბოლო წლებში მილანის „ინტერი" ყოველწლიურად 100 მილიონამდე ხარჯავდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა დღემდე ვერ მოიგო."



იურგენ კლინსმანს მიაჩნია, რომ ბაიერნს ამ შემადგენლობითაც შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება

### 4-4-2, თუ 3-5-2?

მომავალ სეზონში კლინსი „ბაიერნისთვის" ორ ტაქტიკას განიხილავს. "შემადგენლობით თუ ვიმსჯელებთ, ლოგიკურად, 4-4-2-ით უნდა ვითამაშოთ. ნახევარდაცვა ან ერთ ხაზზე უნდა იყოს განლაგებული, ან ორი საყრდენითა და ორი ძალიან შემტევი გარემარბით, ანაც ერთი ჩამშლელითა და ერთი პლეიმეიქრით. მაგრამ ფაქტია, რომ ალტერნატივებზეც უნდა ვიმუშაოთ," – აცხადებს კლინსი.

იმის გამო, რომ იურგენი მინიმუმ ორი ფორვარდით თამაშის მომხრეა, დიდი შანსია, რომ რეკორდმაისტერის ტაქტიკა 3-5-2 იყოს. კლინსმანი: "დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში ბუნდესლიგაში კიდევ უფრო მეტი გუნდი ითამაშებს მხოლოდ ერთი ფორვარდით. ასეთ შემთხვევაში მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ გუნდს, რომელიც მხოლოდ ერთი თავდამსხმელით ასპარეზობს, ოთხი მცველი დავუყენო. რაში მჭირდება ეს? სამიც საკმარისი იქნება. თანაც, მინდა, რომ მცველები კიდევ უფრო ხშირად ჩაერთონ შეტევაში!"

დაბოლოს: შაბათს "ბაიერნმა" მორიგი ტესტ-მატჩი გამართა "კიოლნთან" და ისევ ვერ მოიგო. მატჩი ფრედ, 0:0 დასრულდა. შეგახსენებთ, რომ წინა კვირაში ბავარიელები დორტმუნდის "ბორუსიას" გერმანიის სუპერთასს ეცილებოდნენ და დამარცხდნენ ანგარიშით 1:2.

**გოტფრიდ ლენცი**

---

ინტერვიუ მიხაელ რენზინგთან

# ჩემი დროც მოვიდა

## ოლი კანის მემკვიდრე დაამტკიცებს, რომ არავისზე ნაკლები არ არის..

**24 წლის გერმანელი მეკარე მიხაელ რენზინგი ძალიან სერიოზული გამოცდის წინაშე დგას – მან მიუნხენის "ბაიერნში" ისეთი ლეგენდა უნდა შეცვალოს, როგორიც ოლივერ კანია. კანის შემდეგ, რეკორდმაისტერის ქომაგებს ახალ მეკარესთან შეგუება ძალიან გაუჭირდებათ, მაგრამ რენზინგი მათთვის უცხო ნამდვილად არ არის. წლების განმავლობაში, მიხაელი ოლის შემცვლელი გახლდათ, სათადარიგოთა სკამზე იჯდა და თავის შანსს მოთმინებით ელოდა. ახლა კი მისი დროც დადგა. ყველაფერთან ერთად, რენზინგს ჩინებული შანსი უჩნდება, დაამტკიცოს, რომ გერმანიის ნაკრებში თამაშის ღირსიცაა. გამოცემა "ბილდ ამ ზონთაგისთვის" მიცემულ ინტერვიუში მიხაელი სამომავლო გეგმებზე, ოლივერ კანზე, იურგენ კლინსმანსა და რწმენაზე საუბრობს.**

**- ჰერ რენზინგ, უკვე ერთი თვეა, რაც „ბაიერნის" პირველი მეკარე ხართ. რამდენად კმაყოფილი ხართ დასაწყისით?**

- კარგია, რომ რამდენიმე ტესტ-მატჩი ძლიერ მეტოქეებთან გავმართეთ. ეს იმაში მეხმარება, რომ საუკეთესო ფორმაში რაც შეიძლება მალე შევიდე. პირველი მეკარის რანგი ჩემთვის სიახლეა და მინდა, რაც შეიძლება სწრაფად გავითავისო ეს როლი. დორტმუნდის „ბორუსია" (1:2) და „კიოლნი" (0:0) შესანიშნავი მეტოქეები გამოდგნენ. გასული სეზონის დასრულების შემდეგ „ბაიერნში" საკმაოდ ბევრი რამ შეიცვალა და დრო გვჭირდება იმისთვის, რომ ამდენ სიახლეს შევეგუოთ. დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის ჩემპიონატის სტარტს საუკეთესო ფორმაში მყოფები შევხვდებით.

**- თქვენ ძალიან სერიოზული მისია გაკისრიათ – ოლივერ კანის შემდეგ „ბაიერნის" კარში ჩადგომა და „ტიტანის" შეცვლა იოლი საქმე ნამდვილად არ არის. რამდენად გრძნობთ წნეხს და რა მოიმოქმედეთ იმისთვის, რომ კანის სრულფასოვანი შემცვლელი გახდეთ?**

- განსაკუთრებული არაფერი მომიმოქმედებია. ერთი ეგ იყო, რომ შვებულების დროსაც კი ინტენსიურად ვვარჯიშობდი. წნეხს, რა თქმა უნდა, ვგრძნობ – კანის შეცვლა ხომ უდიდესი პასუხისმგებლობაა. ჩემს ძმასთან ერთად მთებში დავრბოდი, 1722 მეტრ სიმაღლეზე ავდიოდით. ადრე ამ კროსს მთელი გუნდი აწყობდა ხოლმე და რაკი ძალიან სასარგებლო იყო, ახლა მე და ჩემმა ძმამ იგივე დამოუკიდებლად გავაკეთეთ. დაახლოებით საათზე მეტ ხანს მთაში, აღმართში, დავრბოდით.

**- რატომ დაიტვირთეთ თავი ასე ძალიან?**

- მინდა, რომ ახალი სეზონის დაწყებას საუკეთესო სპორტულ ფორმაში შევხვდე. ისევ და ისევ, იმ უდიდესი პასუხისმგებლობის გამო, რასაც ოლივერ კანის სრულფასოვანი შეცვლა ჰქვია. მთაში სირბილი ძალიან დამღლელია. ერთხელაც, მუხლები აღარ დაგემორჩილება და მერე უკვე მთავარი თავია, სირბილი თავმა უნდა გააგრძელებინოს. სიმბოლურია: მე ჩემი გზა მაქვს და "ბაიერნთან" ერთად უდიდესი წარმატებების მიღწევა მინდა.

**- კონკრეტულად, რა მიზნები გაქვთ?**

- მინდა, ერთხელაც მსოფლიო დონის მეკარე გავხდე და რეკორდმაისტერთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოვიგო. ვითამაშო გერმანიის ნაკრებში და ბუნდესგუნდთან ერთად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები მოვიგო. მაგრამ ეს ყველაფერი უშრომელად არ მოვა, ყველაფერს მონდომება სჭირდება. წინ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივიწევდე და იმდენს უნდა მივაღწიო, რომ სტაბილურად კარგად ვთამაშობდე.



მიხაელ რენზინგს დიდი მიზნები აქვს

**- როგორ იგრძენით თავი, როცა მწვერვალზე ახვედით?**

- ძალიან დაღლილი ვიყავი. მუხლები მეკეცებოდა, მაგრამ ბედნიერი გახლდით იმის გამო, რომ ეს მაინც შევძელი. იქ, ზემოთ იდეალური ჰაერია და ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიამოვნებაა. მთის წვერზე პატარა ტაძარია, შევედი და ცოტა ხანს ვილოცე. ეს ჩემთვის და ჩემი ძმისთვის განსაკუთრებული მომენტი იყო.

**- ღმერთს რამე სთხოვეთ?**

- ცხადია, მაგრამ სურვილებზე არ ვისაუბრებ. მორწმუნე ადამიანი ვარ და სალოცავად ძალიან ხშირად დავდივარ.

**- თქვენ უკვე დაამტკიცეთ, რომ ძალიან დიდი ნებისყოფის პატრონი ხართ, როდესაც ხუთი წლის განმავლობაში კანის შემცვლელი იყავით და თქვენს რიგს მორჩილად ელოდებოდით. თქვენს ადგილზე, ბევრი „ბაიერნიდან" თუნდაც არენდით წავიდოდა...**

- დანებება არ მჩვევია და ვიცოდი, რომ ერთხელაც ჩემი რიგი დადგებოდა. რაკი ამაში დარწმუნებული გახლდით, მოთმენაც არ გამიჭირდა. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ძალიან გამიჭირდა, რადგან პატარა ბავშვი აღარ ვარ. 23-24 წლის მეკარეს უკვე სერიოზულად უჩნდება იმის პრეტენზია, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშობდეს. უკმაყოფილების გრძნობა დამეუფლა, მაგრამ მაინც მოვითმინე. მიხარია, რომ არსად წავედი – ეს ყველაფერი აუცილებლად დამიფასდება. მთავარია, თავი არ დავზოგო და არც დავზოგავ.

**- რამ ან ვინ გადაგატანინათ ის რთული პერიოდი?**

- ჩემმა ძმამ, მეგობარმა გოგონამ, ჩემმა ოჯახმა და მუსიკამ, რომელსაც ვუსმენ. "ჰაუსი" მიყვარს. როდესაც მუსიკას ვუსმენ, სულ სხვა, ულამაზეს სამყაროში ვხვდები და შემიძლია, ძალიან მარტივად და იდეალურად განვიტვირთო.

**- რას მოიმოქმედებდით, კანს კარიერის დამთავრება რომ გადაეფიქრებინა და თუნდაც კიდევ ერთი წლით დარჩენილიყო?**

- აუცილებლად გუნდიდან წავიდოდი.

**- ოლისთან კონტაქტი გაქვთ?**

- ერთმანეთს ცოტა ხნის წინათ შევხვდით. კანთან შეხვედრა და ურთიერთობა ყოველთვის ძალიან მახარებდა და ახლაც ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ოლისთან დიდი სიამოვნებით ვიკონტაქტებ. ისე ნამდვილად არ არის, თითქოს ჩვენ მტრები ვიყოთ და ერთმანეთში ცივი ომი გვქონოდა. ძალიან კარგი, კოლეგიალური ურთიერთობა გვაქვს.

**- კანი წავიდა, ჰიტცფელდი წავიდა, გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი კი იურგენ კლინსმანია. „ბაიერნში" მართლაც ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ საინტერესოა, რა შეიცვალა პირადად თქვენთვის?**

- კლინსმანი ჩემგან იმას ითხოვს, რომ თამაშში მონაწილეობა უფრო აქტიურად მივიღო. მას ძალიან მოსწონს ის მეკარეები, რომლებიც დრო და დრო, საჭიროების შემთხვევაში ბოლო მცველის როლსაც ითავსებენ. სწორედ ასეთია იენს ლემანიც, რომელიც კლინსიმ კანს, შესაძლოა, ამ მიზეზითაც კი ამჯობინა. იურგენი მეკარის თამაშის ასეთი სტილის ფანია. ჩემთვის ეს სტილი უცხო არ არის, ისედაც ასე ვთამაშობ.

**- აღსანიშნავია, რომ ბურთს ორივე ფეხით ძალიან კარგად ურტყამთ...**

- მართალია და მუდმივად ვცდილობ, რომ დარტყმის ხარისხი გავაუმჯობესო, რადგან ეს ძალიან აუცილებელია. ჩემმა თანაგუნდელებმა უნდა იცოდნენ და დარწმუნებულები უნდა იყვნენ იმაში, რომ ჩემგან ყოველთვის ზუსტ პასს მიიღებენ. მათ უნდა სჯეროდეთ ჩემი და ნებისმიერ მომენტში თამამად უნდა მომცენ პასები. ახლა თეორიულად ვსაუბრობ, მაგრამ ეს ყველაფერი ავტომატიზმამდე დავა. ამიტომაცაა, ვარჯიშების დროს ხშირად კარში რომ არ ვდგავარ.

**- რენე ადლერი, მანუელ ნოიერი თუ მიხაელ რენზინგი – რომელი მათგანი უნდა იყოს გერმანიის ნაკრების მეკარე 2010 წლის მუნდიალზე?**

- პირდაპირ გეტყვით, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯერ არ ვფიქრობ, რადგან მანამდე ძალიან დიდი დროა.

**- მაგრამ იმას ნამდვილად ვერ დავიჯერებთ, რომ შალკელი და ლევერკუზენელი კონკურენტების დაჯაბნავაზე და საერთოდ ამ კონკურენციაზე არ ფიქრობთ...**

- მათ ძალიან გაუმართლათ, რომ გასულ სეზონში თავიანთ კლუბებში ძირითადი მეკარეები გახდნენ და მთელი სეზონი შეუცვლელად ჩაატარეს. შესაბამისად, თავიანთი შესაძლებლობები გამოავლინეს და თანაც, ძალიან კარგად. დასკვნა: ადლერიცა და ნოიერიც შესანიშნავი მეკარეები არიან. მომავალი სეზონიდან მეც ძირითადი მეკარე ვიქნები, თანაც „ბაიერნში" და ახლა მეც მნახეთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არც ერთ მათგანს არ ჩამოვუვარდები. მოკლედ, ჩემი დროც მოვიდა და დავამტკიცებ, რომ არავისზე ნაკლები არ ვარ!

**გოტფრიდ ლენცი**

ამხანაგური მატჩები

# დორტმუნდს იუვესთან არ გაუვიდა

## მესის ჰეთ-თრიკი და ორი ფიორენტინა

შაბათ-კვირას რამდენიმე საინტერესო ტესტ-მატჩი გაიმართა. **ლიონელ მესიმ** ჰეთ-თრიკით გამოიჩინა თავი "დანდი იუნაიტედთან" შეხვედრაში, რომელიც "ბარსელონამ" 5:1 მოიგო. არგენტინელი ვარსკვლავი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და 25-წუთიან მონაკვეთში სამი გოლის გატანა მოასწრო. მანამდე კი ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს და მაყურებელი სიხარულისგან შოკში ჩააგდეს. ორ წუთში, **ტიერი ანრის** ზუსტი დარტყმის შემდეგ, ანგარიში 1:1 გახდა, ხოლო მესის მეორე და მესამე გოლებს შორის **სამუელ ეტო'ომ** იხეირა.

"ბარსელონამ" კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მესი ოლიმპიადაზე არ გაემგზავრება, რაკი ფეხბურთელს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე სურს თამაში.

**ბარსელონა:** *ვალდესი (46. პინტო), დანიელ ალვეში (64. აბრაჰამი), მარკესი (46. პიკე), მარტინ კასერესი, ვიქტორ სანჩესი (79. კორკოლესი), კეიტა (46. ტურე), კროსასი (46. ბუსკეტსი), გუდიონსენი (46. ვიქტორ ვასკესი), პედრო (46. მესი), ანრი (46. ეტო'ო), ბოიანი (46. ხეფრე).*

**ფრანჩესკო ტოტის** გარეშე მოთამაშე "რომამ" მოულოდნელი მარცხი (1:3) იწვნია "სტიაუასგან", თუმც ეს დიდად არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან "ჯალოროსი" მზადებას რამდენიმე დღის წინათ შეუდგა. რუმინელები **მორენოს** გოლით დაწინაურდნენ. დაახლოებით 75-ე წუთამდე თამაში თანაბარი იყო. მერე კი, გასაგები მიზეზების გამო, **ლუჩანო სპალეტის** ბიჭები დაილალნენ, რასაც **სტანკუსა** და **ნეაგას** ორი ზუსტი გასროლა მოჰყვა. რომაელები პრესტიჟის გოლს **ვუჩინიჩს** უნდა უმადლოდნენ. მატჩის უკანასკნელ წუთზე, ჩერნოგორიელმა ანგარიში შესანიშნავი საჯარიმო დარტყმით "დაასველა". პირველ ტაიმში რომაელთაგან გოლების გატანა შეეძლოთ **პანუჩისა** და **აკვილანის**.

**რომა:** *არტური, სისინიო, ლორია (53. ანდრეოლი), პანუჩი (46. ჟუანი), რიისე, პეროტა (55. ტონეტო), აკვილანი, ესპოზიტო (73. პალერმო), ტადეი (46. კასეტი), ვირგა (46. ვუჩინიჩი), მონტელა (56. ალვარესი).*

დორტმუნდის "ბორუსიასა" და "იუვენტუსს" შაბათს უნდა ეთამაშათ, მაგრამ კოკისპირული წვიმისა და ძლიერი ჭექა-ქუხილის გამო, მატჩი კვირისთვის გადაიტანეს. "ბებერმა ქალბატონმა" იოლად მოუგო (3:1) გუნდს, რომელიც ეს-ესაა გერმანიის სუპერთასს დაეუფლა (2:1 "ბაიერნთან"). ნედვედს დასაწყისშივე შეეძლო გოლის გატანა, თუმცა მისი "შეცდომა" მალე გამოასწორა **ამაურიმ**, რომელმაც **გრიგერას** გასწვრივი პასი დააგვირგვინა. გოლების გატანა შეეძლოთ იმავე ნედვედს, **ტრეზეგესა** და **სისოკოს**. საპირისპირო მხარეს **ბუფონმა** გაჭირვებით მოიგერია **ბლაშჩიკოვსკის** დარტყმა. პრინციპში, **იურგენ კლოპის** ბიჭებს სხვა მომენტი არც ჰქონიათ.

მეორე ტაიმში, **კლაუდიო რანიერიმ** ამაურისა და ტრეზეგეს ნაცვლად **ალესანდრო დელ პიერო** და **ვინჩენცო იაკვინტა** გამოიყვანა. ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე ფორმაშია. ჯერ იყო და, ბურთთან პირველივე შეხება ლამის გოლად აქცია, ცოტა ხანში კი ნედვედის პასს ზუსტი თავური მიაყოლა. იაკვინტასი იყო მესამე გოლიც, რომელიც ახალნვეული **პოულსენის** შორეულ გადაცემას მოჰყვა. დორტმუნდელებმა ერთი საპასუხო ბურთი **კრუშკას** პენალტით გაიტანეს.

"ჰამბურგმა" 1:0 მოუგო "მანჩესტერ სიტის". მე-16 წუთზე, გამარჯვების გოლი გაიტანა 22 წლის ბურკინაფასოელმა **ჯონათან პიტროიპამ**, რომელიც "ჰამბურგში" ახლახან, მეორე ბუნდესლიგის ბინადარ "ფრაიბურგიდან" გადავიდა. ბუნდესლიგაში დაბრუნებულმა "კიოლნმა" კი დიდ "ბაიერნთან" უგოლო ფრეს გამოჰკრა ხელი.

"ფიორენტინამ" გაჭირვებით მოუგო სერია C-ს ბინადარ "ფილინეს", 1:0. თამაშს უფრო სხვა დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე ტესტ-მატჩისა. **ადრიან მუტუს** "ფიორენტინას" ფანებთან ურთიერთობა უნდა გაერკვია. მოსალოდნელი იყო, რომ რუმინელ ფორვარდსა და "ვიოლას" ქომაგებს შორის დაპირისპირება მოხდებოდა, მუტუს "რომაში" შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებული აჟიოტაჟის გამო. მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ადრიანმა და კლუბმა ერთმანეთს სიყვარული დაუმტკიცეს.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, ერთადერთი გოლი არგენტინელმა **დანიელ პაბლო ოსვალდომ** გაიტანა (იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია). მან **სემიოლის** გადაცემას თავური დარტყმით დააგვირგვინა. მეორე ტაიმში მარტო ჯილარდინოს შეეძლო ორი-სამი გოლის გატანა. მუტუს გარდა, "ჯილას" კარგად უბამდა მხარს "ფიორენტინას" ახალნვეული **იოვეტიჩიც**. ამ უკანასკნელმა, **ჩეზარე პრანდელიზე** ფრიად კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მას სუფთა ფორვარდადაც შეუძლია თამაში და მეორე პლანის თავდამსხმელადაც. პრანდელიმ ორი სხვადასხვა შემადგენლობა ათამაშა, მცირე კორექტივს თუ არ გავითვალისწინებთ. თუმც უცვლელი იყო მხოლოდ სათამაშო სქემა: 4-3-2-1.

**ფიორენტინა (I ტაიმში):** *სტორარი, ძაური, დაინელი, კროლდრუპი, პასკუალი, სემიოლი, დონადელი, გობი, სანტანა, პაცინი, ოსვალდო.*

**ფიორენტინა (II ტაიმში):** *ფრეი, ძაური (59. პაპა ვაიგო), გამბერინი, და კოსტა, გობი (65. პასკუალი), კუჟმანოვიჩი, მელუ, დონადელი (76. დიაკიტი), იოვეტიჩი, მუტუ, ჯილარდინო.*

**გიორგი ბელაშვილი**





ინტერვიუ ფაბიო კაპელოსთან

# ლიპის რა უჭირს, მე გაცილებით რთულ სიტუაციაში ვარ

ფაბიო კაპელო კარგა ხანს არ ჩანდა. ისე გავიდა ევროპის პირველობა, ერთი შეფასებაც არ გაუკეთებია. ზაფხული ყველასთვის ზაფხულია. მაგრამ აი, მოახლოვდა ნაციონალური ჩემპიონატების სტარტი, ევროტურნირები, არც მუნდიალის შესარჩევი ციკლია ცხრა მთას იქით, და კაპელოც გამოჩნდა. რამდენიმე დღის წინათ, მკითხველის ყურადღება შევაჩერეთ კაპელოს რამდენიმე კომენტარზე, რომელიც BBC-მ "ლა რეპუბლიკაზე" დაყრდნობით გაავრცელა. ახლა კი გთავაზობთ ინგლისის ნაკრების მწვრთნელის სრულ ინტერვიუს, რომელიც პოპულარულმა იტალიურმა გამოცემამ დაბეჭდა...

**- დავიწყოთ საუბარი თემით, რომელიც ევროასპარეზზე იტალიური კლუბების კონკურენტუნარიანობას ეხება. სერია A-ს წამყვან კლუბებში ისეთი ფეხბურთელები გამოჩნდნენ, როგორებიც არიან რონალდინიო, ფლამინი, ამაური... შეიძლება, ეს სია კიდევ გაფართოვდეს. როგორ ფიქრობთ, ეს დიდი დაბრუნებაა?**

- დიახ, მე ვფიქრობ, დაბრუნებაა. მაგალითად, თქვენ გამოგრჩათ მანსინი, რომელიც "ინტერმა" შეიძინა და ახლა, ჟოზე მოურინიოს უკვე შეუძლია, ჩემპიონთა ლიგასაც თამამად დაუმიზნოს.

**- და "იუვენტუსი"?**

- ვიტყოდი, რომ კარგად ივაჭრა ბაზარზე. საერთოდ, "იუვენტუსს" ყოველთვის ჰქონდა გამარჯვებულის მენტალიტეტი, თვით იმის მიუხედავადაც კი, რაც ორი წლის წინათ მოხდა. ეს მენტალიტეტი მას ყოველთვის ეხმარებოდა და ეხმარება იმაში, რომ მუდმივად მოწინავეთა შორის იყოს.

**- "რომაში" რეგრესია?**

- ნუ ვიჩქარებთ, ჯერ სატრანსფერო პერიოდი არ დასრულებულა. მართალია, მანსინისა და ჟიულის წასვლა სერიოზული დანაკლისია, მაგრამ პოტენციალი მაინც რჩება.

**- ძამბროტას, ფლამინისა და რონალდინიოს მოსვლით, შეუძლია "მილანის", სკუდეტოსთვის იბრძოლოს?**

- ულაპარაკოდ. ინგლისში ყოფნისას ფლამინის ყოველთვის ვაკვირდებოდი. შესანიშნავი მოთამაშეა. კარგად ვიცნობ ძამბროტასაც. "იუვეში" მისი მწვრთნელი ვიყავი... რაც შეეხება რონალდინიოს... თუ ის ისეთივე სერიოზული და მოკრძალებული გახდება, როგორიც ევროპული კარიერის დასაწყისში იყო, ძველებურად გაიბრწყინებს.

**- გულახდილად თქვით, "მილანის" მწვრთნელი რომ ყოფილიყავით, სთხოვდით სილვიო ბერლუსკონის რონალდინიოს ყიდვას?**

- არა, არ ვთხოვდი. მაგრამ მე ვიცნობ ბერლუსკონის, ის ჭკუას კარგავს ასეთ მოთამაშეებზე...

**- თუკი ლემპარდი მაინც გადავა იტალიაში, დაეხმარება ეს მას სრულყოფილების მიღწევაში? და კიდევ: შეუძლია კი დღესდღეობით იტალიურ ფეხბურთს, ვინმეს რამე ასწავლოს?**

- ნებისმიერი უცხოური გამოცდილება სასარგებლოა. თუმცა, რაკი დღეს ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ვარ, ვიქნები ეგოისტი და ვიტყვი, რომ **მირჩევნია, ლემპარდი პრემიერლიგაში** დარჩეს. იტალიიდან ინგლისში მოგზაურობა მას გარკვეულ ენერგიას წაართმევს. ეს ენერგია კი ეროვნულ გუნდს დააკლდება. მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, ეს ინგლისის ნაკრების მწვრთნელის პოზიციაა მხოლოდ და **მეტი არაფერი.**

**- რას ფიქრობთ სერია A-ში უცხოელთა მოზღვავებაზე? "ინტერის" სასტარტო შემადგენლობაში იტალიელი იშვიათად ხვდება, "რომაში" მათი რიცხვი სულ სამია, "მილანში" ოთხი...**

- "ინტერში" იტალიელების არარსებობა ახალი ამბავი არ არის. ახალგაზრდა მოთამაშეების ბედი გუნდების მწვრთნელებზეა დამოკიდებული. დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამბედავნი არიან ისინი. ხომ გახსოვთ, "ინტერში" ყოფნისას პირლოს საერთოდ არ ათამაშებდნენ, გადავიდა "მილანში" და ერთ დღესაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების ათეულში მოხვდა. ანუ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მზად არის თუ არა მწვრთნელი, გარისკოს. თუმცა ამ სიტუაციაშიც კი პერსპექტივა იტალიელების ნაკლებობას არ უნდა ვუჩიოდეთ: დე როსი, აკვილანი...

**- ინგლისურ კლუბებშიც ძნელია ადგილობრივი მოთამაშეების პოვნა. რა თქმა უნდა, ეს დამატებით სირთულეებს შეგიქმნით ნაკრების ფორმირებაში. ასე არ არის?**

- არ ვწუწუნებ, მაგრამ მარჩელო ლიპისგან განსხვავებით, ჩემი სიტუაცია გაცილებით რთულია. ინგლისურ კლუბებში თამაშობენ შოტლანდიელები, უელსელები, ირლანდიელები... თავად ინგლისელთა რაოდენობა კი, პრემიერლიგაში, სადღაც 35 პროცენტია, მაშინ, როცა სერია A-ში 72 პროცენტი იტალიელია. ახლა შეადარეთ ეს ციფრები...

**- ალბათ, თვალ-ყური ადევნეთ ევროპის ჩემპიონატს, სადაც მწვრთნელებმა, ფაქტობრივად, უარი თქვეს 4-4-2-ზე. ეს თქვენი ფავორიტი სქემაა. ასე ათამაშებდით "იუვენტუსსა" და "რეალს". როგორ ფიქრობთ, 4-4-2 ისტორიას ჩაბარდა?**

- ფეხბურთში არაფერი იკარგება. ყოველთვის შესაძლებელია ძველი სქემების გადაფასება ან მათში უმნიშვნელო კორექტივების შეტანა. ევროპის ჩემპიონატზე კი, როგორც დავაკვირდი, ერთი სქემა მუშაობდა და ეს იყო 9-1. თანამედროვე ფეხბურთი, ეს არის 9 მოთამაშე, რომელიც კარს იცავს და ერთი ცენტრფორვარდი. ბურთის დაკარგვისთანავე, შემტევი ნახევარმცველებიც კი საკუთარ საჯარიმო მოედანთან იყრიან თავს. მოკლედ, დღევანდელ ფეხბურთში ერთი მოდელიღა დარჩა.

**- და ზოგადად რა აზრის ხართ ევროპის ჩემპიონატზე?**

- ევროპა მოიგო გუნდმა, რომელიც ნამდვილად საუკეთესო იყო. როგორც იტალიელს, გამიხარდა, რომ სწორედ "სკუადრა აძურა" იქცა ესპანეთის ნაკრებისთვის ყველაზე რთულ გამოცდად. დიდწილად, რობერტო დონადონი დამარცხდა იმიტომ, რომ არ ჰყავდა პირლო და გატუზო. მაგრამ ყველაზე მეტად, თვალშისაცემი იყო კანავაროს არყოფნა. ფაბიო ჭეშმარიტი ლიდერია, ის შესანიშნავად კითხულობს თამაშს და ბევრ სიტუაციაში შეძლებდა გუნდის გადარჩენას... ზოგადად კი, ტაქტიკური თვალსაზრისით, ახალი არაფერი მინახავს. ერთი ის იყო, რომ შემცირდა გრძელი გადაცემების რიცხვი, გუნდები ცდილობენ, ითამაშონ დაბალი პასებით. ამასთან, გამოვყოფდი სამ **გუნდს, ესპანეთს,** რუსეთსა და თურქეთს, რომლებიც ჩინებულად **ახერხებდნენ** დაცვიდან შეტევაში გადასვლას.

**- რა იყო დონადონის მთავარი შეცდომა?**

- ის შეცდა ლუკა ტონიში, რომელმაც ყველაფერი ბუნდესლიგას შეალია. ევროპის ჩემპიონატზე მას არაერთხელ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ, როგორც ნახეთ, ვერც ერთი შანსი ვერ გამოიყენა.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ლიპი შეცდა, როცა ნაკრებში დაბრუნებაზე დათანხმდა? ნათქვამია, გაცხელებული კერძი ყოველთვის გემრიელი არ არისო...**

- და თქვენ რა გგონიათ, ლიპიმ ეს ყველაფერი არ იცის? მაგრამ, მარჩელო ის კაცია, რომელიც მუდამ საგულდაგულოდ წონის ყველა "ჰოსა" და "არას". რაკი ის დათანხმდა მუშაობაზე, ესე იგი დარწმუნებულია, რომ წარმატებებს მომავალშიც მიაღწევს.

**- თქვენ არ გინდათ იტალიის ნაკრების გაწვრთნა?**

- არა, რადგან ინგლისის ნაკრებში მუშაობით ჩემი სამწვრთნელო კარიერაც მთავრდება.

**- ესე იგი, 2010 წლის მუნდიალის შემდეგ პენსია?**

- დიახ, ზუსტად ასე.

**- თქვენ ყოველთვის აღწევდით წარმატებებს იმ გუნდებში, რომლებიც ვარსკვლავებით იყვნენ დაკომპლექტებული. არ გქონიათ სურვილი, გემუშავათ საშუალო რანგის ფეხბურთელებთან, ასეთივე რანგის კლუბში? ასე ხომ უფრო კარგად შეამოწმებდით თქვენს შესაძლებლობებს?**

- კარგი კითხვაა. ისე კი, მართლაც შეიძლებოდა, ჩემი ბოლო გამოცდა სწორედ ამგვარი ყოფილიყო, მაგრამ... მაგრამ უკვე ბებერი ვარ იმისთვის, რომ თავს ამის უფლება მივცე.

**- ვინ იყო საუკეთესო იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც კარიერის განმავლობაში გაგიწვრთნიათ?**

- ვან ბასტენი, რომელიც უაღრესად ნიჭიერი იყო. არ დამავიწყდება, როგორ შრომობდა წვრთნის პროცესში, სამაგალითო იყო მოედნის მიღმაც. ვან ბასტენის შემდეგ მალდინი მოდის...

**- და ვინ იყო საუკეთესო, ვის გვერდითაც თამაში მოგიწიათ?**

- ჯანი რივერა და დინო ძოფი.

**- ბექჰემს გამოიძახებთ ნაკრებში?**

- ჩემი მიდგომა მარტივია: ბექჰემი ნაკრებში ითამაშებს მანამ, ვიდრე ფორმაში იქნება. ეს პრინციპი ყველა ფეხბურთელზე გავრცელდება.

**- შეძლებს ჟოზე მოურინიო იტალიურ ფეხბურთში რევოლუციის მოხდენას?**

- არ მგონია, ჩვენს მწვრთნელებს მოურინიოსგან სჭირდებოდეთ სწავლა. იტალიური ფეხბურთი ტაქტიკურ ასპექტში ყოველთვის ძლიერი იყო. აქ, ჩვენ ავანგარდში ვართ. მოურინიოს განკარგულებაშია ბრწყინვალე გუნდი, რომელსაც რევოლუციური ცვლილებები არ სჭირდება. წარმატებისთვის, საკმარისი იქნება სულ რაღაც ერთპროცენტიანი ცვლილება. ეს არის და ეს.

**- თქვენ დღემდე დარწმუნებული ხართ, რომ "კალჩოპოლის" სკანდალი გაზვიადებული იყო?**

- გაზვიადება? როგორ გითხრათ... მოდით, ასე ვიტყვი: გამოძიება მხოლოდ ერთი მიმართულებით,"იუვენტუსის" წინააღმდეგ მიდიოდა.

**- და კიდევ რა მიმართულებით უნდა წასულიყო?**

- არ მსურს ახლა ამაზე საუბარი.

**- რაში ხედავთ იტალიური ფეხბურთის პრობლემებს?**

- ჩვენ გავლარიბდით, ფეხბურთს მართლაც სერიოზული პრობლემები აქვს... მთავარი პრობლემა კი ისაა, რომ როცა ინგლისელი და ესპანელი ქომაგები სტადიონებზე ბავშვებით დადიან, ამ დროს, იტალიაში, ქომაგებს პოლიცია მიაცილებს... მე ვნახე "ულტრასების" აქციები, რომლებიც მიმართული იყო ძაურის, ვიერისა და სტანკოვიჩის წინააღმდეგ. კლუბს აქვს უფლება, იყიდოს ის ფეხბურთელი, რომელსაც საჭიროდ თვლის. და თუ გულშემატკივრებს არ მოსწონთ ამგვარი პოლიტიკა, შეუძლიათ, სახლში ისხდნენ. უაღრესად დიდი ნეგატივია, რომ იტალიაში, ჩვეულებრივ ტიფოზებსა და ათასგვარ რადიკალურ დაჯგუფებას, მეტისმეტად დიდი წონა აქვთ.

მოამზადა **გიორგი ბელაშვილმა**

> "თანამედროვე ფეხბურთი, ეს არის 9 მოთამაშე, რომელიც კარს იცავს, და ერთიც ცენტრფორვარდი





გერმანელების [illegible]

U19. ევრო 2008

# ჰრუბეშის გუნდი ევროპის ჩემპიონია

## გერმანიას მომავლის გუნდი ჰყავს

**იტალია–გერმანია 1:3**

**იტალია:** ფიორილო, დარმიანი, ჯენტილი, ტალიანი, ბრუშაგინი, მაცარანი, რაჯო გარიბალდი, პოლი (46. ბონავენტურა), ფორესტიერი (78. ეუსეპი), პალოსკი (59. ძამბლერა), ოკაკა ჩუკა.

*მწვრთნელი:* ფრანჩესკო როკა.

**გერმანია:** ცილერი, დიკმაიერი, რაინარტცი, იუნგვირთი, კოპლინი, ლ. ბენდერი (66. ტოპრაკი), ს. ბენდერი, რისე (39. ლატცა), ნაკი (89. ოჩიპკა), გებჰარტი, სუკუტა-პასუ.

*მწვრთნელი:* ჰორსტ ჰრუბეში

**გოლები:** 0:1 ლ. ბენდერი (24), 0:2 სუკუტა-პასუ (61), 1:2 რაჯო გარიბალდი (78), 1:3 გებჰარტი (79)

**მაყურებელი:** 2 000

შაბათს, გერმანიის 19 წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. **ჰორსტ ჰრუბეშის** მიერ გაწვრთნილმა გუნდმა იაბლონეცში გამართულ ფინალში იტალიის 19-წლამდელთა ნაკრები 3:1 დაამარცხა და კონტინენტის პირველობა მოიგო. რაც გერმანიის ეროვნულმა ნაკრებმა ვერ შეძლო, 19-წლამდელთა გუნდმა მოახერხა და საფეხბურთო გერმანიაში უდიდესი ეიფორია გამოიწვია.

ფინალის შემდეგ, ახალგაზრდა ბუნდესგუნდის თავკაცი ჰრუბეში მარადიულ ტიტულზე საუბრობდა და თამამად ამბობდა, ეს მომავლის გუნდია, რომელიც გერმანიას აუცილებლად ასახელებსო. ევროპის ჩემპიონმა ჭაბუკებმა კი თავიანთი წარმატება დილამდე იზეიმეს. *„ამ წარმატებაზე მინიმუმ 50 წლის განმავლობაში ვისაუბრებთ. გუნდმა იდეალური ფეხბურთი ითამაშა და ტიტული დაიმსახურა,"* – ეიფორიაშია ჰრუბეში, რომელმაც მართლაც ძალიან კარგი გუნდი ჩამოაყალიბა.

მიღწეული წარმატებით უაღრესად კმაყოფილია გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერიც**, რომელიც პირველ რიგში სწორედ ბავშვთა ფეხბურთს კურირებს. მაგრამ ზამერს ეიფორია არ მოსწონს და ამბობს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ 8-10 წლის შემდეგ ეს გუნდი დიდების ევროპის ჩემპიონატსაც მოიგებსო. *„ეს მხოლოდ დასაწყისია და ამ გუნდს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს მომავალი, თუ ბიჭები წინსვლას გააგრძელებენ და მაღალი დონის ფეხბურთელებად ჩამოყალიბდებიან. თორემ დაკარგული თაობების მეტი რა გვინახავს. ეიფორია საჭირო არ არის, საჭიროა მუშაობის გაგრძელება,"* – განუცხადა ზამერმა „ველტს".

ანგარიში გერმანელებმა 24-ე წუთზე გახსნეს – გოლი „მიუნხენ 1860-ის" ფეხბურთელმა **ლარს ბენდერმა** გაიტანა, რის შემდეგაც, 36-ე წუთზე მსაჯმა გერმანელებს **იუნგვირთი** (სავსებით სამართლიანად გაუძევა) და ბუნდესგუნდი კაცნაკლული დარჩა. თუმცა იტალიელებმა ამით ვერ ისარგებლეს. ათი კაცით დარჩენილმა გერმანელებმა 61-ე წუთზე მეორე გოლი გაიტანეს – ავტორი **რიჩარდ სუკუტა-პასუა**, რომელიც „ლევერკუზენის" ღირსებას იცავს. ამ თავდამსხმელმა ტურნირზე სამი გოლის გატანა შეძლო. 78-ე წუთზე **რაჯო გარიბალდიმ** სხვაობა შეამცირა, მაგრამ ზუსტად ერთ წუთში გებჰარტმა მესამე გოლი გაუტანა იტალიელებს და მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ბოლოს 2002 წელს ითამაშა და მაშინ პატარა ალემანები ესპანეთთან დამარცხდნენ – სხვათა შორის, მაშინ გერმანიას გოლი **ფერნანდო ტორესმა** გაუტანა, სწორედ იმ ტორესმა, რომელმაც ევრო 2008-ის ფინალშიც გაუტანა გერმანიას...

**გოტფრიდ ლენცი**

### ევროპის ჩემპიონები გერმანიის 19 წლამდელთა ნაკრები

**მეკარეები:** 1. ტომ მიკელი (კოტბუსი), 12. რონ-რობერტ ცილერი (მანჩესტერ იუნაიტედი);

**მცველები:** 2. დენის დიკმაიერი (ვერდერი), 3. ბიორნ კოპლინი (ბაიერნი), 4. შტეფან რაინარტცი (ლევერკუზენი), 5. ფლორიან იუნგვირთი (მიუნხენ 1860), 14. იომერ ტოპრაკი (ფრაიბურგი);

**ნახევარმცველები:** 6. სვენ ბენდერი (მიუნხენ 1860), 8. ლარს ბენდერი (მიუნხენ 1860), 10. ტიმო გებჰარტი (მიუნხენ 1860), 13. მარსელ რისე (ლევერკუზენი), 15. დანი ლატცა (შალკე), 16. მარიო ვრანჩიჩი (მაინცი), 17. ბასტიან ოჩიპკა (ლევერკუზენი);

**თავდამსხმელები:** 7. დენიზ ნაკი (ლევერკუზენი), 9. რიჩარდ სუკუტა-პასუ (ლევერკუზენი), 11. სავიო ნსერეკო (ბრეშა), 18. რაჰმან სოიუდორგუ (ფრაიბურგი).

## ინტერტოტოს თასი

### ფინალი. საპასუხო მატჩები

| | |
|---|---|
| ტავრია (უკრაინა)-რენი (საფრანგეთი) | 1:0 პენ. 9:10 (0:1) |
| ასტონ ვილა (ინგლისი)-ოდენსე (დანია) | 1:0 (2:2) |
| ვასლუი (რუმინეთი)-ნეფთჩი (აზერბაიჯანი) | 2:0 (1:2) |
| ჩერნომორეცი (ბულგარეთი)-გრასჰოპერსი (შვეიცარია) | 0:1 (0:3) |
| ბრაგა (პორტუგალია)-სივასი (თურქეთი) | 3:0 (2:0) |
| ჰონვედი (უნგრეთი)-შტურმი (ავსტრია) | 1:2 (0:0) |
| დეპორტივო (ესპანეთი)-ბნეი საქნინი (ისრაელი) | 1:0 (2:1) |
| ნაპოლი (იტალია)-პანიონიოსი (საბერძნეთი) | 1:0 (1:0) |
| როზენბორგი (ნორვეგია)-ბრედა (ჰოლანდია) | 2:0 (0:1) |
| რიგა (ლატვია)-ელფსბორგი (შვედეთი) | 0:0 (0:1) |
| შტუტგარტი (გერმანია)-სატურნი (რუსეთი) | 3:0 დ. დ. (0:1) |

## ავსტრია

IV ტური

| | |
|---|---|
| ლინცერი-აუსტრია (კ) | 3:2 |
| აუსტრია (ვ)-რიდი | 3:1 |
| მატერსბურგი-რაპიდი | 0:1 |
| კაპფენბერგი-ზალცბურგი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 4 | 2 | 2 | 0 | 12-3 | 9 |
| 2. ლინცერი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 9 |
| 3. აუსტრია (ვ) | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 4. რაპიდი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 5. შტურმი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 6. რიდი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-6 | 6 |
| 7. მატერსბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-11 | 3 |
| 8. კაპფენბერგი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-6 | 2 |
| 9. აუსტრია (კ) | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 10. ალტახი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

### II დივიზიონი

III ტური

აუსტრია (ლ)-ზალცბურგი A 1:2; გრიოდიგი-ადმირა 2:1; აუსტრია A-ლეობენი 1:2; ვინერი-ლუშტენაუ 1:0; ფოკლაბრუკი-გრატკორნი 4:1; სტ. პოლტენი-ტიროლი 3:3.

## ფინეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| იარო-ტამპერე | 1:4 |
| ჰაკა-ვაასა | 1:0 |
| ჰიკ-მარიეჰამნი | 4:0 |
| მიუპა-ჰონკა | 0:2 |
| როვანიემი-ინტერი | 0:0 |
| ლაჰტი-კოტეპე | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 14 | 7 | 7 | 0 | 21-8 | 28 |
| 2. ჰიკ | 14 | 7 | 5 | 2 | 29-12 | 26 |
| 3. მიუპა | 14 | 7 | 4 | 3 | 19-10 | 25 |
| 4. ჰონკა | 14 | 7 | 3 | 4 | 21-9 | 24 |
| 5. ჰაკა | 14 | 7 | 3 | 4 | 18-18 | 24 |
| 6. ლაჰტი | 13 | 7 | 1 | 5 | 18-14 | 22 |
| 7. ტურკუ | 13 | 6 | 2 | 5 | 22-16 | 20 |
| 8. როვანიემი | 14 | 5 | 5 | 4 | 21-16 | 20 |
| 9. ვაასა | 14 | 4 | 6 | 4 | 10-13 | 18 |
| 10. ტამპერე | 14 | 4 | 5 | 5 | 21-20 | 17 |
| 11. იარო | 14 | 3 | 4 | 7 | 13-26 | 13 |
| 12. მარიეჰამნი | 14 | 3 | 3 | 8 | 12-24 | 12 |
| 13. კუოპიო | 13 | 2 | 3 | 8 | 10-25 | 9 |
| 14. კოტეპე | 13 | 0 | 3 | 10 | 7-31 | 3 |

### II დივიზიონი

XIII ტური

ჰამეენლინა-კაპა 1:0; გრანკულა-პკ35 0:1; კპვ-ოულუ 1:1; კემი-იუვიასკიულა 0:1; ვიფკ-ტპ47 1:2; ვიიკინგიტი-იიპო 2:0; ატლანტისი-ტპვ დღეს.

## ნორვეგია

XV ტური

| | |
|---|---|
| ფრედრიკსტადი-ბრანი | 1:0 |
| ბოდო გლიმტი-ლინი | 2:1 |
| ჰამარი-ლილესტრიომი | 1:2 |
| სტრომსგოდსეტი-მიოლდე | 4:0 |
| აალესუნდი-ვიკინგი | 1:2 |
| ვოლერენგა-ტრომსიო | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფრედრიკსტ | 15 | 9 | 2 | 4 | 25-18 | 29 |
| 2. სტაბეკი | 14 | 8 | 4 | 2 | 26-11 | 28 |
| 3. ტრომსიო | 13 | 7 | 3 | 3 | 17-9 | 24 |
| 4. ლინი | 15 | 7 | 3 | 5 | 22-17 | 24 |
| 5. ბოდო გლიმტი | 15 | 6 | 4 | 5 | 17-21 | 22 |
| 6. როზენბორგი | 14 | 6 | 3 | 5 | 21-15 | 21 |
| 7. ვიკინგი | 15 | 6 | 3 | 6 | 18-19 | 21 |
| 8. ბრანი | 15 | 5 | 5 | 5 | 22-22 | 20 |
| 9. ვოლერენგა | 14 | 6 | 2 | 6 | 19-19 | 20 |
| 10. სტრომსგოდს | 15 | 5 | 4 | 6 | 19-20 | 19 |
| 11. მიოლდე | 15 | 4 | 6 | 5 | 21-21 | 18 |
| 12. ლილესტრიომ | 15 | 4 | 3 | 8 | 17-25 | 15 |
| 13. აალესუნდი | 15 | 4 | 1 | 10 | 21-32 | 13 |
| 14. ჰამარი | 14 | 2 | 3 | 9 | 10-26 | 9 |

### II დივიზიონი

XV ტური

სიოგნდალი-სტარტი 0:3; ალტა-სპარტა 1:0; ჰიონეფოსი-ჰიოდი 5:1; მოსი-ჰაუგესუნდი 2:4; ნიბერგსუნდი-ლოვ ჰამი 2:2; ნოტოდენი-კონგსვინგერი 4:2; სანდეფიორდი-ბრინი 1:0; სანდნესი-ოდ გრენლანდი 0:3.

## სლოვენია

II ტური

| | |
|---|---|
| კოპერი-გორიცა | 1:3 |
| რუდარი-მარიბორი | 1:2 |
| დომჟალე-ნაფტა | 2:2 |
| პრიმორიე-ინტერბლოკი | 1:1 |
| დრავა-პუბლიკუმი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პუბლიკუმი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. მარიბორი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 3. გორიცა | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 4. დომჟალე | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 5. ნაფტა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 6. ინტერბლოკი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 7. პრიმორიე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 8. კოპერი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-6 | 0 |
| 9. რუდარი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 10. დრავა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

## დანია

II ტური

| | |
|---|---|
| ბრონდბიუ-ოლბორგი | 2:1 |
| ესბერგი-ვეილე | 0:1 |
| სონდერილი-მიდტიულანდი | 1:1 |
| რანდერსი-კოპენჰაგენი | 1:1 |
| აგფ ორჰუსი-ჰორსენსი | დღეს |
| ოდენსე-ნორდსილანდი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრონდბიუ | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. რანდერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 3. მიდტიულანდი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. კოპენჰაგენი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 5. ოდენსე | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 6. ჰორსენსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 7. ვეილე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 8. სონდერილი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 9. ოლბორგი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 10. აგფ ორჰუსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 11. ელფსბორგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 12. ნორდსილანდ | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

## ისლანდია

XIII ტური

| | |
|---|---|
| აკრანესი-ჰაფნარი | 2:5 |
| გრინდავიკი-ვალური | 3:5 |
| ფილკირი-კეფლავიკი | დღეს |
| ჰკ-ფრამი | დღეს |
| ტროტური-ბრეიდაბლიკი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰაფნარი | 13 | 9 | 1 | 3 | 31-14 | 28 |
| 2. კეფლავიკი | 12 | 8 | 2 | 2 | 26-16 | 26 |
| 3. ვალური | 13 | 7 | 2 | 4 | 24-18 | 23 |
| 4. ბრეიდაბლიკი | 12 | 6 | 3 | 3 | 25-17 | 21 |
| 5. ფიოლნირი | 12 | 7 | 0 | 5 | 22-14 | 21 |
| 6. რეიკიავიკი | 12 | 6 | 0 | 6 | 20-15 | 18 |
| 7. ფრამი | 12 | 6 | 0 | 6 | 13-11 | 18 |
| 8. გრინდავიკი | 13 | 5 | 2 | 6 | 20-25 | 17 |
| 9. ტროტური | 12 | 4 | 4 | 4 | 19-23 | 16 |
| 10. ფილკირი | 12 | 4 | 0 | 8 | 12-22 | 12 |
| 11. აკრანესი | 13 | 1 | 4 | 8 | 11-28 | 7 |
| 12. ჰკ | 12 | 1 | 2 | 9 | 12-32 | 5 |

## ირლანდია

XX ტური

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-უნივერსიტი | 2:0 |
| გალვეი-დერი | 0:4 |
| შემროკი-სლიგო | 1:0 |
| კობ რამბლერსი-ბრეი | 1:2 |
| კორკი-სტ. პატსი | 0:0 |
| ფინ ჰარპსი-დროგედა | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოჰემიანსი | 18 | 13 | 4 | 1 | 26-7 | 43 |
| 2. სტ. პატსი | 20 | 12 | 6 | 2 | 33-13 | 42 |
| 3. კორკი | 20 | 11 | 6 | 3 | 32-15 | 39 |
| 4. დერი | 20 | 10 | 7 | 3 | 28-13 | 37 |
| 5. დროგედა | 18 | 8 | 4 | 6 | 21-13 | 28 |
| 6. სლიგო | 20 | 7 | 7 | 6 | 25-19 | 28 |
| 7. შემროკი | 19 | 6 | 8 | 5 | 19-15 | 26 |
| 8. ბრეი | 20 | 7 | 4 | 9 | 14-28 | 25 |
| 9. უნივერსიტი | 20 | 2 | 8 | 10 | 13-26 | 14 |
| 10. ფინ ჰარპსი | 19 | 4 | 2 | 13 | 13-34 | 14 |
| 11. გალვეი | 20 | 2 | 5 | 13 | 15-34 | 11 |
| 12. კ. რამბლერსი | 20 | 2 | 5 | 13 | 10-32 | 11 |

## შვედეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| გეფლე-გიოტებორგი | 0:1 |
| ჰალმსტადი-ტრელებორგი | 0:0 |
| იურგორდენი-ჰელსინგბორგი | 1:2 |
| მალმიო-კალმარი | 3:2 |
| აიკ-ლიუნგსკილე | დღეს |
| გაის-სუნდსვალი | დღეს |
| ერებრუ-ჰამარბიუ | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კალმარი | 16 | 11 | 2 | 3 | 37-16 | 35 |
| 2. ელფსბორგი | 15 | 9 | 4 | 2 | 21-5 | 31 |
| 3. ჰელსინგბორგ | 16 | 9 | 4 | 3 | 29-18 | 31 |
| 4. გიოტებორგი | 16 | 8 | 5 | 3 | 24-14 | 29 |
| 5. ჰამარბიუ | 15 | 8 | 4 | 3 | 23-16 | 28 |
| 6. აიკ | 15 | 7 | 4 | 4 | 18-15 | 25 |
| 7. მალმიო | 16 | 6 | 6 | 4 | 25-23 | 24 |
| 8. ჰალმსტადი | 16 | 5 | 6 | 5 | 19-18 | 21 |
| 9. გაის | 15 | 4 | 8 | 3 | 16-14 | 20 |
| 10. იურგორდენი | 16 | 4 | 6 | 6 | 15-23 | 18 |
| 11. ტრელებორგ | 16 | 4 | 5 | 7 | 14-17 | 17 |
| 12. ერებრუ | 15 | 4 | 3 | 8 | 8-20 | 15 |
| 13. სუნდსვალი | 15 | 3 | 4 | 8 | 15-22 | 13 |
| 14. ლიუნგსკილე | 15 | 4 | 1 | 10 | 13-26 | 13 |
| 15. გეფლე | 16 | 3 | 2 | 11 | 10-23 | 11 |
| 16. ნორჩოპინგი | 15 | 1 | 4 | 10 | 13-30 | 7 |

### II დივიზიონი

XV ტური

დეგერფორსი-ვასბი 1:4.

## აშშ

| | |
|---|---|
| სან ხოსე-ნიუ იორკი | 1:1 |
| დალასი-ლ. ანჯელესი | გვ. დასრულდა |
| კანზასი-ჩიკაგო | გვ. დასრულდა |
| კოლორადო-კოლამბუსი | გვ. დასრულდა |

## შვეიცარია

III ტური

| | |
|---|---|
| ლუცერნი-ქსამაქსი | 0:1 |
| ბაზელი-ბელინცონა | 2:0 |
| არაუ-ციურიხი | 2:1 |
| იანგ ბოიზი-ვადუცი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არაუ | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| 2. ბაზელი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 9 |
| 3. ციურიხი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 4. ქსამაქსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 5. ვადუცი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 6. სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 7. იანგ ბოიზი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| 8. გრასჰოპერსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 9. ბელინცონა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 10. ლუცერნი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-4 | 0 |

### ჩელენჯლიგა

I ტური

გოსაუ-ვოლენი 2:0; შო დე ფონი-ლოზანა 0:2; ვინტერტური-ლოკარნო 2:0; ივერდონი-სტად ნიონე 3:0; სტ. გალენი-კონკორდია 2:0; ბილ ბიენი-შაფჰაუზენი 4:1; სერვეტი-ლუგანო 1:4; ტუნი-ვილი დღეს.

## რუსეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ხიმკი-ნალჩიკი | 2:0 |
| რუბინი-ცსკა | 0:0 |
| დინამო-ზენიტი | 1:0 |
| ამკარი-ტომი | 0:0 |
| მოსკოვი-ლოკომოტივი | 0:3 |
| სპარტაკი-ლ. ენერგია | 3:0 |
| შინიკი-ტერეკი | 1:1 |
| კრილია-სატურნი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 15 | 8 | 5 | 2 | 19-11 | 29 |
| 2. ამკარი | 15 | 8 | 3 | 4 | 18-11 | 27 |
| 3. დინამო | 15 | 8 | 3 | 4 | 22-17 | 27 |
| 4. ლოკომოტივი | 15 | 6 | 6 | 3 | 22-15 | 24 |
| 5. სპარტაკი | 15 | 6 | 6 | 3 | 27-23 | 24 |
| 6. ცსკა | 14 | 5 | 5 | 4 | 19-15 | 20 |
| 7. ნალჩიკი | 15 | 6 | 2 | 7 | 16-19 | 20 |
| 8. კრილია | 14 | 4 | 7 | 3 | 18-14 | 19 |
| 9. ტომი | 15 | 5 | 4 | 6 | 14-19 | 19 |
| 10. ზენიტი | 13 | 4 | 6 | 3 | 22-15 | 18 |
| 11. ტერეკი | 14 | 5 | 3 | 6 | 13-18 | 18 |
| 12. სატურნი | 14 | 4 | 5 | 5 | 15-11 | 17 |
| 13. მოსკოვი | 15 | 3 | 7 | 5 | 14-17 | 16 |
| 14. ლ-ენერგია | 15 | 2 | 6 | 7 | 10-20 | 12 |
| 15. შინიკი | 15 | 2 | 5 | 8 | 15-25 | 11 |
| 16. ხიმკი | 15 | 2 | 5 | 8 | 20-34 | 11 |

## სლოვაკეთი

II ტური

| | |
|---|---|
| დ. სტრედა-ტრნავა | 3:0 |
| არტმედია-ჟილინა | 0:2 |
| ბისტრიცა-კოშიცე | 0:1 |
| ტატრანი-რუჟომბეროკი | 3:2 |
| მორავცე-ნიტრა | 1:1 |
| დუბნიცა-სლოვანი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჟილინა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. კოშიცე | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 3. სლოვანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. ნიტრა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 5. დ. სტრედა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 6. ტატრანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 7. არტმედია | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 8. ტრნავა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 9. ბისტრიცა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 10. მორავცე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 11. რუჟომბეროკ | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 12. დუბნიცა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

## უკრაინა

II ტური

| | |
|---|---|
| დნიპრო-დინამო | 1:3 |
| არსენალი-კრივბასი | 1:1 |
| მეტალურგი (დ)-ჩერნომორეცი | 1:0 |
| ვორსკლა-ზორია | 0:1 |
| ილიჩივეცი-ლვოვი | 2:0 |
| კარპატი-შახტარი | 1:1 |
| მეტალურგი (ზ)-ხარკოვი | 0:0 |
| მეტალისტი-ტავრია | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. მეტალურ (დ) | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 3. არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 4. კრივბასი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 5. ზორია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 6. ილიჩივეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 7. ლვოვი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 8. ვორსკლა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 9. მეტალისტი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 10. ტავრია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 11. კარპატი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 12. ხარკოვი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 13. მეტალურ (ზ) | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 14. დნიპრო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 15. შახტარი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 16. ჩერნომორეც | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

## ბრაზილია

XV ტური

| | |
|---|---|
| ფლუმინენსე-კრუზეირო | 1:3 |
| იპატინგა-ინტერნასიონალი | 1:0 |
| ნაუტიკო-კორიტიბა | 1:2 |
| ატ. პარანაენსე-ფიგეირენსე | 0:0 |
| გოიასი-სპორტ რესიფე | 1:2 |
| გრემიო-პალმეირასი | 1:1 |
| სანტოსი-ვასკო | 5:2 |
| სან პაულუ-პორტუგეზა | გვ. დასრულდა |
| ატ. მინეირო-ვიტორია | გვ. დასრულდა |
| ფლამენგო-ბოტაფოგო | გვ. დასრულდა |

## გერმანია

### III ბუნდესლიგა

I ტური

| | |
|---|---|
| როტ ვაისი-დინამო (დრ) | 0:1 |
| შტუტგარტი II-ოფენბახი | 1:1 |
| ფორტუნა-პადერბორნი | 1:4 |
| უნტერჰახინგი-ვერდერი II | 3:0 |
| ზანდჰაუზენი-აალენი | 1:2 |
| რეგენსბურგი-კარლ ცაისი | 2:2 |
| აუე-ბრაუნშვაიგი | 0:2 |
| ბურგჰაუზენი-შტ. კიკერსი | 2:0 |
| ემდენი-ვუპერტალერი | 1:0 |
| ბაიერნი II-უნიონი | 2:1 |

## ხორვატია

I ტური

| | |
|---|---|
| სიბალია-სლავენი | 0:0 |
| კროაცია-ოსიეკი | 1:1 |
| ჰაიდუკი-ზადარი | 1:0 |
| ინკერი-შიბენიკი | 2:3 |
| ვარტექსი-ზაგრები | 2:1 |
| დინამო-რიეკა | 2:0 |

## უნგრეთი

I ტური

| | |
|---|---|
| კაპოშვარი-მტკ | 3:1 |
| დებრეცენი-ზალაეგერსეგი | 2:1 |
| შიოფოკი-ფეჰერვარი | 1:0 |
| ჰალადაში-დიორი | 2:1 |
| რეაკ-დიოშდიორი | 1:1 |
| უიპეშტი-ნირეგიჰაზა | 1:0 |
| კეჩკემეტი-პაკში | დღეს |

## რუმინეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ბრაშოვი-უნირეა | 1:0 |
| უნივერსიტატეა-პოლიტეხნიკა (თ) | 2:0 |
| არჯეში-პოლიტეხნიკა (ი) | 1:1 |
| გლორია (ბუქ)-ფარული | 0:1 |
| რაპიდი-გლორია (ბის) | 3:0 |
| გაზ მეთანი-ოცელული | 2:2 |
| ოტოპენი-კლუჟი | 0:4 |
| პანდური-დინამო | 1:1 |
| ვასლუი-სტიაუა | გადაიდო |

## იაპონია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ტოკიო-იოკოჰამა | 1:1 |
| გამბა-ოიტა | 0:1 |
| ივატა-ვერდი | 1:1 |
| კაშივა-კიოტო | 2:2 |
| კავასაკი-ნაგოია | 1:1 |
| კობე-ჯეფ იუნაიტედი | 0:1 |
| ნიიგატა-საპორო | 2:1 |
| ომიია-შიმიძუ | 0:0 |
| კაშიმა-ურავა | 1:1 |

## კოლუმბია

II ტური

| | |
|---|---|
| დეპ. კუინდიო-ჩიკო | 2:1 |
| მილიონარიოსი-დეპ. კალი | 2:3 |
| დეპ. პერეირა-ინდეპენდიენტე | 3:1 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ჩენგდუ-ჩელსი | 0:7 |
| ტვენტე-ოლიმპიაკოსი | 2:0 |
| მაგდებურგი-ჰერტა | 2:4 |
| აარინგტონი-ბარნსლი | 0:3 |
| ალდერშოტი-ლეიტონი | 0:1 |
| ბარნეტი-ლიდსი | 0:2 |
| ბორნმუთი-ბრისტოლი | 0:1 |
| ბრაიტონი-ჩარლტონი | 0:1 |
| ბერი-უენსლი | 0:2 |
| კარლაილი-პრესტონი | 2:2 |
| ქრიუ-პალი | 4:0 |
| დონკასტერი-ნიუკასლი | 1:0 |
| დორდრეხტი-ფეიენოორდი | 1:1 |
| ჯილინგემი-ბირმინგემი | 0:2 |
| იფსვიჩი-ვესტ ბრომვიჩი | 2:1 |
| კეტერინგი-ლესტერი | 1:4 |
| ლუტონი-ნორთჰემპტონი | 0:0 |
| მენსფილდი-დერბი | 2:3 |
| მორეკამბი-ტრანმერი | 1:2 |
| მოზერველი-ბრედფორდი | 4:0 |
| რეითი-რეინჯერსი | 1:2 |
| სკანთორპი-შეფილდი | 0:2 |
| ჰამბურგი-მანჩესტერ სითი | 1:0 |
| დანდი იუნ-ბარსელონა | 1:5 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ჰაარლემი | 1:1 |
| პსვ-გენტი | 2:1 |
| კიოლნი-ბაიერნი | 0:0 |
| კარლსრუე-სტრასბური | 0:1 |
| ლე მანი-ჰავრი | 2:0 |
| ტოა ოსი-როდა | 0:1 |
| ვირტონი-ლოკერენი | 0:5 |
| ბოხუმი-ვალენსია | 0:1 |
| დორტმუნდი-იუვენტუსი | 1:3 |
| ანდერლეხტი-პალერმო | 1:1 |
| სოშო-დიჟონი | 1:1 |
| სერკლი-ვესტერლო | 3:2 |
| გრენობლი-ბასტია | 2:0 |
| რონსე-რუზელარე | 4:3 |
| შალკე-ბეშიქთაში | 1:2 |
| სტიაუა-რომა | 3:1 |
| აიაქსო-მარსელი | 1:2 |
| ლანსი-ოსერი | 0:0 |
| სპორტინგი-ბლეკბერნი | 2:1 |
| პორტუ-სელტიკი | 0:1 |
| ფორესტ გრინი-ბირმინგემი | 0:1 |
| უტრეხტი-ქსანტი | 2:3 |
| ლუისბურგი-ბრიუგე | 1:0 |
| ლინცერი-რეალი | 2:3 |
| ლორიანი-ბორდო | 0:1 |
| პალამოსი-სუონსი | 0:1 |
| პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ | 1:2 |

არსენალი

# რეალმა ფაბრეგასი მოისურვა

## მადრიდელებმა რონალდოზე ხელი ჩაიქნიეს, ნიუკასლმა სენდეროსი მოიკითხა

მადრიდის "რეალი" **კრისტიანო რონალდოს** შეძენას ვერ ახერხებს. "მანჩესტერ იუნაიტედი" ფეხბურთელის გაყიდვას კატეგორიულად გამორიცხავს. პორტუგალიელი ვარსკვლავი ტრანსფერზე დაყენებას არ ითხოვს. სამეფო კლუბს კი უაზრო ლოდინი ყელში ამოუვიდა. მადრიდულმა გრანდმა **ფრანსესკ ფაბრეგასი** ამოიღო მიზანში.



ფრანსესკ ფაბრეგასი

ფაბრეგასი "ბარსელონის" აღზრდილია. ესპანური სააგენტოების ცნობით, "რეალი" უკვე ორჯერ შეეხმიანა ფეხბურთელის აგენტს და მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. ფაბრეგასის ბანაკი ამ ინფორმაციას არც ადასტურებს და არც უარყოფს. ინგლისელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ფეხბურთელი ლონდონში მომავალ ზაფხულამდე დარჩება. "რეალი" ერთი წელი ლოდინს არ აპირებს. მას სურს, ახალგაზრდა ვარსკვლავი აგვისტოს ფანჯრის დახურვამდე დაისაკუთროს.

ფაბრეგასს "ბარსელონაც" ეპატიჟება. კატალონიელებმა რამდენჯერმე უშედეგოდ სცადეს ფეხბურთელის დაბრუნება. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ფრანსესკის ფასი ერთი-ორად გაიზარდა. "არსენალის" თავკაცი **არსენ ვენგერი** ფეხბურთელის ტრანსფერის შესაძლებლობას არცკი განიხილავს. მაგრამ "მეთოფეებს" წამყვანი მოთამაშეები არა ერთხელ გაუშვიათ. სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, ისინი არც ფაბრეგასის ტრანსფერზე იტყვიან უარს.

"ნიუკასლმა" "არსენალს" **ფილიპ სენდეროსის** გაყიდვა შესთავაზა. ჯორდები 4 მილიონ გირვანქას ამზადებენ. ლონდონელ დირექტორებს ეს გარიგება ჭკუაში დაუჯდათ. მაგრამ ვენგერს თავისი სიტყვა ჯერ არ უთქვამს. სენდეროსი საკვანძო მოთამაშე არ არის. გასულ სეზონში მან არაერთი უხეში შეცდომა დაუშვა, მაგრამ ამ ეტაპზე ისიც საჭირო ფეხბურთელია. კოტდივუარელ **კოლო ტურეს** მალარია შეეყარა. ის რამდენიმე კვირა ვერ ითამაშებს. კამერუნელი **ალექსანდრ სონგი** ოლიმპიადაზე მიემგზავრება და ლონდონელებს მთელი თვე ვერ დაეხმარება. სენდეროსს შეუძლია, ამ ფეხბურთელების მაგივრობა გასწიოს.

"არსენალის" გულშემატკივრები შფოთავენ. კლუბმა ოთხი წამყვანი ფეხბურთელი – **ალექსანდრ გლები, მატიო ფლამინი, ჟილბერტო სილვა** და **იენს ლემანი** გაუშვა. ემანუელ ადებაიორი ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს. "მეთოფეებმა" მხოლოდ **აარონ რემსი** და **სამირ ნასრი** შეიძინეს. მიმომხილველთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ კლუბს ფინანსური პრობლემები აქვს. ამასვე უნდა უკავშირდებოდეს აღმასრულებელი დირექტორის, **კიტ ედელმანის** გათავისუფლება. ის "არსენალიდან" თვენახევრის წინ დაითხოვეს, თუმცა ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

## ეტოო ბენზემას ნაცვლად?

"ბარსელონა" **სამუელ ეტოოს** გაშვებას ცდილობს. კატალონიელებმა კამერუნელი თავდამსხმელი ლიონის "ოლიმპიკს" შესთავაზეს. "ბარსამ" ლიონელთა ახალგაზრდა თავდამსხმელ **ქარიმ ბენზემას** დაადგა თვალი. მან საფრანგეთის ჩემპიონებს ბენზემასა და ეტოოს გაცვლა შესთავაზა. გარიგების ალბათობა საკმაოდ მაღალია. ამას "ლიონის" პრეზიდენტის, **ჟან მიშელ ოლას** განცხადებაც ადასტურებს: *"თუ ეტოო ჩვენთან ჩამოსვლას გადაწყვეტს, კმაყოფილი დავრჩებით. წარსულში არაერთხელ ვცადეთ მასთან კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ ამაოდ."* ეტოოს მთხოვნელები არ აკლია, მაგრამ არცერთი კლუბი არ აპირებს ფეხბურთელში ასტრონომიული თანხის გადახდას და მისთვის მრავალმილიონიანი კონტრაქტის გაფორმებას.

## ვილია ტოტენჰემში რეალურია

**დავიდ ვილიას** აგენტი არ გამორიცხავს, მისმა კლიენტმა "ტოტენჰემს" მიაშუროს. "ვალენსიაში" დაძაბულობამ პიკს მიაღწია. გუნდის უმსხვილესმა აქციონერმა **ხუან ბაუტისტა სოლერმა**, ახლადარჩეული პრეზიდენტი **ხუან ვილიალონგა** სამსახურიდან დაითხოვა. ვილიალონგამ ამ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი კვირა იმუშავა. მან კლუბში ბევრი მტერი გაიჩინა - მთავარი მწვრთნელის, **უნაი ემერის** ჩათვლით. "ვალენსიის" აქციონერთა საბჭომ პრეზიდენტს უნდობლობა გამოუცხადა და ხმათა უმრავლესობით, კარისაკენ მიუთითა. მისი თანამდებობა **ვისენტე სორიანოს** ჩააბარეს.

სორიანო ფინანსური პრობლემების გადაწყვეტას წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვით აპირებს. ესპანელი მიმომხილველების აზრით, დავიდ ვილიასა და **დავიდ სილვას** ტრანსფერზე დააყენებენ. როგორც ამბობენ, სენიორ სოლერმა ვილიალონგას მკაცრად უსაყვედურა, რაკი ამ უკანასკნელმა "ატლეტიკოს" დავიდ სილვას მიყიდვაზე კატეგორიული უარი განუცხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო წარმოგიდგენთ

## საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე

ათენი. XXVIII ოლიმპიადა

# ოქროს ახალი ათვლა ათენიდან დაიწყო


ზურაბ ზვიადაური


გიორგი ასანიძე





ნესტორ ხერგიანი


რამაზ ნოზაძე



საბერძნეთის ხელისუფლებას ძალიან სურდა, ოცდამეექვსე ოლიმპიადა ათენში გამართულიყო. ეს გასაგებია: თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობას, რომელსაც, ისევე როგორც ანტიკურს, საბერძნეთში ჩაეყარა საფუძველი და აღორძინებული თამაშების პირველი ასპარეზობა სწორედ ათენში გაიმართა 1896 წელს. ბუნებრივია, უპრიანი იყო 100 წლისთავი და საიუბილეო ოლიმპიადა 1996 წელს ათენში გამართულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. საუკუნოვანი თამაშების მასპინძლობის უფლება ატლანტას არგუნეს. გამოხდა ხანი და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაშვებული "შეცდომა" იმით გამოასწორა, რომ უკვე ოცდამერვე ოლიმპიადის ჩატარების პატივი ათენს მიანიჭა. ამრიგად, 108-ე წლისთავზე აღორძინებულ, თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებს კვლავ ათენმა უმასპინძლა - ამჯერად მეორედ და მეოთხე ქალაქი გახდა პარიზის, ლონდონისა და ლოს-ანჯელესის შემდეგ, ვისაც 1896 წლიდან მოყოლებული ოლიმპიადების ჩატარების უფლება ორ-ორჯერ მიეცათ . მაშ ასე, 2004 წელი, ათენი. ოლიმპიადის საბერძნეთის მიწაზე დაბრუნებამ აღფრთოვანება გამოიწვია, როგორც თვით ბერძნებში, ისე მსოფლიოს კულტურულ ერებში, ვინც კარგად იცის ამ ქვეყნის და ბერძნების დამსახურება კაცობრიობის წინაშე.

ათენმა ამჯერად რიგით 28-ე ოლიმპიადას უმასპინძლა. საასპარეზოდ შეიკრიბა მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა - 201 ქვეყანა და 11 099 სპორტსმენი, რომელთა შორის 4278 ქალი იყო (ესეც სარეკორდო მაჩვენებელია. აქვე დავძენთ, რომ სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებში, არცთუ იშვიათად, სტატისტიკა მცირედით განსხვავებულია). ათენში სპორტის 28 სახეობაში მედლების 301 კომპლექტი გათამაშდა. აქედან საქართველოში წამოვიღეთ 2-2 ოქროსა და ვერცხლის მედალი. დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული პირველად სწორედ ათენში მოიპოვა ქართველმა სპორტსმენმა. ეს იყო **ზურაბ ზვიადაური**, რომელმაც ძიუდოში მიღწეული წარმატებით დაიდგა ოლიმპიური ჩემპიონის გვირგვინი. მეორე ოქროს მედალი კი უკვე მანამდეც სახელგანთქმულ ძალოსანს **გიორგი ასანიძეს** ხვდა წილად. და კიდევ ორი "ვერცხლი"- ერთი **ნესტორ ხერგიანს** ძიუდოში და მეორე - **რამაზ ნოზაძეს** ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. სულ ეს იყო. როგორც ხედავთ, ხარისხი გაუმჯობესდა, მონაწილე კი ადრინდელთან შედარებით ნაკლები იყო - 33. დანარჩენი ჩვენი სპორტსმენების შედეგები ათენში ასეთი იყო: V - **დავით მარგოშვილი** (ძიუდო) და **დავით პოლოსიანი** (თავ. ჭიდაობა); VI - **ირაკლი ჭოჭუა** (ბ/რ ჭიდაობა); VII - **დავით ქევხიშვილი** (ძიუდო); VIII და X - **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა); VIII - **ელდარ კურტანიძე** (თავ. ჭიდაობა); IX - **რუსუდან ხოფერია** (ბატუტი); **აკაკი ჩაჩუა** (ბ/რ ჭიდაობა) და **ივერი ჯიქურაული** (ძიუდო); XIII - **რევაზ მინდორაშვილი**, XIV - **ალექსი მოდებაძე**, **გელა სალირაშვილი** (სამივე - თავ. ჭიდაობა) და **არსენ კასაბიევი** (ძალოსნობა); XV - **მირიან გიორგაძე**, XVIII - **მუხრან ვახტანგაძე** (ორივე - ბ/რ ჭიდაობა); XXI - **ოთარ თუშიშვილი** (თავ. ჭიდაობა); XXII - **ილია გიორგაძე** (სპ. ტანვარჯიში); მერვედფინალიდან გამოეთიშა ტურნირს **ნიკოლოზ იზორია**, მესამე წრიდან **კონსტანტინე კუპატაძე** (ორივე - კრივი). I წრეს ვერ გასცდნენ - **გრიგოლ მამრიკიშვილი** და **ლაშა გუჯეჯიანი** (ორივე - ძიუდო); 1/32 ფინალიდან გამოეთიშნენ - **ხათუნა ნარიმანიძე** და **ქრისტინე ესებუა** (ორივე - მშვილდოსნობა), კვალიფიკაციას ვერ გასცდნენ - **მარიამ ქევხიშვილი**, **დავით ილარიანი**, **იულია იუდინა** (სამივე - მძლეოსნობა) და **ზურაბ ხომასურიძე** (ცურვა), დისკვალიფიკაცია მიიღო **მანუჩარ კვირკველიამ**, ტრავმის გამო კი ასპარეზობის გაგრძელება ველარ შეძლო **ირაკლი ლაბაძემ** (ჩოგბურთი).

მონაწილე ქვეყნებიდან მეტ-ნაკლები ოლიმპიური მედალი დაიმსახურა 74-მა სახელმწიფომ. მათ შორის საქართველო თავისი მონაგარით 32-ე იყო, ანუ 42 ქვეყანას ვაჯობეთ, საბოლოო ჯამში კი უკან ჩამოვიტოვეთ 169 ქვეყანა.

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | 35 | 39 | 29 | 103 |
| 2. ჩინეთი | 32 | 17 | 14 | 63 |
| 3. რუსეთი | 27 | 27 | 38 | 92 |

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## ოლიმპიური ვიქტორინა

### ეძღვნება პეკინის ოლიმპიურ თამაშებს

**1. რამდენი სპორტსმენი გამოვა პეკინის ოლიმპიადაზე საქართველოდან?**

ა - 33
ბ - 34
გ- 35

**2. დაასახელეთ თარიღები - როდის იხსნება და როდის მთავრდება პეკინის ოლიმპიადა?**

ა - 7-24 აგვისტო
ბ - 8-24 აგვისტო
გ - 9-25 აგვისტო

**3. სპორტის რამდენ სახეობაში მიიღებს თამაშებში მონაწილეობას საქართველოს დელეგაცია?**

ა - ცამეტში
ბ - თოთხმეტში
გ - თხუთმეტში

**4. რამდენი ქალია საქართველოს სპორტულ დელეგაციაში?**

ა - 6
ბ - 7
გ - 8

**5. რამდენი სპორტსმენია საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც ორ და მეტ თამაშებში მიუღია მონაწილეობა?**

ა - 3
ბ - 4
გ - 5

*პასუხებს გაეცნობით პეკინის ოლიმპიადასთან დაკავშირებულ ჩვენს მომდევნო პუბლიკაციებში.*

პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი.
მარიამ ქევხიშვილი, მძლეოსნობა

# მარიამის მეორე ოლიმპიური ცდა



**ჩინეთის დედაქალაქში ზაფხულის 29-ე თამაშებზე მეორედ ისპარეზებს ქართველი მძლეოსანი მარიამ ქევხიშვილი, რომელიც ამჯერად ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ვარჯიშობს ათენში... მოპარული ბირთვით (!).**

- წინა ოლიმპიადაზე 44 მონაწილეს შორის 15,60 მეტრით მხოლოდ 34-ე ვიყავი, - მითხრა მარიამმა. - მაშინდელი მომზადებით, ცხადია, საუკეთესოებში ვერ მოვხვდებოდი. არ ვიცი, საიდან, სტადიონზე მყოფს ასეთი სურვილი გამიჩნდა - ის ბირთვი მომეპარა, რომლითაც ვიასპარეზე. განზრახვა ბატონ მერაბ მეტრეველს გავანდე. იგი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა. იდეა მოეწონა. ის იყო, ბირთვი მოკლე შარვლის ჯიბეში ჩაიდო და გაპარვას აპირებდა, რომ შორტი ჩასძვრა. ორივეს გაგვეცინა. მაინც მივაღწიეთ მიზანს. დღეს ის ბირთვი უძვირფასეს რელიკვიად მიმაჩნია.

**- პეკინშიც იგივეს ხომ არ აპირებ?**

- არა, რას ამბობთ. მაშინ 18 წლის ვიყავი, ჯერ კიდევ ბავშვური ჭკუით. ახლა კი ოთხი წლით გავიზარდე, გათხოვილი ქალი ვარ...

მარიამ ქევხიშვილი 1985 წლის 17 სექტემბერს დაიბადა. მძლეოსნობაში ვარჯიში სიმაღლეზე ხტომით დაიწყო. ერთ-ერთ შეჯიბრებაზე საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ყარამან საბანაშვილმა „პროფილის" შეცვლა შესთავაზა.

- ერთი თვე ვიარე ბირთვის კვრაზე, - მითხრა მარიამმა. - შემდეგ ორი თვე არ გამოვჩენილვარ ვარჯიშზე, რადგან სპორტსა და სწავლას ერთად ვერ ვასწრებდი. ბატონმა ყარამანმა მომძებნა და მამაჩემის ნებართვით, რომელიც ძიუდოისტი გახლდათ, ისევ მძლეოსნურ სექტორებზე დამაბრუნა. 1999 წელს ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონი გავხდი. უფროსებში მეორე ადგილი დავიკავე. „სპორტის დედოფლისადმი" თანდათან სიმპათიები გამიჩნდა და, როგორც ხედავთ, დღემდე ვერ ველევი.

**ცნობისთვის:** მარიამ ქევხიშვილმა ევროპის საკლუბო ჩემპიონატებში ერთხელ პირველი (2005 წ.) და ორჯერ მეორე ადგილები (2004, 2006 წ.წ.) დაიკავა. ოთხი წლის წინათ ბაქოს სალიცენზიო ტურნირზე ათენის ოლიმპიადის საგზური დაიმსახურა. ორი წელიწადია, ფლორიდის შტატის ქალაქ გეინეზვილის უნივერსიტეტში სწავლობს და იქაურ შეჯიბრებებში წარმატებით მონაწილეობს.

**- როგორ მოხვდი ამერიკაში?** - ვკითხე მარიამს.

- ათენის ოლიმპიადაზე ჩემს მომავალ მწვრთნელს სტივ ლემკეს მოვწონებივარ და ფლორიდაში სწავლა და ვარჯიში შემომთავაზა.

**- კმაყოფილი ხარ?**

- რა თქმა უნდა, ოღონდ ძალიან ძნელია სპორტისა და სწავლის შეთავსება. უნივერსიტეტში სათანადო ქულებს თუ ვერ მიიღებ, ტურნირებში მონაწილეობის უფლებას არ მოგცემენ. დილის შვიდ საათზე მივდივარ ლექციებზე, მერე თითქმის ხუთსაათიანი ვარჯიში მაქვს ღია ცის ქვეშ და დარბაზში. დაღლილ-დაქანცული შინ ღამის 11 საათზე ვბრუნდები.

**- სად ცხოვრობ?**

- უნივერსიტეტის საოჯახო საცხოვრებელში მეუღლესთან ერთად. ბინაში, კვებასა და სწავლაში ფულს არ ვიხდი.

**- მეუღლე ვინ არის?**

- ჩოხატაურელი დავით მაჭავარიანი, ყოფილი მორაგბე. სპეციალობით იურისტია. ამერიკაში ერთ-ერთ პატარა კომპანიაში მსახურობს. ის რომ არ მედგას გვერდით, ძალიან გამიჭირდებოდა.

**- რამდენადაც ვიცი, შეჯიბრებებში ხშირად მონაწილეობ?**

- თითქმის ყოველ კვირა. წლეულს აიოვას შტატში სალიცენზიო ტურნირზე ბირთვი 17,44-მეტრიან ზღვარს გადავაცილე, რითაც ოლიმპიურ ნორმატივს გადავამეტე და პეკინის თამაშების საგზურიც დავიბევე. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის NCAA-ს, ანუ სტუდენტთა ნაციონალურ ჩემპიონატში გამარჯვება იყო. 17,85 მეტრით უნივერსიტეტის რეკორდი დავამყარე. ისეთ სპორტსმენებს მოვუგე, რომლებმაც წლეულს უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეს ან ეროვნულ ნაკრებში ცდიან ძალებს. მათ შორის იყვნენ მიშელ კარტერი და ქრისტინ ჰილტონი. ისინი პეკინში ისპარეზებენ. ქრისტინთან ვმეგობრობ. ჩვენი უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და ახლა პროფესიონალებში გამოდის.

**- პრობლემები თუ გექმნება ხოლმე?**

- იშკიათად და ისიც იმიტომ, რომ ზოგიერთებს ჯორჯიის შტატიდან ვგონივარ. ჩვენი სასწავლებლისა და ჯორჯიელთა ამერიკული ფეხბურთის გუნდების ფანები არიან დაპირისპირებული. ახლა ყველა მიცნობს და ჩემი კავკასიური წარმომავლობაც იციან.

**- მწვრთნელთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

- მეგობრული.

**- ბატონი ლემკეც ასე ფიქრობს?** - კითხვით მივმართე ქევხიშვილის ამერიკელ მწვრთნელს, რომელიც ჩვენი საუბრისას ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავდა, ხაზავდა.

- დიახ, მარიამი მართალია, - გაეღიმა სტუმარს.

**- დამჯერე შეგირდი გყავთ?**

- როდის - როგორ. რაც მთავარია, ყველა ვარჯიშზე ბოლომდე იხარჯება. წვრთნებისას ამერიკელებს რასაც ვეუბნები, ყველაფერს მისრულებენ, მარიამი კი მეკითხება, რატომ უნდა გავაკეთოო.

**- მერე, ეს კარგია?**

- თავიდან მაღიზიანებდა, ახლა მივეჩვიე. ქევხიშვილი სამომავლოდ მწვრთნელობას აპირებს, ამიტომ გაანალიზებით ნასწავლი გამოადგება.

**- მანამდე პეკინის ოლიმპიადაზე უნდა ისპარეზოს.**

- (ეცინება) მეც ასე ვფიქრობ. დიდი ბედნიერება იქნება, 12 საუკეთესოში თუ მოხვდება. მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის რეკორდი დაამყარა, ბევრი რამ გამოვასწორეთ. ყველაფერი თუ კარგად იქნა, ბირთვი 18,40 მეტრზე უნდა კრას, რამაც, შესაძლოა, სასურველი შედეგიც მოგვიტანოს...

- მარიამ ქევხიშვილი ჯერ 23 წლისაც არ არის, - ჩაერია საუბარში ყარამან საბანაშვილი. - ამიტომ ყველაფერი წინ აქვს. პეკინის ოლიმპიადაზე 12 საუკეთესოში მოხვედრაზე თუ ვოცნებობთ, დარწმუნებული ვარ, მისი მონაცემების პატრონი ლონდონის თამაშებზე მედლის უეჭველი კანდიდატი იქნება.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი. კოკა კოლას თასი

# მარაის ჰეთ-თრიკი



ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დამთავრდა "კოკა-კოლას" თასის ტრადიციული ტურნირი, რომელშიც მთავარი პრიზისთვის 16 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ. სპორტის დეპარტამენტის თასზე საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა, იტალიელმა **მატეო მარაიმ** ჯერ ლატვიელ **დენის პავლოვსთან** წყვილთა თანრიგში მოიპოვა "კოკა-კოლას" თასი, რასაც ერთეულთა თანრიგში გამარჯვებაც მიაყოლა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ ამ შეჯიბრების ორგანიზატორს, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს **ლეილა მესხს** ვესაუბრეთ.

- კარგი ტურნირები გამოგვივიდა, - მითხრა მან. - მაღალი სიცხეების მიუხედავად, მათი მაღალ დონეზე ჩატარება შევძელით. სახელმწიფოს მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის - სპორტის დეპარტამენტის თასის გათამაშება დაგვიფინანსა. ისევ ჩვენ გვერდით იდგნენ კომპანიები "კოკა-კოლა"და "რაკინი", რომელიც ჩოგბურთის ფედერაციის გენერალური სპონსორია.

უმთავრესი მიზანი, რაც ჩვენ გვამოძრავებდა, ის იყო, რომ თბილისურ ბატალიებში მეტ ქართველ ჩოგბურთელს გამოეცადა ოსტატობა. მასპინძლის უპირატესობით ვისარგებლეთ და სამი "ველური ბარათით" ჩვენი ბიჭები დავუშვით მთავარ ბადეში. თავი გამოიჩინა 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილმა**. ორივე ტურნირში მერვედფინალამდე მიაღწია და სარეიტინგო ქულებიც მოაგროვა, ცოტა ფულიც გამოიმუშავა. რაც შეეხება ეროვნული ნაკრების წევრს **ნოდარ ითონიშვილს**, "კოკა-კოლას" თასზე მან წელის ტრავმა მიიღო და, სამწუხაროდ, გათამაშებას გამოეთიშა. ვიმედოვნებ, რომ ორივე ახალგაზრდა ჩოგბურთელი შემოდგომამდე კიდევ რამდენიმე ტურნირში იასპარეზებს და მომზადებული შეხვდება დევისის თასის საპლეიოფო შეხვედრას. 19-21 სექტემბერს მინსკში ბელარუსის ნაკრების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი მატჩი გველის პირველ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. **ლადო ჩიხლაძე** უკვე შეუდგა ვარჯიშს, **ირაკლი ლაბაძემ** ამას წინათ ასიათასიან ტურნირში ორი წრე განვლო. ეს კი იმის დასტურია, რომ ისიც ნელ-ნელა სპორტულ ფორმაში შედის. სამომავლო გეგმებიდან ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია ქალებისთვის "ბორჯომის თასისა" და ბათუმის ღია ტურნირის მაღალ დონეზე გამართვა. ამ შეჯიბრებებისთვის უკვე აქედანვე ვემზადებით.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

რაგბი. ლეგიონერები

# იარში თემურ სოხაძე ისევ საუკეთესოა



თემურ სოხაძე

რუსეთის სარაგბო სუპერლიგის გათამაშებაში მორიგ ტურში მხოლოდ ორი შეხვედრა გაიმართა. კრასნოიარსკში **გიორგი ელიზბარაშვილის, თემურ სოხაძის, არჩილ კოპალეიშვილის, გიორგი სანიკიძისა და გიორგი ლომსაძის** "კრასნი იარმა" **დავით კიკნაძის, ბექა ყურაშვილის, გიორგი და ვალერი ცნობილაძეების** ნოვოკუზნეცკის "სმენას" უმასპინძლა და 23:16 დაამარცხა.

თამაში უშელავათო, დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. პირველი ნახევარი მასპინძლებმა 6:3 მოიგეს. კრასნოიარსკელთა მხრიდან ორი საჯარიმო თემურ სოხაძის ანგარიშზეა, რასაც ნოვოკუზნეცკელმა დავით კიკნაძემ ერთით უპასუხა. მეორე ტაიმში სოხაძემ კიდევ სამი საჯარიმო მიითვალა, კიკნაძემ კი ორი და ერთიც გარდასახვა გაიტანა. თავი გამოიჩინა ერთმა კრასნოიარსკელმა ქართველმა გიორგი ელიზბარაშვილმაც, რომელმაც მატჩის მიწურულს არეკნის გატანა შეძლო.

კრასნოიარსკის კიდევ ერთი გუნდი, **რატი ურუშაძისა და დავით კაჭარავას** "ენისეი" პენზას სტუმრობდა. მონინოში სამარცხვინო წაგების შემდეგ ენისეელებმა დროულად გონს მოსვლა შეძლეს და ადგილობრივი "დინამო" იოლად 41:6 დაამარცხეს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

პლაჟბურთი

# წილი ნაყარია

შვეიცარიის საკურორტო ქალაქ გშტაადში მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპის დასრულებისთანავე FIVB-იმ პეკინის ოლიმპიადისთვის წყვილები ჯგუფებში დაანაწილა. წილისყრაზე, გშტაადელებმა, ტრადიციის თანახმად, სტუმრებს მშვენიერი ზეიმი მოუწყვეს.




აღსანიშნავია, რომ პლაჟბურთის ორივე ქართული წყვილი, ვაჟთა შორის **გეორ-გია** და ქალთა შორის **საქა-რთველო C** ჯგუფში მოხვდნენ. თუმცა ანალოგია ამით არ დასრულებულა. ორივეს ჯგუფში ბრაზილიის საუკეთესო წყვილები ერგო მეტოქედ. გეორ-გია თავიანთ მეგობრებს, მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონებს **ემანუელ რეგოსა** და **რიკარდო სანტოსს** დაუპირისპირდებიან. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ორივე წყვილს მწვრთნელთა ერთი და იგივე შტაბი მოძღვრავს. ქალებში საქა-რთველოს მეტოქე კი, ამჟამად მსოფლიო რეიტინგში მესამე ნომერი და ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი დუეტი **ლარისა ფრანკა-ჯულიანა ფელისბერტა** იქნება.

წილისყრამ, შეიძლება ითქვას, რომ საქა-რთველოს ძალიან არ გაუმართლა. ბრაზილიელთა გარდა ჩვენი ქალების მეტოქე საკმაოდ ძლიერი ავსტრალიური წყვილი, რეიტინგით მეათე ნომერი **ტამსინ ბარნეტი** და **ნატალი კუკი** არიან. ურთულესი ბრძოლის გადატანა მოუწევთ მე-18 ნომერ, საკმაოდ გამოცდილ რუსულ, **ალექსანდრა შირიაევასა და ნატალია ურიადოვას** წყვილთანაც. ერთი სიტყვით, ჯგუფიდან გასვლისთვის საქა-რთველომ პატარა სასწაული უნდა მოახდინოს.

გაცილებით უკეთ აქვს მდგომარეობა გეორ-გიას. რიკარდოსა და ემანუელის გარდა მათ ჯგუფიდან გასვლაში შეეცილებიან **ენდრიუ შახტი-ჯოშუა სლეკი** (ავსტრალია) და **აბრეუ მორაიში-ემანუელ ფერნანდესი** (ანგოლა). ავსტრალიელები, მართალია, რეიტინგში მეათე ნომრები არიან, მაგრამ გეორ-გიასთვის უძლეველ ტანდემს არ წარმოადგენს. რაც შეეხება ანგოლელებს, ისინი ოლიმპიადაზე სულაც უაილდ ქარდით მოხვდნენ. მეტიც, გეორ-გიას ჯგუფის ფავორიტთან და საერთოდ, ოლიმპიადის მოგების უმთავრეს კანდიდატთან რიკარდო-ემანუელისთვისაც მოუგია ორჯერ "ბანკო დი ბრაზილიას" გათამაშებაში.

ერთი სიტყვით, წილი ნაყარია და ახლა ყველაფერი ჩვენ ფრენბურთელებზეა დამოკიდებული.

**ქალები. C ჯგუფი**

**ჯულიანა-ლარისა(ბრაზილია), ბარნეტი-კუკი (ავსტრალია), ურიადოვა-შირიაევა (რუსეთი), საქა-რთველო (საქართველო).**

**ვაჟები. C ჯგუფი**

**რიკარდო-ემანუელი (ბრაზილია), შახტი-სლეკი (ავსტრალია), გეორ-გია (საქართველო), ფერნანდესი-მორაიში (ანგოლა).**

**ბესიკ ჯანგავაძე**

სუმო. ივლისის ბაშო

# ლევან გორგაძის პირველი ელიტური

## კოკაი აკრძალულს შეეხო



ტოჩინოშინი

ნაგოიას ბაშოს ბოლოსწინა დღეს სუმოს ელიტაში პირველად, 20 წლის **ლევან გორგაძემ** კაჩი-კოში ანუ დადებითი ბალანსი დაიბევა. ამისთვის **ტოჩინოშინის** საბრძოლო სახელით მოასპარეზე ქართველს სულ ორი ტურნირი ეყო. ახალ რეიტინგში ლევანის დაწინაურებას ველით. სამწუხაროდ, ტურნირი კურიოზული მარცხით დაასრულა ექსკომუსუბი **კოკაიმ (ლევან ცაგურია)**, რომელიც, სავარაუდოდ, 4-5 საფეხურით დაქვეითდება. ბაშო დაუმარცხებლად დაასრულა დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ**, რომელმაც მეშვიდედ წაიღო მშობლიურ მონღოლეთში იაპონიის იმპერატორის თასი.

შაბათს, ტოჩინოშინმა გადამწყვეტი, მე-8 გამარჯვება მონღოლ **ტოკიტენკუსთან** ორთაბრძოლაში მოიპოვა, მან იორიკირის ილეთით იმარჯვა. ბაშო ლევანმა მარცხით დაასრულა, მე-3 მაეგაშირა **ფუტენოსთან** ორთაბრძოლა მსაჯების ინიციატივით ორჯერ გაიმართა. პირველად ტოჩინოშინმა ცაციათი უვატენაგის ილეთით იმარჯვა, მაგრამ მსაჯებმა ჩათვალეს, რომ ორივე მოწინააღმდეგე ერთდროულად დაეცა დოჰიოზე. განმეორებითი შერკინება კი იაპონელმა მოიგო. 8-7, ასეთი ბალანსით დაასრულა ტოჩინოშინმა ნაგოიას ბაშო.

შაბათს, კოკაი 170-კილოიანმა **ივაკიამამ** დოჰიოდან დარბაზში მოისროლა. კვირას, ქართველის მეტოქე **კიმურაიამა** იყო. ილეთის შესრულებისას კოკაი უნებურად შეეხო მეტოქის სამუარაის მაგეს (კიკინა), რის გამოც მას წაგება ჩაუთვალეს. კოკაიმ ნაგოიას ბაშო 5-10 ბალანსით დაასრულა.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში ბაშო 4-3 ბალანსით დაასრულა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, რითაც ქართველმა დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა. გაგამარუ რეიტინგში წინ წაიწევს.

ნაგოიას ბაშო იოკოძუნა ჰაკუჰომ შესანიშნავი შედეგით, 15-0 დაასრულა. ტურნირში მას რეალური კონკურენტი, ფაქტობრივად, არ ჰყოლია მას შემდეგ, რაც იოკოძუნა **ასაშორიუმ** მხრის ტრავმის გამო ნაგოია ნაადრევად დატოვა. მეორე ადგილზე ადგილობრივი პუბლიკის კერპი, ჩემპიონი **კოტომიცუკი** გავიდა 11 გამარჯვებით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაგოიას ბაშო**
(ივლისის სუპერტურნირი)
13-27 ივლისი. აიჩის
პრეფექტურა (იაპონია)

XIV დღე: მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 10)-ივაკიამა (მ 9) 0:1 (იორიტაოში); ტოჩინოშინი (მ 14)-ტოკიტენკუ (მ 6) 1:0 (იორიკირი); ჰაკუჰო (ი)-კოტომიცუკი (ო) 1:0; კაიო (ო)-კოტოოშუ (ო) 1:0; ჩიოტაიკაი (ო)-ვაკანოსატო (მ 4) 1:0; მიაბიამა (მ 5)-კოტოშოგიკუ (ს) 1:0; ამა (ს)-გოეიდო (მ 4) 1:0; ტოიონოშიმა (კ)-ასასეკირიუ (მ 2) 1:0; ტოჩინონადა (მ 3)-კისენოსატო (კ) 1:0; ამინიშიკი (მ 1)-ვაკანოჰო (მ 1) 1:0; ჰოკუტორიკი (მ 2)-ფუტენო (მ 3) 1:0; ბარუტო (მ 5)-ტოიოჰიბიკი (მ 13)

XV დღე: მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 10)-კიმურაიამა (მ 12) 0:1 (ბრძოლის გარეშე); ტოჩინოშინი (მ 14)-ფუტენო (მ 3) 0:1 (იორიტაოში); ჰაკუჰო (ი)-კოტოოშუ (ო) 1:0; კოტომიცუკი (ო)-კაიო (ო) 1:0; ტოიონოშიმა (კ)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0; ბარუტო (მ 5)-ამა (ს) 1:0; ჰომაშო (მ 6)-კოტოშოგიკუ (ს) 1:0; კისენოსატო (კ)-გოეიდო (მ 4) 1:0; ჰოკუტორიკი (მ 2)-ამინიშიკი (მ 1) 1:0; ვაკანოჰო (მ 1)-ტოჩინონადა (მ 3) 1:0; მიაბიამა (მ 5)-ასასეკირიუ (მ 2) 1:0; ტაკეკაძე (მ 12)-ვაკანოსატო (მ 4) 1:0

საბოლოო მდგომარეობა: 15-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა) 11-4: კოტომიცუკი (ოძეკი) 10-5: ამა (სეკივაკე); ტოიონოშიმა (კომუსუბი); ბარუტო (მაეგაშირა 5); კიოკუტენჰო (მ 9); ტოიოჰიბიკი (მ 13); მასაცუკასა (მ 16).. 8-7: ტოჩინოშინი (მ 14).. 5-10: კოკაი (მ 10)

იმპერატორის თასი: ჰაკუჰო (მე-7)

ბრწყინვალე ასპარეზობა: ტოიონოშიმა (მე-2)

მებრძოლი სული: ტოიოჰიბიკი (მე-2)

ტექნიკური რიკიში: ამა (მე-4)

ძურიოს ჩემპიონი: ბუშუიამა (პირველად)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. 18-წლამდელთა ნაკრები

# ვიკინგებმა რქებზე წამოგვაგეს


ალეკო ძიძიგური


ტატო ჩაჩიბაია

საქართველოს ნაკრებთაგან B დივიზიონში ორილა დაგვრჩა - ეროვნული გუნდი და 18-წლამდელთა ნაკრები. ჭაბუკები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში შაბათს ჩაერთვნენ და მათგან ყველა A დივიზიონის საგზურს ელის. თუ მიხეილ კობეშავიძის შეგირდები B ლიგის ფინალში გაალწევენ, ამით ავტომატურად მიიღებენ 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის საგზურს.

ფინალამდე კი ქართველებს ჯგუფური ტურნირის ბარიერი აქვს დასაძლევი. პირველი ჯგუფური ეტაპიდან მეორეში მოსახვედრად საჭიროა ქვეჯგუფში პირველი ან მეორე ადგილის დაკავება. ეს არცთუ იოლი მისაღწევია.

ვფიქრობთ, ჭაბუკთა ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირის სისტემა საკმარისად გაგაცანით. ახლა ქართველთა მიერ გამართულ მატჩებს მივხედოთ.

## უნგრეთთან

შეჯიბრება უნგრეთის ქალაქ დებრეცენში მიმდინარეობს, ამიტომ იოლი წარმოსადგენია, რაოდენ რთული იყო ჩვენი გუნდისთვის სადებიუტო მატჩის უნგრელ თანატოლებთან გამართვა. სირთულე პირველივე მეოთხედში გამოჩნდა, როცა 16:12 დაწინაურების შემდეგ ქართველებმა მასპინძლებს ვერაფერი მოუხერხეს და პერიოდი 16:21 დათმეს. აქვე მოგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების სასტარტო ხუთეულში მწვრთნელმა **ალეკო ძიძიგური, კოკა ტომარაძე, თორნიკე შენგელია, დავით მაისურაძე** და **ნიკა მეტრეველი გაამწესა.**

მეორე მეოთხედის დასაწყისში მოედანზე გამოჩნდა **ირაკლი ჯგერენაია,** რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით ოთხი ქულა ჩააგდო და თანაგუნდელთა გაქცევას ჩაუყარა საფუძველი. როგორც შემდეგ ალმოჩნდა, მატჩის ბედის სწორედ მეორე ათწუთეულში გადაწყდა - 25:11 საქართველოს სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში **მიხეილ კობეშავიძემ** დაცვა გააძლიერა, 20 წუთში ქართველმა ჭაბუკებმა 32 ქულა ჩააგდეს, მეტოქეს 31 დაანებეს და საბოლოოდ პირველი გამარჯვება ჩაიწერეს - 73:63.

ამ მატჩის მიმოხილვაში არ გვიხსენებია „ვალენსიაში" მოასპარეზე **თორნიკე შენგელია.** მას ცალკე აბზაცი ნამდვილად ეკუთვნის, რადგან თორნიკე შეხვედრის გმირი გახდა - 20 ქულა, 10 მოხსნა, 3 შედეგიანი გადაცემა. შენგელიამ 10-დან 8 ორქულიანი გამოყენა და ზედ 4 საჯარიმო მიაყოლა. დანარჩენების სტატისტიკას მატჩის ოქმში იხილავთ.

თუკი ამავე ოქმს გადახედავთ, აღმოაჩენთ, რომ ქართველთა წარმატებას კიდევ ორი საფუძველი ჰქონდა: ჩვენებმა მეტოქეზე 20-ით მეტი მოხსნა მიითვალეს (50:30), ხოლო საჯარიმო ტყორცნების მაჩვენებლით ნათლად გამოჩნდა, რაოდენ უჭირდათ უნგრელებს ფარქვეშ სტუმრების შეჩერება - ქართველებმა 30 საჯარიმო ტყორცნეს და 21 გამოიყენეს, ხოლო მადიარებმა ოდენ 3 საჯარიმოდან 2 ჩააგდეს.

B დივიზიონი. D ჯგუფი. 26 ივლისი

**უნგრეთი-საქართველო 63:73**

21:16, 11:25, 18:21, 13:11

| უნგრეთი | წთ | ქ | მ | პ | ჩ | ღ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჟილინგსფელდი | 26 | 10 | 4 | 1 | 0 | 0 | 0 |
| შემაკი | 19 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 2 |
| პელმეცზი | 38 | 14 | 4 | 3 | 3 | 0 | 3 |
| ანგიალი | 24 | 2 | 5 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ტაკაჩსი | 38 | 18 | 1 | 3 | 4 | 0 | 2 |
| სორვასი | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოჰაჩსი | 19 | 11 | 4 | 2 | 0 | 0 | 1 |
| გმაინიცკი | 18 | 6 | 5 | 0 | 2 | 0 | 0 |
| მონძინგერი | 12 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |

| საქართველო | წთ | ქ | მ | პ | ჩ | ღ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მეტრეველი | 20 | 7 | 9 | 1 | 0 | 1 | 5 |
| ძიძიგური | 34 | 12 | 4 | 4 | 0 | 0 | 6 |
| ჩიკვილაძე | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| შენგელია | 35 | 20 | 10 | 3 | 0 | 0 | 3 |
| ჩაჩიბაია | 17 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 |
| ნანიტაშვილი | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ტომარაძე | 28 | 11 | 3 | 3 | 1 | 0 | 4 |
| მაისურაძე | 20 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ჯგერენაია | 20 | 8 | 7 | 1 | 1 | 2 | 1 |
| შარაბიძე | 20 | 14 | 7 | 0 | 1 | 0 | 3 |

## დანიასთან

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები დანიას გუშინ საღამოს დაუპირისპირდა. ერთ-ერთ ტოტალიზატორში იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი ჩვენიანების გამარჯვებაში, რომ ქართველთა მოგება პროგრამაში საერთოდ არ შეიტანეს - ჩვენების 18-ქულიანი სხვაობით მოგებას კი 1.8 კუში მიანიჭეს.

ასეთი ციფრების შემხედვარენი კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მიხეილ კობეშავიძის გუნდი A დივიზიონში მოხვედრის ერთ-ერთი პირველი ფავორიტია, მაგრამ...

...მაგრამ წავაგეთ.

ქართველები მოედანზე თავიდანვე თავდაჯერებულები გავიდნენ და დაისაჯნენ კიდეც - დანიელებმა პირველივე მეოთხედში მოიპოვეს უპირატესობა და მეოთხე პერიოდის მეორე წუთზე 13 ქულით დაწინაურდნენ (56:43). მარცხის სუნის დატრიალებამ ქართველები გამოაფხიზლა და მათ იმაზე ორჯერ მეტი სამქულიანი გამოიყენეს, რაც საწყის სამ პერიოდში - ტომარაძემ და ძიძიგურმა 2-2 შორეული ტყორცნის რეალიზება მოახერხეს. ალეკო ძიძიგურმა ბოლო სამქულიანი საფინალო სირენამდე ორი წუთით ადრე გამოყენა და თანაგუნდელები 70:69 დააწინაურა. სიტყვა მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა ვიხმაროთ:

...მაგრამ დარჩენილ დროში დანიელებმაც თავი გამოიდეს - კრისტიანსენმა ორი სამქულიანით ვიკინგები 77:71 დააწინაურა და დანიელებს ჯგუფში მეორე გამარჯვება ჩააწერინა - 81:75.

მატჩისშემდგომ სტატისტიკას რომ გადავხედეთ, ალმოჩნდა, რომ მეტოქეს მოხსნებშიც ვაჯობეთ და ორქულიანებშიც. არც სხვა კომპონენტებში ჩამოვრჩენილვართ ბევრად, გარდა ერთისა - შედეგიანი გადაცემებისა. დანიელებმა 15 პასი ჩაიწერეს, ქართველებმა - 5. ეს წაგების მთავარ მიზეზზე მიგვითითებს - მეტოქემ გუნდური კალათბურთი ითამაშა, ჩვენებმა - ვერა.

ჯგუფიდან გასვლისთვის მიხეილ კობეშავიძეს დარჩენილი ორივე მატჩის მოგება სჭირდება, დღეს - სლოვაკეთთან, ხვალ - ფინეთთან.

B დივიზიონი. D ჯგუფი. 27 ივლისი

**საქართველო-დანია 81:75**

19:24, 12:16, 12:14, 32:27

| საქართველო | წთ | ქ | მ | პ | ჩ | ღ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მეტრეველი | 30 | 12 | 7 | 2 | 0 | 0 | 1 |
| ძიძიგური | 32 | 16 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ჩიკვილაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| შენგელია | 31 | 21 | 6 | 0 | 1 | 1 | 5 |
| ჩაჩიბაია | 18 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნანიტაშვილი | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ტომარაძე | 31 | 13 | 2 | 1 | 3 | 0 | 3 |
| თავართქილაძე | 18 | 8 | 1 | 1 | 1 | 0 | 3 |
| მაისურაძე | 15 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| ჯგერენაია | 8 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 1 |
| შარაბიძე | 10 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 3 |

| დანია | წთ | ქ | მ | პ | ჩ | ღ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარი | 31 | 4 | 3 | 4 | 4 | 0 | 5 |
| კრისტიანსენი | 38 | 20 | 4 | 1 | 1 | 0 | 4 |
| მადსენი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ბაკი | 36 | 11 | 3 | 5 | 2 | 0 | 4 |
| ჰასელგახი | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ბჩუპოლდტი | 23 | 5 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 |
| სეილუნდი | 21 | 8 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 |
| ფრანდსენი | 31 | 21 | 7 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ნორგაარდი | 13 | 10 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 |

| დანარჩენი მატჩები | |
|---|---|
| დანია-სლოვაკეთი | 67:98 |
| უნგრეთი-ფინეთი | 70:82 |
| ფინეთი-დანია | 55:65 |

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 3 | 2 | 1 | 5 |
| 2. საქართველო | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. ფინეთი | 2 | 1 | 1 | 3 |
| 4. სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 5. უნგრეთი | 2 | 0 | 2 | 2 |

ვაჟა სიმონიშვილი

ხელბურთი. ინტერვიუ არჩილ გარიშვილთან

# მეცნიერი მეკარე სამშობლოში ბრუნდება

**გერმანულ სახელბურთო კლუბ "ტვ-ვეიდენის" მეკარე არჩილ გარიშვილი თამამად შეიძლება ჩავთვალოთ მეცნიერებასთან ერთ-ერთ ყველაზე უფრო დაახლოებულ ქართველ სპორტსმენად. იგი ფიზიკოსია და ქალაქ იულიხის კვლევით ცენტრში მუშაობს, პარალელურად კი გერმანიის მეოთხე ლიგაში ბურთაობს.**

**გარიშვილი ამჟამად „ვეიდენის" რიგებში ახალი სეზონისთვის ემზადება, მაგრამ საქმე იქით მიდის, რომ ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, ალბათ ისევ საქართველოს ჩემპიონატს დაუბრუნდება. დანარჩენზე თავად აჩიკო გვესაუბრება, რომელსაც გერმანიაში შევეხმიანეთ.**

- სამწუხაროდ, განვლილ სეზონში „ვეიდენმა" მეოთხე ადგილი დაიკავა. შესაბამისად, მესამე ბუნდესლიგაში ვერ გადავედით. მესამე ლიგის ერთადერთი საგზური თამაშდებოდა და იგი „ბაიერ დორმაგენის" მეორე გუნდმა მოიპოვა, რომელმაც მთელი 10 ქულით გვაჯობა. სხვათა შორის, „ბაიერის" მთავარი გუნდი წლეულს პირველ ბუნდესლიგაში აღზევდა.

**- რატომ ვერ მოახერხეთ მესამე ლიგაში გადასვლა?**

- შემადგენლობა ნამდვილად ძლიერი გვყავდა, მაგრამ მწვრთნელი იყო სუსტი და იგი სეზონის დასრულების შემდეგ გაუშვეს. „ვეიდენი" ახალმა სპეციალისტმა ანდრეას ჰეკჰაუსენმა ჩაიბარა, რომელსაც პირველი ბუნდესლიგის მწვრთნელის ლიცენზია აქვს.

**- განვლილი სეზონი პირველ ბუნდესლიგაში გაატარა სერგო დათუკაშვილმა. როგორ შეაფასებ მის სლოვენიაში გადასვლას?**

- ჩემი აზრით, სწორი ნაბიჯი გადადგა. „ლიუბეკე" მეორე ლიგაში გავარდა და იქ დარჩენა ნამდვილად არ ღირდა. საშუალო დონის გერმანულ კლუბს კი „გორენიე" და ჩემპიონთა ლიგაში თამაში ჯობია. საერთოდ, ბუნდესლიგაში 3-4 უმაღლესი კლასის გუნდია. დანარჩენები ერთი დონისანი არიან და ძალიან რთული ჩემპიონატია.

**- საინტერესოა, რა დონეა მეოთხე ლიგაში?**

- მიუხედავად იმისა, რომ ამ ლიგაში ნახევრად სამოყვარულო კლუბები თამაშობენ, საკმაოდ კარგი და საინტერესო ჩემპიონატია. საერთოდ, გერმანიაში შესაძლოა, მესამე-მეოთხე ლიგის გუნდს უცბად გამოუჩნდეს მძლავრი სპონსორი, პროფესიულად გადაკეთდეს და პირველ ბუნდესლიგაში მოსახვედრად დაიწყოს ბრძოლა. მაგალითად, მესამე ლიგის არაფრით გამორჩეულმა ბინადარმა „აახენმა" გამონახა ასეთი სპონსორი და მეორე წელიწადია, სულ ცოტა აკლდება მეორე ლიგაში აღზევებამდე.

**- „ვეიდენის" წლიური ბიუჯეტი რამდენია?**

- ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ჩემი გამოთვლით, დაახლოებით 50000 ევრო. პირობები საკმაოდ ნორმალური გვაქვს და ხელფასებსაც მეოთხე ლიგის ნახევრად სამოყვარულო გუნდის კვალობაზე, არა უშავს - თვეში 200-300 ევრო. თანაც, გუნდის თითქმის ყველა წევრს სამსახური გვაქვს.

**- ახალი სეზონისთვის სამზადისი დაიწყეთ?**

- დიახ, უკვე ხუთი საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ. თუმცა, მე ალბათ დავტოვებ გუნდს.

**- რატომ?**

- განათლებით ფიზიკოსი ვარ, იულიხის კვლევით ცენტრში ვმუშაობ, მეცნიერი ვარ და სადოქტორო დისერტაცია უნდა დავწერო. ცენტრის ხელმძღვანელობა აგვისტოს ბოლოს, რამდენიმე თვით თბილისში მიშვებს. მინდა, ამით ვისარგებლო და ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს ჩემპიონატში ვითამაშო.

**- „ვეიდენში" დარჩენა არ გთხოვეს?**

- როგორ არა. გუნდის ძირითადი მეკარე ვიყავი და ძალიან დაწყდათ გული,



რომ მოვდივარ. მითხრეს, როცა გინდა მაშინ შეგიძლია ჩვენთან დაბრუნებაო, მაგრამ რაკილა არ ვიცი როდის დავბრუნდები, ახალი მეკარის ძებნა დაიწყეს. ჯერ არ ვიცი, ზუსტად, რამდენ ხანს ვიქნები თბილისში. შესაძლოა, რამდენიმე თვით, ან სულაც ერთი წლით დავრჩე.

**- საქართველოს ჩემპიონატში რომელ კლუბში აპირებ თამაშს?**

- თუკი საქართველოში ვითამაშებ, ალბათ მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ყოფილ კლუბ „თბილისში". ჯერ ერთი, ეს „ჩემი" გუნდია და მეორეც, როგორც ვიცი, სხვა კლუბებში ან ძალიან დაბალი ხელფასებია, ან საერთოდ არ აქვთ გასამრჯელო. ისე, ჩემი სპეციალობისა და განათლების პატრონს, საქართველოში შემიძლია ნორმალური სამსახურის შოვნა, მაგრამ თავს უფრო ხელბურთელად ვთვლი და ჯერჯერობით, მისი მიტოვება არ მინდა.

**- საქართველოს ჩემპიონატში თამაშს ერთი დადებითი მომენტი აქვს - ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა თვალთახედვის არეში იქნები...**

- ვნახოთ. სამაგისოდ ჯერ კლუბი უნდა მოვნახო. ისე, საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემთვის მუდამ დიდი პატივი და მოტივაციაა.

კობა ხატისაშვილი

ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# ასეთ სოფელი



სოფლის საერთო ხედი

გუშინ, პეკინში ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მთავარი ობიექტი – ოლიმპიური სოფელი გაიხსნა.

66 ჰექტარის ფართობზე 42 საცხოვრებელი სახლია აშენებული, რომელშიც სამ, ექვს და რვა კაცზე გათვალისწინებული 10 ათასი ბინაა. ოლიმპიურ სოფელში 205 ქვეყნის დაახლოებით 10 ათასი სპორტსმენი, 5 ათასი მწვრთნელი და ეროვნული ოლიმპიური დელეგაციების სხვა წარმომადგენელი იცხოვრებს.

აქ უკვე ჩასახლდა 639 ჩინელი სპორტსმენი. ოლიმპიადის ყველაზე წარმომადგენლობითი დელეგაციის საპატივცემულოდ, ცენტრალურ მოედანზე ჩინეთის დროშა აღმართეს.

სოფელი ოლიმპიადის ძირითადი არენების ახლოს არის აშენებული, ხოლო მოშორებულ სპორტულ ობიექტებამდე მისასვლელად, ავტობუსების სპეციალური მარშრუტებია დანიშნული. სოფლის ტერიტორიაზე დაყენებულია ფანრები, რომლებიც მზის ენერგიაზე მუშაობენ, აქვეა წვიმის წყლის სანმენდი სისტემა, ხოლო სპორტსმენების გადაყვანა მხოლოდ ელექტრომობილებით განხორციელდება.

**გია თვალაბეიშვილი**

მძლეოსნობა. ლონდონის დიდი პრიზი

# ბოლტი ორას მეტრზეც ყველაზე სწრაფია

იამაიკელმა სუპერ სპრინტერებმა საპეკინო მოთელვა დაასრულეს. ოლიმპიადამდე ბოლო ტურნირი, რომელზეც მათ თავიანთი ოლიმპიური მზადყოფნა შეამოწმეს, ლონდონური დიდი პრიზია, რომელზეც ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდსმენმა **უსაინ ბოლტმა** 200 მეტრზე სპრინტში გაიმარჯვა, 100 მეტრზე კი ყველაზე სწრაფი მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი, **ასაფა პაუელი** იყო.



უსაინ ბოლტი ასპარეზობისას

ბოლტმა ორასი მეტრი 19.76 წამში გაირბინა, რაც მართალია, ორი კვირით ადრე, მის მიერვე ნაჩვენებ სეზონის საუკეთესო შედეგზე 0.09 წამით ნაკლებია, სამაგიეროდ, მან ბრიტანეთის საყოველთაო (არა მარტო ბრიტანელების) რეკორდი (19.84 წამი) გააუმჯობესა, რომელიც ამერიკელ მსოფლიო ჩემპიონს, **ტაისონ გაის** ეკუთვნოდა.

*"აქ ჩემი გამოსვლით ძალიან კმაყოფილი ვარ. სტარტამდე გარკვეული გეგმა შევადგინე და მიხარია, რომ ის ზედმიწევნით შევასრულე"*, - განაცხადა 21 წლის ბოლტმა, ვინც მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს დასჯერდა.

მანვე დასძინა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, პეკინში ორივე მოკლე სპრინტერულ დისტანციაზე იასპარეზოს, თუ თავისი ფავორიტი, 200 მეტრი აირჩიოს. *"ჯერაც არ ვარ დარწმუნებული, რომ პეკინში ორივე დისტანციაზე გამოვალ. რა თქმა უნდა, ამის დიდი სურვილი მაქვს, თუმცა გადაწყვეტილებას ჩემი მწვრთნელი მიიღებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ორივეზე გამარჯვება შემიძლია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხუთი წელიწადია, ჩემს მწვრთნელს მცდარი გადაწყვეტილება არ მიუღია. მე მას სრულად ვენდობი და თუ ის იტყვის, რომ მხოლოდ ერთზე უნდა ვიასპარეზო, უსიტყვოდ დავეთანხმები"*, - ამბობს ბოლტი.

ას მეტრზე კი. ყველაზე სწრაფი პაუელი გამოდგა, ვინც ფინიშს 9.94 წამში მიაღწია. რა თქმა უნდა, დიდი მიზნების მქონე სპრინტერისთვის ეს გადასარევი დრო არ არის, თუმცა მანვე ნაფინიშევს განაცხადა, გაცილებით სწრაფად სირბილი შემიძლია და ამას პეკინში გიჩვენებთო.

ქალთა შორის ას მეტრზე სპრინტშიც იამაიკელები დომინირებდნენ. დაძაბულ პაექრობაში, აქ 200 მეტრზე სპრინტის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ვერონიკა კემპბელმა** (10.87) თავის თანამემამულე **შელი ენ ფრეზერს** (10.95) აჯობა. მხოლოდ მესამე და მეოთხე ადგილებს დასჯერდნენ ამერიკელები – **მერშევეტ ჰუკერი** და 31 წლის ტორი ედვარდსი. ეს უკანასკნელი ამ დისტანციაზე 2003 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ამ სეზონში კი, მასვე საუკეთესო შედეგი (10.78 წამი) ეკუთვნის.

კემპბელი თავისი კარიერის საუკეთესო შედეგთან შედარებით, 0.02 წამით ნელი იყო, სამაგიეროდ, ამ სეზონში მისთვის საუკეთესო დრო აჩვენა, რის შემდეგაც განაცხადა, პეკინში მიზნად მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის დაცვას ვისახავო.

ძალიან საინტერესო გამოდგა ჭოკით მხტომელ მამაკაცთა ასპარეზობა. აქ ერთნაირი შედეგი (5.97 მეტრი) ავსტრალიელმა **სტივ ჰუკერმა** და რუსმა (მსოფლიოს ჩემპიონმა ჭერქვეშა არენაზე) **ევგენი ლუკიანენკომ** აჩვენეს, გამარჯვება კი რუსს დარჩა, ვინც ამაზე ნაკლები ცდა გამოიყენა. მესამე ადგილი გერმანელმა **ალექსანდერ შტრაუბმა** და ამერიკელმა **ბრედ უოკერმა** გაიყვეს. სხვათა შორის, ამ სეზონში სწორედ უოკერს ეკუთვნის საუკეთესო შედეგი (6.04 მეტრი). მართალია, ამჯერად უოკერი მხოლოდ 5.72 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო, თუმცა მაინც კმაყოფილი დარჩა: *"პეკინისთვის კარგად ვარ მომზადებული. ვფიქრობ, ოლიმპიადაზე გამარჯვებისთვის ექვს მეტრზე გადახტომა იქნება საჭირო, მე კი იქ ამას აუცილებლად შევძლებ"*, - განაცხადა უოკერმა.

ქალთა შორის კი კვლავ საუკეთესო იყო რუსი **ელენა ისინბაევა**, რომელმაც მსოფლიოს ახალი რეკორდის (5.04 მეტრი) დამყარება მოინდომა, თუმცა სამივე ცდა გააფუჭა. არადა, ბოლო ცდაზე თამასას თითქმის გადაახტა, მაგრამ ის დაშვების პროცესში ჩამოაგდო. სხვათა შორის, რეკორდზე ამერიკელმა **ჯენი სტუჩინსკიმაც** გაიწია, თუმცა მიზანს ვერც მან მიაღწია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

რაგბი. სამი ერი

# ავსტრალიამ ზელანდია მოსრა

**ავსტრალია-ზელანდია 34:19**

ავსტრალია (15-9) ეშლი-კუპერი, ჰაინსი, კროსი, ბარნსი, ტუქირი, გიტო, ბერჯესი. (1-8) რობინსონი, მური, ბაქსთერი, ჰორვილი, შარფი, ელსომი, სმითი, პალუ.

(16-22) პოლოტა-ნაუ, დანინგი, ვიკერმანი, ვო, ქირდინგლი, ტაჰუ, მიჩელი.

4ლ(კროსი, ჰაინსი, ელსომი, ჰორვილი), 4გ, ს,ა(გიტო).

ზელანდია (15-9) მულიაინა, ტუიტავაკე, კაჰუი, ნონუ, სივივატუ, კარტერი, ელისი. (1-8) ვუდკოკი, ჰორი, სამერვილი, სორნი, ვილიამსი, სოიალო, ბრედი, კაინო.

(16-22) მეალამუ, აფოა, ბორიჩი, ლაუაკი, ქოუანი, დონალდი, სმითი.

3ლ(მულიაინა, ჰორი, ელისი), 2გ(კარტერი).

სინბინი(სორნი)

მსაჯი: კრეგ იუბერი (ს.აფრიკა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ავსტრალია | 2 | 2 | 0 | 0 | +22 | 9 |
| 2.ზელანდია | 3 | 1 | 0 | 2 | -6 | 5 |
| 3.ს.აფრიკა | 3 | 1 | 0 | 2 | -16 | 5 |

ზელანდიელი **რობი დინსის** შეგირდებმა სამი ერის გათამაშების მორიგ მატჩში ზელანდიის ნაკრებს მეორე მარცხი აგემეს 34:19.

შეხვედრა, რომელსაც სიდნეიში 80 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა, მოსალოდნელზე მეტად საამო საცქერი გამოდგა. "ვოლაბებმა" და "კივებმაც" გამარჯვების მისაღწევად არაფერი დაიშურეს და ზერაგბი აჩვენეს.

მატჩში ვინმეს გამოყოფა შეუძლებელია. ყველა ვარსკვლავმა, ორივე მხრიდან, თავისი ოსტატობა კიდევ ერთხელ დაადასტურა. **სტირლინგ მორტლოქისა** და **კრის ლათჰემის** არყოფნაში წესით, ავსტრალიელებს გვარიანდ უნდა გასჭირვებოდათ, თუმცა ვოლაბებმა ისე ირაგბეს, წამყვანი მოთამაშეების არყოფნა ოდნავაც არ ეტყობოდათ.

პირველი ტაიმის დასაწყისშივე მასპინძლებმა გამარჯვებაზე საკმაოდ საფუძვლიანი განაცხადი გააკეთეს. მართალია, გუნდებმა ორ-ორი ლელო გაიტანეს, მაგრამ ოზების დამრტყმელმა **მეტ გიტომ** თავის ზელანდიელ ვიზავიზე **დენ კარტერზე** თითო საჯარიმოთი და გარდასახვით მეტი გაიტანა და ტაიმი ვოლაბების ხუთქულიანი უპირატესობით დასრულდა 17:12.

დამრტყმელების გარდა ბრწყინვალე თამაშით ავსტრალიელი **ლოტე ტუქირი** და კივი **მალილი მულიაინა** გამოირჩა. ამ უკანასკნელმა სალელოვე შეტევა სულაც მოედნის საკუთარი ნახევრიდან წამოიწყო. მერე შეტევის ორივე ფაზაში მიიღო მონაწილეობა და ბოლოს და ბოლოს, ლელოც თვითონ გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ზელანდიელები **ენდი ელისის** ლელოთი დაწინაურდნენ, რომელიც კარტერმა გარდასახა 19:17. ამის შემდეგ "ოლ ბლექსი" სტატისტის როლს ასრულებდაო, ვერაფრით ვიტყვით, მაგრამ ფაქტია, მონაგარს ველარაფერი შემატა. მასპინძლებმა კი **როკი ელსომისა** და **ჯეიმზ ჰორვილის** ლელოებით იხეირეს. გიტო იმ დღეს შეუდარებელი იყო, ორივე ლელო გარდასახა და ერთი დიდოსტატური არეკნიც ზედ მიაყოლა 34:19.

სამი ერის მორიგ შეხვედრაში ისევ ეს გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ამჯერად ზელანდიურ ოკლენდში 2 აგვისტოს.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ავსტრალიელ რაიან კროსს შეხვედრის პირველი ლელო გააქვს

კრივი. როჭოს წონა

# კოტომ პირველი მარცხი იწვნია

ლას ვეგასის სასტუმრო-კაზინო "MGM გრანდ გარდენის" არენაზე, მექსიკელმა **ანტონიო მარგარიტომ** ტექნიკური ნოკაუტით პუერტორიკოელ **მიგელ კოტოს** მოუგო და როჭოს წონაში WBA-ის (კრივის მსოფლიო ასოციაცია) საჩემპიონო ქამარს დაეუფლა.



ამ ნოკდაუნის შემდეგ, მარგარიტომ გამარჯვება მოიპოვა

მარგარიტომ, ვისაც მეტსახელად "ტიხუანელ ტორნადოსაც" უწოდებენ, ორი ნოკდაუნი აწვნია მანამდე დაუმარცხებელ კოტოს, რომლის სეკუნდანტებმაც, მეორე ნოკდაუნის შემდეგ, რინგზე პირსახოცი გადმოაგდეს. არადა, იმ მომენტისთვის, კოტოზე არანაკლებ დასისხლიანებული მარგარიტო იყო.

პირველი ექვსი რაუნდის განმავლობაში, უფრო აქტიური და შედეგიანიც კოტო იყო, ვინც ქულებით აშკარად ამარცხებდა მექსიკელს. ჩემპიონის ტაქტიკა მარტივი იყო – ის კომბინაციებით უმასპინძლდებოდა პრეტენდენტს (WBO-ისა და IBF-ის ვერსიით ყოფილ ჩემპიონს), რომელიც გახელებული, შეტევაზე გადასვლას ცდილობდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც, კოტოს კონტრშეტევების მსხვერპლი ხდებოდა.

მაგრამ შუა ბრძოლიდან სიტუაცია შეიცვალა. მარგარიტო (36-5, 27 ნოკაუტი) საგრძნობლად გააქტიურდა და რაც მთავარია, მის მიერ მოქნეული მუშტები უფრო ხშირად აღწევდა მიზანს. კოტოს (32-1, 26 ნოკაუტი) აგრესიამ კი პირიქით, იკლო. გადამწყვეტ მეშვიდე რაუნდში მარგარიტოს მიერ ზედიზედ განხორციელებული შეტევები გამოდგა. მექსიკელმა მეტოქეს რამდენიმე აპერკოტი აგემა, რამაც კოტოს თავ-პირი ერთიანად დაუსისხლიანა.

ბრძოლამ კულმინაციას მე-11 რაუნდში მიაღწია, როცა მექსიკელმა ჩემპიონს ნოკდაუნი აგემა. კოტო მანამ წამოდგა, სანამ რეფერი ათამდე დაითვლიდა, მაგრამ პუერტორიკოელს აშკარად ეტყობოდა, რომ კოორდინაცია დაკარგა. ეს რომ იგრძნო, მარგარიტომ გაორმაგებული ენერგიით შეუტია და მალე კოტო დააჩოქა კიდეც, რის დანახვაზეც, ჩემპიონის მხარემ ბრძოლის შეწყვეტა ამჯობინა.

*"თქმა არ უნდა, კოტო ძალიან ძლიერი მოკრივეა. მაგრამ ბრძოლის დროს, ჩემს ბიჭებს რამდენჯერმე ვუთხარი, რომ ნოკაუტით მოვიგებდი და როგორც ხედავთ, მიზანს მივაღწიე. ასე რომ არ ყოფილიყო, ძალიან გამიჭირდებოდა. დასაწყისში ის ქულებით მიგებდა, მაგრამ გარწმუნებთ, მისგან ტკენა არც მიგრძვნია. ჩემი გეგმა სწორედ ასეთი იყო – თავიდან ის უნდა დამელალა და მერე ნოკაუტზე მემუშავა. თავიდან ვცდილობდი, ტანში მერტყა, მერე კი თავზეც გადავედი, რამაც ბოლოს ნოკაუტი მომაპოვებინა"*, - ყვება მარგარიტო.

*"ვამაყობ იმით, რომ ფანებს შესანიშნავი ბრძოლა ვაჩუქეთ. რა თქმა უნდა, ნაგება საწყენია, მაგრამ ეგ არაფერი, ცხოვრება გრძელდება. ახლა ხანგრძლივი პაუზა მექნება და ვიფიქრებ, რის გაკეთებას ვაპირებ მომავალში. მარგარიტომ კი დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე მოკრივეა. ეს მისი საღამო იყო და ვულოცავ გამარჯვებას"*, - განაცხადა კოტომ, ვისაც ლეგენდარული **ოსკარ დე ლა ჰოია** თავის ბოლო მეტოქედ მოიაზრებს, თუმცა შესაძლოა, ამიერიდან, "ოქროს ბიჭმა" კოტოს ნაცვლად მარგარიტო აირჩიოს.

ბრძოლის შემდეგ, პრომოუტერმა **ბობ არუმმა** განაცხადა, რომ წაგების მიუხედავად, კოტო გარანტირებული 3 მილიონის ნაცვლად, 7 მილიონ დოლარს მიიღებს. რაც შეეხება მარგარიტოს, მისი გარანტირებული ჰონორარი 1.5 მილიონი უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს თანხა საგრძნობლად გაიზრდება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# ტურის ზედიზედ მესამე ესპანელი ჩემპიონი

ფრანგული ტური ზედიზედ მესამედ, ესპანელმა ველომრბოლმა მოიგო – ტურ დე ფრანსის ახალი ჩემპიონი **კარლოს სასტრე** გახდა, რომელმაც ყვითელი მაისურა, ფაქტობრივად, ბოლოსწინა ეტაპზე, დროზე ინდივიდუალური რბოლის შემდეგ გაინაღდა.


სასტრემ ფინიშის ხაზი ესპანეთის დროშით ხელში გადაკვეთა

მართალია, სასტრემ დროზე რბოლა მე-12 შედეგით დაასრულა, თუმცა ესეც საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ მას მთავარ კონკურენტთან, ავსტრალიელ **კეიდელ ევანსთან** უპირატესობა შეენარჩუნებინა. არადა, ოზ ველომრბოლს ბევრი გამარჯვებას და ყვითელი მაისურის დაუფლებას უწინასწარმეტყველებდა. ევანსმა ყველაფერი ილონა, მაგრამ შუა რბოლისას ფეხებში სპაზმები დაეწყო და ეტაპი მეშვიდე შედეგით დაასრულა. რაც მთავარია, სასტრეს მხოლოდ 29 წამით აჯობა, რაც მის გასასწრებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

*"სიმშვიდე წამითაც არ დამიკარგავს. ვიცოდი, რომ ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო შანსი იყო და მის გამოსაყენებლად თავის დაზოგვას არ ვაპირებდი. შრომა დამიფასდა და ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს, ოცნება ავისრულე"*, - განაცხადა სასტრემ, ვინც გუშინდელი, საალლუმო ეტაპი პელოტონთან ერთად დაასრულა.

მისგან განსხვავებით, განბილებული დარჩა ევანსი, ვინც შარშან, ესპანელ **ალბერტო კონტადორს** სულ რაღაც 23 წამით ჩამორჩა. მძიმე სამთო ეტაპების შემდეგ, ავსტრალიელს დროზე რბოლისთვის ძალა აღარ ეყო. სამთო ეტაპებზე კი, სასტრესგან განსხვავებით, თანაგუნდელებისგან მხარდაჭერა თითქმის არ ჰქონია.

*"უკეთეს შედეგს ველოდი. პირველ საშუალედო ფინიშზე კარგი დრო მქონდა, მაგრამ შემდეგ ტემპი ველარ შევინარჩუნე. გუნდისგან მხარდაჭერა თითქმის არ მქონია, რამაც ალპ დ'უეზზე ცუდი სამსახური გამიწია. აქ კი მიზნის მისაღწევად ძალა აღარ მეყო"*, - განაცხადა ევანსმა.

სასტრესთვის ეს კარიერაში მერვე ტური და მე-18 ველომარათონია. მის ტრიუმფამდე, წინა ორი ტურიც ესპანელებმა – ოსკარ პერეირო სიომ და ალბერტო კონტადორმა მოიგეს. ამათგან წლევანდელ ტურზე კონტადორს მონაწილეობა არ მიუღია, პერეირო კი რბოლას ტრავმის გამო გამოეთიშა.

მერაბ ლორთქიფანიძე

### მე-20 ეტაპი. სერილიდან სენ ამან მონრონამდე (დროზე ინდ. რბოლა 53 კმ)

1. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 1:03.50 (49.817 კმ/სთ); 2. ფაბიან კანჩელარა (შვეიცარია, CSC) 0.21; 3. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, კოლუმბია) 1.01; 4. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 1.05; 5. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, გარმინ-ჩიპოტლე) 1.37; 6. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 1.55; 7. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 2.05; 8. სებასტიან ლანგი (გერმანია, გეროლშტაინერი) 2.19; 9. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 2.21; 10. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, კოლუმბია) 2.28...12. კარლოს სასტრე (კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 2.34...

### 21-ე ეტაპი. პარიზი (143 კმ)

1. გერტ სტეეგმანსი (ბელგია, ქვიკ სტეპი) 3:51.38 (37.04 კმ/სთ); 2. გერალდ ჩოლეკი (გერმანია, კოლუმბია); 3. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი); 4. რობი მაკიუენი (ავსტრალია, სილენს-ლოტო); 5. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი); 6. ჯულიან დინი (ახ.ზელანდია, გარმინ-ჩიპოტლე); 7. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) ყველა იგივე დროში...

### საბოლოო კლასიფიკაცია

1. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 87:52.52; 2. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 0.58; 3. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 1.13; 4. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 2.10; 5. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 3.05; 6. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 4.28; 7. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 6.25; 8. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, კოლუმბია) 6.55; 9. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 7.12...

### ქულების კლასიფიკაცია

1. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი) 270 ქულა; 2. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) 220; 3. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი) 217...

### სამთო კლასიფიკაცია

1. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 128 ქულა; 2. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 80; 3. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 80...

### ახალგაზრდების კლასიფიკაცია

1. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 88:.04.24; 2. რომან კროიციგერი (ჩეხეთი, ლიკვიგაზი) 1.27; 3. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, ლიკვიგაზი) 17.01...

ჩოგბურთი. ტურნირები

# კიფერმა ფინალს მიაღწია

ტორონტოს მასტერსის სერიის ტურნირის ფინალში, ერთმანეთს გერმანელი **ნიკოლას კიფერი** და მსოფლიოს მეორე ჩოგანი, საფრანგეთის ღიასა და უიმბლდონის ჩემპიონი, ესპანელი **რაფაელ ნადალი** შეხვდებიან. ფინალში ნადალის გასვლა თუ არავის გაჰკვირვებია, იქ კიფერის თამაში ნამდვილი მოულოდნელობაა.

ჯერ ერთი, ატპ-ს ბოლო ტიტული გერმანელს რვა წლის წინ, ჰონ კონგში აქვს მოპოვებული. მეორეც, ხშირი ტრავმების და სხვა სუბიექტური მიზეზების გამო, კიფერი ბოლო ხანებში იშვიათად ჩანს და მისგან მასტერსის ფინალში გასვლას ბევრი არავინ ელოდა.

ასეა თუ ისე, ფინალის საგზური მან ფრანგი **ჟილ სიმონის** დამარცხებით მოიპოვა, იმ სიმონისა, რომელმაც ტურნირი მეორე წრეშივე დაატოვებინა **როჯერ ფედერერს**, წინა კვირაში კი ინდიანაპოლისის ტურნირის ჩემპიონი გახდა. მიზნის მისაღწევად კიფერს სამი სეტი და ამდენივე საათი დასჭირდა.

*"ძალიან დაძაბული შეხვედრა გამოვიდა. ორივე ყველა ქულისთვის ვიბრძოდით. საერთოდ, ჟილი ძალიან ძნელი მეტოქეა. მის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის მაქსიმალურ გარჯას მოითხოვს. მეც თავი არ დამიზოგავს და მიხარია, რომ თამაში ჩემი გამარჯვებით დასრულდა"*, - განაცხადა კიფერმა, ვინც სიმონამდე ტურნირი სამ განთესილ ჩოგბურთელს – ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკს** და რუსებს, **ნიკოლაი დავიდენკოს** და **მიხაილ იუჟნის** დაატოვებინა.

ალსანიშნავია, რომ შეხვედრის დასაწყისში, როცა ჩოგბურთელებმა მხოლოდ ერთი ქულის გათამაშება მოასწრეს, ძლიერი წვიმა წამოვიდა, რის გამოც თამაში ერთი საათით შეწყდა. მერე კი პირველი სეტი სიმონმა ტაიბრეიკზე


კიფერი ფინალში გასვლას ზეიმობს

მოიგო, მეორეში კიფერმა მეოთხე გეიმში მოპოვებული ბრეიკის წყალობით, სეტებში ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტი ხელი კი მანვე ტაიბრეიკზე მოიგო.

რაც შეეხება ნადალს, მან ბრიტანელი **ენდი მარეი** დაამარცხა. ეს ნადალის ზედიზედ 28-ე გამარჯვებაა და მას შანსი აქვს, ზედიზედ მეხუთე ტიტული მოიპოვოს. შეგახსენებთ, რომ ესპანელმა თავისი [illegible] უმფული სვლა ჰამბურგის სამასტერსო ტურნირის მოგებით დაიწყო, როლან გაროსზე გააგრ[illegible]ელა და ამას ქვინზსა და უიმბლდონზ[illegible] ვებული გამარჯვებები მოაყოლ[illegible]

*"კორტზე მოსაგებად გავა[illegible] თავარია, რომ ისე ვითამაშო, რო[illegible] ჩაფიქრებული მაქვს. თუ ეს შევძ[illegible]ლი, დიდი შანსია იმისა, რომ ამ ტიტულსაც დავეუფლო. აქ ჩამოსვლისას განვაცხადე, რომ მსოფლიოს პირველ ჩოგნობას არ ვესწრაფვი. ეს ის წოდებაა, რომელსაც თანდათან ალწევ. ამ ეტაპზე, არც აშშ-ის ღიასა და ოლიმპიადაზე გამოსვლა მაინტერესებს. ჩემს გონებაში მხოლოდ ტორონტოს ტურნირია და ვეცდები, ფინალშიც ისე ვითამაშო, როგორც წინა 28 მატჩში"*, - ამბობს ნადალი, ვისაც მარეისთან ურთიერთდაპირისპირებებში ყველა, ხუთივე შეხვედრა მოგებული აქვს.

მერაბ ლორთქიფანიძე

### ATP
**ტორონტოს მასტერსი**

ტორონტო (კანადა). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 2 615 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**

**რაფაელ ნადალი** (ესპ, 2)-რიშარ გასკე (საფრ, 10) 6:7(12), 6:2, 6:1; **ენდი მარეი** (ბრიტ, 8)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3) 6:3, 7:6(3); **ნიკოლას კიფერი** (გერმ)-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 7) 6:1, 6:2; **ჟილ სიმონი** (საფრ)-მარინ ჩილიჩი (ხორვ) 3:6, 6:2, 6:3

**ნახევარფინალი**

**რაფაელ ნადალი** (ესპ, 2)-ენდი მარეი (ბრიტ, 8) 7:6(2), 6:3; **ნიკოლას კიფერი** (გერმ)-ჟილ სიმონი (საფრ) 6:7(4), 6:3, 7:6(5)

### WTA
**ლოს ანჯელესის კლასიკური**

ლოს ანჯელესი
(აშშ, კალიფორნია). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**

**ელენა იანკოვიჩი** (სერბ, 1)-ნადია პეტროვა (რუს, 9) 7:5, 6:4; **დინარა საფინა** (რუს, 4)-ვიქტორია აზარენკა (ბელა, 8) 6:3, 6:1; **ფლავია პენეტა** (იტა, 10)-სიბილ ბამერი (ავსტ, 14) 7:6(3), 3:6, 6:1; **ბეთანი მატეკი** (აშშ)-მენ იუანი (ჩინ) 6:2, 7:5

**ნახევარფინალი**

**დინარა საფინა** (რუს, 4)-ელენა იანკოვიჩი (სერბ, 1) 7:6(3), 6:1; **ფლავია პენეტა** (იტა, 10)-ბეთანი მატეკი (აშშ) 3:6, 6:2, 7:5

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ჩილე**

| | |
|---|---|
| უნ. ესპანიოლა-კობრესალი | 1:1 |
| უნ. კონსეპსიონი-ოსორნო | 4:1 |
| ევერტონი-ლა სერენა | 5:5 |
| ო'ჰიგინსი-ს. მორნინგი | 4:1 |
| უნ. ჩილე-მელიპილია | 4:1 |
| ნუბლენსე-კოლო კოლო | 1:2 |
| რეინჯერსი-პალესტინო | 1:1 |
| კობრელოა-ანტოფაგასტა | 1:2 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| უნ. კატოლიკა-ესპოლი | 0:1 |
| დეპ. კუენსა-ლიგა დე კიტო | 0:0 |
| დეპ. კიტო-ოლმედო | 2:2 |
| ელ ნასიონალი-დეპ. ასოგესი | 1:0 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| სან მარტინი-სპორტი | 3:0 |
| ალიანსა ლიმა-ბოლონეზი | 1:2 |
| მელგარი-ხუან აურიჩი | 2:0 |
| სესარ ვალეხო-სპ. კრისტალი | 1:0 |
| სპორტი-სენსიანო | 0:0 |
| ალ. ატლეტიკო-ატ. მინერო | 2:0 |

**მექსიკა**

| | |
|---|---|
| კრუს ასული-ჩივასი | 2:2 |
| სან ლუისი-მორელია | 2:2 |
| ინდიოსი-ტეკოსი | 0:1 |
| ტიგრესი-პაჩუკა | 0:0 |
| ატლასი-ხაგუარესი | 5:0 |
| ატლანტე-ტოლუკა | 2:1 |
| პუებლა-მონტერეი | 2:2 |
| პუმასი-ნეკაქსა | 2:0 |

### პლაჟის ფეხბურთი
**მსოფლიო ჩემპიონატი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-პორტუგალია | 5:4 |
| ესპანეთი-იტალია | 4:4, პენ. 0:1 |

**მე-3 ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| პორტუგალია-ესპანეთი | 5:4 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-იტალია | 5:3 |

### კალათბურთი
**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ლატვია | 89:74 |
| რუსეთი-უკრაინა | 91:55 |
| ესპანეთი-არგენტინა | 87:62 |
| ლატვია-უკრაინა | 85:60 |
| ლიტვა-ფინეთი | 90:62 |
| რუსეთი-სერბეთი | 74:75 |

### ფრენბურთი
**მსოფლიო ლიგა**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-აშშ | 0:3 |
| რუსეთი-სერბეთი | 0:3 |

**მე-3 ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-რუსეთი | 1:3 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| სერბეთი-აშშ | 1:3 |

### ჩოგბურთი

**ATP. ტორონტო (მასტერსი)**

| | |
|---|---|
| კიფერი-სიმონი | 6:7, 6:3, 7:6 |
| ნადალი-მარეი | 7:6,, 6:3 |
| ნადალი-კიფერი | 6:3, 6:2 |

**WTA. ლოს ანჯელესი**

| | |
|---|---|
| პენეტა-მატეკი | 3:6, 6:2, 7:5 |
| იანკოვიჩი-საფინა | 6:7, 1:6 |

**WTA. პორტოროჟი**

| | |
|---|---|
| მ. გარიგესი-გორგესი | 6:3, 2:6, 6:4 |
| ვოზნიაჩკი-ერანი | 4:6, 4:6 |
| მედინა გარიგესი-ერანი | 3:6, 3:6 |

## TV სპორტი

### 28 ივლისი. ორშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-არსენალი.
**14:20** ევრო 2008. ავსტრია-გერმანია.
**16:20** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:35** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვილიარეალი.
**18:25** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ნანსი.
**20:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:35** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:20** ევრო 2008. ჰოლანდია-რუმინეთი.
**23:20** საფეხბურთო ლამე.
**23:50** FUTBOL MUNDIAL
. საფეხბურთო ჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-კრუზეირო.
**08:40** სპორტის სამყარო.
**09:10** კრივი. რინგ-საიდი.
**10:15** წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
**10:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. ტორონტო. კანადა.
**13:45** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-შტუტგარტი.
**15:25** სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
**15:55** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო-პალმეირასი.
**17:40** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**18:10** მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**20:40** სპორტის სამყარო.
**21:05** ფეხბურთი. ევრო 2008. საფრანგეთი-იტალია.
**22:55** პროფესიული კრივი.
**02:10** მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**05:05** სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
**05:35** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-შტუტგარტი.

**EUROSPORT**

**10:30** მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
**11:00** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ბრიტანეთი.
**12:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. ფინალი. შვეიცარია.
**12:30** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. კაცები. ფინალი. შვეიცარია.
**13:00** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი.
**14:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XXI ტური.
**15:30** ოლიმპიზმი. მისია - პეკინი.
**15:45** ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. HS108. ჰინტერცარტენი. გერმანია.
**17:00** მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**19:00** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**20:00** ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
**20:15** ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. HS108. ჰინტერცარტენი. გერმანია.
**21:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. მონრეალი. კანადა (LIVE).
**22:45** ბრძოლა წესების გარეშე.
**01:00** ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
**01:15** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**02:15** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ფინალი. ჩეხეთი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. ფინალი. სან ხოსე-ფილადელფია.
**13:00** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**17:00** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონტი. XIX ტური. კავასაკი-ნაგოია.
**18:00** არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. ფინალი. სან ხოსე-ფილადელფია.
**19:00** სპიდვეი. მსოფლიო თასი. პოლონეთი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
**21:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი.
**01:00** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონტი. XIX ტური. კავასაკი-ნაგოია.
**02:00** ახალი ამბები.

კალათბურთი. პეკინი 2008

# კიდსაც ევროპა მოუნდა

## ოლი და პაო დენგს უმიზნებენ, რუსები - ბიედრინშს




ჯეისონ კიდი

25 წლის **ჯოშ ჩილდრესის** "ოლიმპიაკოსში" გადასვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ამ ტრანსფერის შესახებ ჩვენც დავწერეთ და ისიც ვივარაუდეთ, რომ ევროპულ კლუბებში სახელფასო ლიმიტის არარსებობის გამო, ძველი კონტინენტისკენ NBA-ის სხვა კალათბურთელებიც დაიძრებიან.

ამ მნიშვნელოვანი მოვლენიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ასოციაციის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა, **ჯეისონ კიდმა** ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია ESPN-ს, სადაც ევროპაში კარიერის გაგრძელების პერსპექტივაზე კომენტარი გააკეთა.

*"მომდევნო 4-5 წელიწადში, სავსებით შესაძლებელია, ევროპაში გამგზავრების სურვილი გამიჩნდეს. რატომ არ უნდა ვცადო, მაგალითად, იტალიის ლიგაში თამაში? ეს ძალიან საინტერესო გამოცდილება იქნება, განსაკუთრებით ჯოშ ჩილდრესის ტრანსფერს თუ გავითვალისწინებთ. ვხედავთ, თუ როგორ მოდიან ევროპელი კალათბურთელები NBA-ში სათამაშოდ, ეს კი, ჩვენი საპასუხო ნაბიჯი იქნება"*, - ამბობს "ნიუ ჯერსი ნეტსის" 35 წლის მცველი. ცნობისთვის, კიდი 2009 წელს თავისუფალი აგენტი გახდება.

■ ■ ■

ამასობაში, "ოლიმპიაკოსი" მადაზე მოვიდა და NBA-ის წლევანდელი თავისუფალი აგენტების ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე ღირებული კალათბურთელის, **ლუოლ დენგის** ხელში ჩაგდებას ლამობს. ამ უკანასკნელმა ვერაფრით მოაგვარა "ჩიკაგო ბულზთან" ახალი კონტრაქტის დეტალები. კალათბურთელის აგენტი, **ჯეიმს ლევიენი** ამბობს, რომ დენგს კარიერის "ხარებში" გაგრძელება სურს და ამ გუნდისგან მინიმუმ სამწლიანი და 30-მილიონიანი კონტრაქტის გაფორმებას ითხოვს, თუმცა "ჩიკაგო" არ ჩქარობს მსგავსი წინადადების შეთავაზებას.

კონკრეტული პირობები ჯერ "ოლიმპიაკოსისგანაც" არ გაჟღერებულა, თუმცა ცხადია, რომ ბერძნები დენგს იმაზე უკეთეს კონტრაქტს შესთავაზებენ, ვიდრე ეს ჩილდრესის შემთხვევაში იყო.

სხვათა შორის, დენგის მიმართ ინტერესს "ოლიმპიაკოსის" მთავარი კონკურენტი, "პანათინაიკოსიც" გამოთქვამს.

ჩიკაგოელმა გასულ სეზონში საშუალოდ 17.0 ქულა და 6.3 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

არ არის გამორიცხული, მომავალ სეზონში ევროპაში ვიხილოთ "გოლდენ სტეიტის" ლატვიელი ცენტრი **ანდრის ბიედრინში**. კერძოდ, მისი გადაბირებით ერთ-ერთი რუსული კლუბი (სახელს არ ახმაურებენ) ყოფილა დაინტერესებული. ლატვიელს 3-დან 5 წლამდე კონტრაქტს სთავაზობენ, ხოლო წლიური ხელფასი 10 მილიონ დოლარზე მეტი იქნება.

"უორიორზში" ბიედრინშის მომავალი კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას: ხუთშაბათს, ამ გუნდმა ექვსწლიანი კონტრაქტი (66 მილიონი) გააფორმა **მონტა ელისთან**, აგრეთვე შეინარჩუნა **კელენა აზუბუიკე**, რომელსაც "ლოს ანჯელეს კლიპერსი" სამწლიან ხელშეკრულებაში 9 მილიონს სთავაზობდა. შესაბამისად, "გოლდენ სტეიტის" ხელმძღვანელობას ლატვიელისთვის წელიწადში მხოლოდ 8 მილიონის შეთავაზება შეუძლია, არადა, ეს ცენტრი ბაზარზე უფრო ძვირად ფასობს. The Mercury News აღნიშნავს, რომ ბიედრინში სეზონში 10 მილიონზე მეტს უნდა იღებდეს.

ლატვიელის გადაბირებით "ფილადელფიაც" იყო დაინტერესებული, მაგრამ ამ გუნდმა **ელტონ ბრენდთან** გააფორმა კონტრაქტი და ახლა, ბიედრინშის დასამატებელი ფული არ აქვს.

■ ■ ■

ევროპაში კარიერის გაგრძელების შანსი ჰქონდა ცნობილ ვეტერანს, **მაიკლ ფინლის**. 35 წლის კალათბურთელის აგენტმა, **ჰენრი ტომასმა** განაცხადა, რომ დაახლოებით სამი კვირის წინათ, ერთ-ერთმა ევროპულმა კლუბმა ფინლის გადაბირება სცადა, მაგრამ მცველმა უარყო წინადადება.

*"კარიერის ამ ეტაპზე მაიკლს სულ სხვა გეგმები აქვს. მართალია, ევროპიდან ძალიან სარფიანი წინადადება მიიღო, მაგრამ ფინლი არ აპირებს საზღვარგარეთ გამგზავრებას. მით უმეტეს, რომ ახლა, მისი პიროვნებით NBA-ის საჩემპიონო კალიბრის კლუბები არიან დაინტერესებულნი. ისე კი, მაიკლს ყველაზე მეტად "სან ანტონიოში" დარჩენა სურს"*, - ამბობს ტომასი.

ფინლის NBA-ში თამაშის 14-წლიანი სტაჟი აქვს. ბოლო სამი წელიწადი, ის "სან ანტონიოში" თამაშობდა და 2007 წელს, ლიგის ჩემპიონიც გახდა.

■ ■ ■

დაბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია, რომელიც ისრაელის ჩემპიონ თელ-ავივის "მაკაბის" შეეხება. როგორც იცით, ამ გუნდმა "დეტროიტში" გაუშვა ძირითადი გამთამაშებელი **უილ ბინუმი** და ახლა მის შემცვლელს ეძებს.

ამ ვაკანტური ადგილის დასაკავებლად, "მაკაბის" ხელმძღვანელობამ "მაიამი ჰიტის" მცველი **ჯეისონ უილიამსი** (32 წლის, 185 სმ) შეიგულა და მოლაპარაკებებიც დაიწყო ამერიკულ მხარესთან.

გასულ სეზონში, უილიამსი დაახლოებით 28 წუთს ატარებდა მოედანზე და ამ დროის განმავლობაში 8.8 ქულასა და 4.6 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

NBA-ში რა ხდება?

# საშა კალიფორნიაში დარჩა

უშუალოდ NBA-ის სატრანსფერო ბაზარზეც არანაკლებ საინტერესო ამბები ხდება.

ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ "ლეიკერსის" სლოვენიელი მცველის, **საშა ვუიაჩიჩის** ევროპაში დაბრუნების შესახებ. მაგრამ კალათბურთელის აგენტებმა მოახერხეს კალიფორნიული კლუბის ხელმძღვანელობასთან ზეპირი შეთანხმების მიღწევა. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ვუიაჩიჩი "ლეიკერსში" სამი წლით დარჩება და ჯამში 15 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

*"საშა მოხარულია იმით, რომ "ლეიკერსთან" კონტრაქტის გაგრძელება შეძლო. ის ამ გუნდში უკანასკნელ როლს ნამდვილად არ თამაშობს და მომავალ სეზონში, "ლეიკერსს" ჩემპიონობის მოპოვებაში დიდ სამსახურს გაუწევს"*, - აცხადებს სლოვენიელის აგენტი **რობ პელინკა**.

■ ■ ■

ორი დღის წინათ, "მინესოტა ტიმბერვულვზმა" თავისუფალი აგენტის სტატუსის მქონე ფორვარდის, **რაიან გომესის** შენარჩუნება შეძლო. როგორც ESPN იტყობინება, მხარეები უახლოეს დღეებში მრავალწლიან ხელშეკრულებას გააფორმებენ.

გომესი გასულ ზაფხულს, "ბოსტონიდან" გადავიდა "მინესოტაში" - ის **კევინ გარნეტის** ცნობილი ტრეიდის ერთ-ერთი მონაწილე გახლდათ. "მგლების" რიგებში ჩატარებულ პირველ სეზონში, ფორვარდს კარიერაში საუკეთესო სტატისტიკა ჰქონდა - 12.6 ქულა და 5.8 მოხსნა.

■ ■ ■

"სან ანტონიო სპურსთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა **კურტ ტომასმა**. ცენტრალური თავდამსხმელი კიდევ ორი სეზონი დარჩება **გრეგ პოპოვიჩის** გუნდში და ჯამში 8 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

შეგახსენებთ, რომ ტომასი გასული სეზონის მსვლელობისას, "სიეტლ სუპერსონიქსიდან" გადავიდა "სპურსის" რიგებში.




კურტ ტომასი

# კრიმინალური ამბები

NBA-ის ექსრეფერის, **ფილ დონაჰის** სკანდალურ საქმეს ორი ახალი მსხვერპლი გამოუჩნდა. პატიმრობით დაისჯება ორი ამერიკელი, რომლებიც მოსყიდული მსაჯის დახმარებით სარგებლობდნენ და რეგულარული ჩემპიონატის მატჩებზე აკეთებდნენ ფსონებს.

ვინმე **ჯეიმს ბატისტა** კარგად იყენებდა ყოფილი თანაკლასელის, დონაჰის "რჩევებს" და საკმაოდ წარმატებით თამაშობდა სპორტულ ტოტალიზატორზე. ამისთვის მას 15-თვიანი პატიმრობა ელის. ამ წყვილის კიდევ ერთმა მეგობარმა - **ტომას მარტინომ** მსაჯს 1000 დოლარი გადაუხადა მსგავსი "რეკომენდაციების" მისაღებად. ნიუ იორკის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მარტინო საპატიმროში ერთ წელიწადს გაატარებს.

დონაჰის გარშემო ხმაურიანი სკანდალი გასული წლის ივლისში აგორდა. არბიტრს ბრალი წაუყენეს იმაში, რომ NBA-ის იმ თამაშებზე აკეთებდა ფსონებს, რომელთა მსაჯი თავად გახლდათ. დონაჰიმ გამოძიების დროს დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ დაინტერესებულ პიროვნებებს, მატჩების სავარაუდო შედეგებს ატყობინებდა. რეფერის საბოლოო განაჩენს 29 ივლისს გამოუტანენ.

NBA-ის კომისარი **დევიდ სტერნი** ამტკიცებდა, რომ დონაჰის შემთხვევა - ცალკე ინციდენტია და იოლი შემოსავლის მოყვარულთა "შეთქმულებას" მასიური ხასიათი არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, სტერნმა შექმნილ სიტუაციას "ყველაზე უსიამოვნო" უწოდა ლიგის არსებობის ისტორიაში.

■ ■ ■

პატიმრობა ემუქრება "ნიუ ორლეან ჰორნეთსის" ფორვარდ **რაშუალ ბატლერს**. გაზეთ New Orleans Times-ის ცნობით, ეს კალათბურთელი იარაღის უკანონო შენახვაშია ეჭვმიტანილი.

29 წლის ბატლერი მაიამი-ბიჩის პოლიციამ 23 ივნისს დააპატიმრა. მის მანქანაში ავტომატური პისტოლეტი აღმოაჩინეს, არადა, ფორვარდს არ ჰქონდა ფლორიდის შტატში იარაღის შენახვის უფლება.

სასამართლო ბატლერის საქმეზე განაჩენს 4 აგვისტოს გამოიტანს.

მზადება პეკინისთვის

# +55 ლებრონის გარეშე




დუეინ უეიდი

"დრიმ თიმმა" ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ციკლში პირველი საწვრთნელი მატჩი ჩაატარა და შავი დღე აყარა კანადის ნაკრებს. **მაიკ კრჟიჟევსკის** გუნდმა **ლებრონ ჯეიმსის** გარეშე ითამაშა. როგორც იცით, "კლივლენდის" ვარსკვლავმა ხუთშაბათს, ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ახლა, იძულებითი დასვენება უწევს. როგორც ამბობენ, ლებრონი თავს უკეთესად გრძნობს და მის პეკინში გამგზავრებას საფრთხე არ ემუქრება.

თამაშს რაც შეეხება, მოსაყოლი ბევრი არაფერია. ოთხთვიანი პაუზის შემდეგ, პირველად გამოჩნდა მოედანზე "მაიამის" ლიდერი **დუენი უეიდი**. ის სასტარტო ხუთეულში მოხვდა და სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის მიუხედავად, 20 ქულის დაგროვება შეძლო. დუეინი **კარმელო ენტონისთან** და **მაიკლ რედთან** ერთად, მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო.

ამერიკელებმა პირველი 20 ტყორცნიდან 16 კალათში მოათავსეს, სულ კი, თამაშიდან სროლების 65.7 პროცენტი გამოიყენეს, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. კანადა მხოლოდ პირველ მეოთხედში აყვა მეტოქის შეთავაზებულ ტემპს. მატჩის საწყის მონაკვეთში 8-დან 5 სამქულიანი ჩააგდო და მეოთხედი მხოლოდ ექვსი ქულით წააგო.

სამაგიეროდ, მეორე მეოთხედში "დრიმ თიმმა" დაცვა გააძლიერა - მეტოქეს 10 შეცდომა დააშვებინა და 11-დან მხოლოდ 3 სამქულიანი ჩააგდებინა. შესაბამისად, დიდ შესვენებაზე ამერიკა 61:38 იგებდა.

შორი მანძილიდან ტყორცნებისას შესაშური სიზუსტე გამოიჩინა მაიკლ რედმა - მან 6 სამქულიანი (რვიდან) მოათავსა კალათში.

პეკინის თამაშებამდე "დრიმ თიმი" კიდევ ოთხ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ოლიმპიადაზე ამერიკელები პირველ მატჩს 10 აგვისტოს, ჩინეთის ნაკრებთან ჩაატარებს.

**აშშ-კანადა 120:65**

**აშშ:** რედი (20), ენტონი (20), უეიდი (20), ბრაიანტი (15), დ. უილიამსი (14), პოლი (11+8 პასი).

**კანადა:** ანდერსონი (18), ინგლიში (11), ბარეტი (11).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**